

დავით ბერიაშვილი



ან ყველაფერი

ან

არაფერი

დავით ბერიაშვილი

# ან ყველაფერი ან არაფერი



გამომცემლობა „კალიგრაფი“

თბილისი, 2010

რედაქტორი: ნინო მაღალაშვილი

დიზაინი: ელისო მოსიაშვილი

ISBN 978-9941-9159-0-1

© დავით ბერიაშვილი, 2010

© გამომცემლობა „კალიგრაფი“, 2010



©. S. J. K. S. J.



## წინასიტყვაობა

წინასწარ, ყოველგვარი ტრაფარეტული შესავლის გარეშე ვიტყვი, რომ ეს წიგნი არ არის განკუთვნილი იმ კატეგორიის ადამიანებისთვის, რომლებსაც წარსულის ნოსტალგიის გაქარწყლება ან ტკბილ ილუზიებში ცხოვრება განუზრახავთ.

მე არ ვარიგებ საჩუქრებს და ამიტომაც, ეს გამოცემა არ იქნება ძვირფასი შენაძენი იმ ხალხისთვის, რომელთაც კომუნისტების მიერ წითლად შეღებილი ან შემდგომში უკვე წინა საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების კრიმინალების მიერ გაშავებული საქართველოს დაბრუნება სურთ. არც იმათთვის იქნება აქ ამოკითხული თითოეული სიტყვა იმედისმომცემი, ვინც რუსული ნოსტალგიის შედეგად წამოსულ ცრემლებს რუსეთისავე დროში იმშრალებს.

გამოგიტყდებით და არც ის არის ჩემი მიზანი, რომ რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, ვინმეს გულს მალამოდ მოედოს ან რაღაც ჯერ არნახული შეება აგრძნობინოს.

არ გეგონოთ, გული ისე გამქვავებოდეს, თითქოს ყველას, დამნაშავესა თუ უდანაშაულოს, ერთ ტაფაში ვყრიდე. არა, ბატონო, უბრალოდ, ვთვლი, რომ საქართველოში ტვინნალრძობი ადამიანების თავზე ხელის გადასმის დრო ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. ასევე სამუდამოდ უნდა გაქვავდეს და გაიყინოს ენის მოჩლექით ცხვირში მოლაპარაკე მედროვეების სამარცხვინო ხანა, რომელთაც, როგორც ჩანს, უფრო ბევრს ვეფერებით, ვიდრე ნებისმიერ მოლალატივობრივ ნამოქმედარზე პასუხს ვთხოვთ. ამ მოფერებაში კი ნახეთ, რა კარგად გრძნობენ თავს და რა კობტად აიწყვეს ცხოვრება ჩვენი დროის პატარა „ყვარყვარებმა“, – ჩვენი დროის იმ მეძავებმა, რომლებიც, საკუთარი კეთილდღეობისთვის მტრის პირველსავე დაძახილზე, თითქმის 5-მილიონიან საქართველოს ისე უცებ გაყიდიან, თვალს ერთხელაც არ დაახამხამებენ.

ყოველივე ამის შემდეგ, არ გაგიკვირდეთ, თუ ამ წიგნში ვერ ამოიკითხავთ ჩვენ გვერდით მცხოვრები, როგორც ცალკეული პიროვნებების ხოტბას, ისე ნებისმიერი ადამიანის საგმირო საქმეებზე შექმნილ ლეგენდებსა და გამაბრუებელ ქება-დიდებას.

ვერ ამოიკითხავთ განა იმიტომ, რომ ასეთი გმირები აღარ გვყავს, — არავითარ შემთხვევაში. საქართველო ხომ სწორედ ბუმბერაზი ადამიანების ქვეყანაა, მაგრამ დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი სულ სხვა თემა გამხდარა და მეც თავი ვალდებულიად ჩავთვალე, იმ დეგრადირებული საზოგადოების დამახინჯებულ ცნობიერებაზე გავაკეთო აქცენტი, რაც უკვე, ლამის განუკურნებელ სენად მოსდებია ჩვენს საყვარელ საქართველოს.

თუ ვინმე ამ დეგრადირებულ საზოგადოებაში საკუთარ თავს ამოიცნობს და გაცეცხლდება, მაშინ ჩავთვლი, რომ ცოდვა საჯაროდ გამხელილია, ტყვია ტყვიაში ჩაჯენილია...

## თავი I

### დახავსეპული მენტალიტეტი ანუ გადმონათი შავხელი წარსულიდან

მას შემდეგ, რაც მძიმე საბჭოური რკინის კარი გავამტვრიეთ და ჩვენს მხარეში თავისუფლების სასიამოვნო ნიავმა დაჰბერა, გამოიკვეთა ის სამადსამი რამ, რასაც ქართველმა საზოგადოებამ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს. ესენია: პროკომუნისტური, პრორუსული და ქურდული მენტალიტეტი. სწორედ ეს დანყველილი სამეულია, რომელიც დღეს შავი ჭირივით მოსდებია ჩვენს ქვეყანას და სრული განვითარების საშუალებას არ აძლევს. ჩვენ თუ გვინდა, გვქონდეს სახელმწიფო და გვერქვას ოცდამეერთე საუკუნის მაღალგანვითარებული ერი, სწორედ ამ, მეოცე საუკუნიდან უშნოდ გადმოყოლილ უმსგავსო გადმონათს უნდა მოვუღოთ ბოლო. მერნმუნეთ, უმჯობესია, გამოსაშვებად გამზადებული, დაბინძურებული სისხლი ახლავე გამოვუშვათ, მოსაკვეთი მოვკვეთოთ, თორემ სხვაგვარად საქართველოს მომავალი და წინსვლა არ უნერია.

ჩვენ, ქართველები, ძლიერი და უდიდესი პოტენციალის მქონე ერი ვართ. უბრალოდ, საზოგადოების ერთი არც თუ ისე მცირე ნაწილი, იმდენადაა წარსულის შავხელ აჩრდილებში ჩაკარგული, რომ მისთვის შემდეგი სიტყვები — წინსვლა და ქვეყნის განვითარება — მხოლოდ არაკანონიერი გზით მოპოვებულ საკუთარ კეთილდღეობასთან ასოცირდება.

პიროვნების პრობლემაა, როცა ადამიანი ნორმალურ განვითარებას სცილდება, მაგრამ ქვეყნისთვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასია, როდესაც ადამიანები და განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა ქურდული ცხოვრების ელემენტებში ვერავითარ დანაშაულს ვერ ხედავენ.

მინდა, აქ ერთი მაგალითი მოგიყვანოთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ ასეთი გზით სიარული ჩვენს საზოგადოებას ტრაგედიის მეტს არაფერს მოუტანს.

ამ რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთ ოპოზიციურად განწყობილ პიროვნებას ვესაუბრებოდი. მას ძალიან უნდა ხელისუფლების შეცვლა და სხვა, ახალი ძალის მოსვლა. მე კი, ბუნებრივია, ვამბობ, რომ პიროვნებების და თუნდაც პარტიების შეცვლაში გამოსავალს ვერ ვხედავ, რადგან, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ქართველ საზოგადოებაში ანუ სახელმწიფოში უპირველესად შესაცვლელი რაც არის — ეს გახლავთ მენტალიტეტი! დიახ, საზოგადოების ერთი ნაწილის ის დახავსეპული და გადაგვარებული მენტალიტეტი, რომელიც უკვე დანაშაულის ტოლფასად იქცა. მოკლედ, ჩემს თანამოსაუბრეს ვუხსნი, რომ ჩემი პოლიტიკური, თუნდაც პიროვნული პრინციპები ძალიან მარტივი და გასაგებია. — პროკომუნისტურ და პრორუსულ მენტალიტეტთან ერთად დაუნდო-

ბელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ კანონიერი ქურდების ინსტიტუტს, რადგან მათ თავის დროზე გადაჭამეს, გაძარცვეს, გაანადგურეს ქვეყანა და ამიტომაც — არავითარი ლმობიერება. ხელისუფლებაში თუ მის გარეთ არ უნდა იყვნენ კანონიერი ქურდები, ვინაიდან ეს ამდიდრებს ცალკეულ პიროვნებებს, მაგრამ საზოგადოების უმეტეს ნაწილსა და მთლიანად ქვეყანას კი ძირს უთხრის და სასაკლავოსკენ მიაქანებს-მეთქი.

აი, ასე შევეცადე, ჩამომეყალიბებინა ჩემი მარტივი შეხედულებები და მოულოდნელად მისგან, იცით, რა პასუხი მივიღე?

კი, მაგრამ ქურდული ინსტიტუტის გაუქმება და სრული დავინწყება რომ მოხდეს, მის ადგილზე რა უნდა იყოს და რა უნდა წარმოიქმნას, ჩაშვებისა და არაკაცობის ინსტიტუტი რომ დამკვიდრდეს, მერე რა გვეშველებაო?

მისი ამ სიტყვების შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენი საქმე იმაზე უფრო კატასტროფულადაა, ვიდრე ეს მე ან რომელიმე ჩვენგანს წარმოუდგენია. მივხვდი, რომ ჩემს ოპონენტთან კამათს აზრი აღარ ჰქონდა, რადგან მას შეგნებულად არ სურდა იმ გზაზე დადგომა და იმის შეგნება, სადაც სამართალი, ადამიანობა, წესიერება, წესრიგი და სახელმწიფოებრიობაა.

ესე იგი, თუ კანონიერი ქურდების ინსტიტუტის ფუნქცია ის ყოფილა, რომ ჩამშვებებთან და არაკაცებთან ბრძოლის პარალელურად, მონაწილეობა უნდა მიიღონ კრიმინალების მიერ წარმოებულ სისხლიან ოპერაციებსა და სრულიად უდანაშაულო ადამიანების ძარცვა-გაუბედურებაში, მე, პირადად, ასეთ არჩევანს გავაკეთებდი — არც ერთი მინდა და არც მეორე, არც ქურდები და არც არაკაცები!

ამ ყველაფერმა კომუნისტური პერიოდი გამახსენა, როცა ადამიანებს სრულიად სერიოზულად შეეძლოთ ეკითხათ ერთმანეთისთვის — ქურდი ხარ? — თუ პასუხი იქნებოდა — არა! მაშინ მოპასუხე პიროვნება კომუნისტი გამოდიოდა, ხოლო თუ ჰკითხავდნენ — კომუნისტი ხარ? — უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, უკვე, როგორც ქურდს, ისე შეხედავდნენ. იმ დროს მართლაც არავინ დაიჯერებდა, რომ ადამიანი შეიძლება არც ერთი ყოფილიყო და არც — მეორე. არ დაიჯერებდა იმიტომ, რომ მესამე გზა ფაქტიურად არც არსებობდა.

თუ ცხოვრებაში ვიღაცას რაღაცა უნდოდა გამოსულიყო, იმ ზემოხსენებული ორი გზიდან ერთ-ერთი უნდა აერჩია ან ერთ-ერთში მანც, ვინმე გავლენიანი მფარველი უნდა ჰყოლოდა. სხვაგვარად, მესამე, არარსებული გზის მაძებარ კაცს მხოლოდ დაცინვის გარიყულ ობიექტად, ანუ არარაობად ჩათვლიდნენ.

ახლა, უმჯობესია, ისევ დღევანდელობას დავუბრუნდეთ.

მაშ, კანონიერი ქურდების ინსტიტუტი თუ არ იქნა, მის ადგილზე რა უნდა წარმოიქმნასო? — სიმწრით იკითხა ჩემმა თანამოსაუბრემ და ლამის თავში ხელეტი წაიშინა.



ისე, როცა სიმსივნით დაავადებულ ადამიანს იმ ხორცმეტს ანუ სიმსივნეს აჭრიან, განა მედიცინის მუშაკები იმაზე ფიქრობენ, ამ ხორცმეტის ადგილზე რა უნდა ამოიყვანონ? ხორცმეტი იმისაა, რომ ის უნდა მოიკვეთოს სამუდამოდ და მის ადგილზე არც არაფერი არ უნდა იყოს, რამეთუ ხორცმეტი ზედმეტი, არაფრისმქმნელი მასაა და ის ტყუილად იკავებს ადგილს ხან გარეთ სივრცეში, ხან კი — ორგანიზმში.

ამიტომაც, მგონია, რომ ძალიან ცუდი სენი გვჭირს, რომელიც ალპობს და აქვეითებს აზროვნებას.

განა იმავე, უკვე ლამის ავადმყოფობამდე მისულ რიტორიკასთან არ გვაქვს საქმე, როცა ლაპარაკი რუსულ ბაზარზე ჩამოვარდება?

გეგონებათ, ერთმანეთს ეჯიბრებიანო, გამოცვივდებიან ეს რუსულ ელემენტებზე უშნოდ დაქოქილი ქართველი ვაიპოლიტიკოსები და ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზად ქართული პროდუქციის დიდ რუსეთში გატანას მიიჩნევენ. ვითომც, ხალხის ბედით გულშენუხებულები, ისე ითხოვენ რუსულ ბაზარზე დაბრუნებას, თითქოს დედამიწაზე სხვა სასიკეთო და მნიშვნელოვანი ამის მეტი არაფერი არ არსებობდეს.

ქართული ვაშლი, ფორთოხალი, ყურძენი და მანდარინი სასწრაფოდ უნდა გაგვატანინოთ რუსეთში, თორემ აქ პატარა ბაზარია, ამიტომაც ხალხს გაუფუჭდა ეს ხილიო. მოკლედ, რუსული, დიდი ბაზარი გვინდა, თორემ დალპა და განადგურდა მოსავალიო.

ვინც ამგვარად ფიქრობს ვეტყვი, რომ დამპალ ვაშლს ან მანდარინს კიდევ გამოიყენებს კაცი, ადგები და ლორებს გადაუყრი საჭმელად, მაგრამ, აი, დამპალ ტვინსა და მენტალიტეტს რა ვუყოთ? რა მოვუხერხოთ? ის არც კაცს არგია და არც ღორს.

რა თქმა უნდა, ადამიანს აქვს უფლება და სრულიად სამართლიანადაც, რომ საკუთარი პროდუქცია გაიტანოს და გაყიდოს იქ, სადაც უფრო მეტი მუშტარი ეყოლება, მაგრამ მე ამ შემთხვევაში იმ ვაიპოლიტიკოსებს (და არა მარტო პოლიტოკოსებს) ვგულისხმობ, რომლებიც რუსულ ბაზარს მხოლოდ ფარად ანუ მოსახლეობის სატყუარად იყენებენ, სინამდვილეში კი მათი შავბნელი მიზნები უფრო შორსმომავალია.

მათ ერთი კონკრეტული გაჭირვებული ქართველი გლეხი კაცის ბედი ისე აღარდებოთ, როგორც მე — ატლანტის ოკეანეში მცურავ გემზე მყოფი მეკობრეების მომავალი, რადგან ამ ხალხის საბოლოო მიზანი ჩვენი ქვეყნის მთლიანად რუსულ გავლენაში გადაქაჩვაა. სამწუხაროდ, მათ მხოლოდ რუსულ ორბიტაზე მოტრიალე საქართველოსი სწამთ. არადა, ასეთი საქართველო უკვე წარსულია, თანაც, სამარცხვინო წარსული და ჩვენ ყველაფერი უნდა ვილონოთ იმისთვის, რომ იქ, უფრო სწორედ, იმ გადაგვარებულ წარსულში აღარასოდეს დავბრუნდეთ. არ უნდა დავბრუნდეთ, რადგან რუსულ გავლენაში დაბრუნება ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ავტომატურად, მთელი ძალით აღდგება კანონიერი ქურდების მხოლოდ მენტალიტეტში შემორჩენილი

მექანიზმი. ეს კი ნიშანი იქნება იმისა, რომ ქვეყანაში უცებ წარმოიქმნება ოლიგარქების, რეკეტიორების, მენილეების, მეთვალყურეებისა და, მოკლედ, იმ წურბელების კლანი, რომლებიც თავის დროზე სისხლს სწოვდნენ და ნაკუნ-ნაკუნ გლეჯდნენ ჩვენს ქვეყანას. რუსულ გავლენაში დაბრუნება კიდევ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს მიწაზე ქართული ბუნების, ცის, მზისა და სულის გასაჭვარტლად ისევ შემოხრივინდებიან რუსული ტანკები. ეს ის ტანკებია, რომლებმაც ჯერჯერობით ჩამოგვაგლიჯეს ჩვენი ძირძველი კუთხეები — აფხაზეთი და სამაჩაბლო. რუსული გავლენის ნაყოფი იქნება ასევე ის, რომ დედაბუდიანად შემოგვესევინან ქართულ მზესა და ჰაერზე გადარეული რუსის ჯარის ოფიცრები თუ პრაპორშჩიკები, ჩინიანი სახელმწიფო მოხელეები თუ უჩინო კარიერისტები, პოლიტიკოსები თუ მედროვეები, მწიგნობრები თუ უვიცები, მსახიობები თუ უბრალო მასხარები და, მოკლედ, ასე დიდი ხნის უნახავნი და „დანატრებულნი“ ჩავეხუტებით ერთმანეთს, ისე, ვითომ ჩვენ შორის არაფერიც არ მომხდარიყოს.

მერე ისე უსინდისოდ ვიტყვი — თურმე, როგორ გვყვარებია და როგორ მოგვნატრებია ერთმანეთით, რომ არც შეგვრცხვება და თითქოს ასიათასობით ჩვენი თანამემამულის სისხლში რუსების ხელი არ ერიოს. თითქოს ჩვენ წაგვერთმიოს იმათთვის რამე და არა — პირიქით. იმ ტრაგედიას კი, რომელიც რუსებმა თავს დაგვატყვეს, მხოლოდ რამდენიმე პოლიტიკოსის ხუმტურებს დავაბრალებთ, ჩვენ კი რა გვაქვს გასაყოფი, ჩვენ ხომ ისტორიულად მეგობრობის, სიყვარულისა და ურთიერთდახმარების მეტი არაფერი გვახსოვს ერთმანეთისგანო, იტყვიან რუსულ სიმებზე აწყობილი მედროვეები.

ამიტომაცაა, რომ ამბობენ რუსი პოლიტიკოსები, ყველაფერი დავივინყოთ და ცხოვრება ანუ ურთიერთობები ახალი ფურცლიდან დავიწყოთ.

არადა, ეს ყველაფერი ახალი ფურცელი კი არა, სიგიჟე და სულში ჩაფურთხება იქნება მთელი საქართველოსთვის. ისე, თუ ახალ ფურცლებსა და ცხოვრებაზე მიდგა საქმე, რუსებისთვის მისაღები მხოლოდ მის მკაცრ მორჩილებაში მყოფი საქართველოა.

ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს არ სურს, როგორც დასავლეთ ევროპის, ისე ამერიკის შეერთებული შტატებისკენ კურსაღებული საქართველო. არადა, ყველამ უნდა შეიგნოს, რომ თუნდაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, — ეს არ არის მხოლოდ ახირება ან რაღაც აკვიატებული პრინციპი. ეს არის თავდაცვის ის უნიკალური საშუალება, რომელიც პირდაპირ მისწრებაა ჩვენისთანა პატარა და დაუცველი ქვეყნისთვის. და თუ მაინცდამაინც პოლიტიკურ პრინციპებზე მიდგა საქმე, დიახაც, უნდა გვქონდეს ასეთი პრინციპი, რატომაც არა?

- ჩვენ ნატო გვჭირდება იმისთვის, რომ რაც გვაქვს, ისიც არ დაკვარგოთ.

დღესდღეობით, სხვა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე უფრო უკეთესი და ჩვენზე ზედგამოჭრილი თავდაცვის არანაირი სამხედრო მექანიზმი არ არსებობს, თორემ, რომ იყოს არჩევანი, ამას რა სჯობია, იქაც მოვსინჯავდით ძალებს.

არ არის მართალი, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ზოგიერთი პოლიტიკოსი და არა მარტო პოლიტიკოსი ნატოს უკვე უფუნქციოდ დარჩენილ ორგანიზაციად მოიხსენიებს. ყოველივე ეს შეცდომაა, რადგან თუ თავის დროზე ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის უმთავრეს მიზანს საბჭოთა კავშირიდან წამოსული სამხედრო აგრესიის მოგერიება წარმოადგენდა, დღეს არსებობს საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ წოდებული რუსეთი და ახლა უკვე ეს ქვეყანა უქმნის მთელს პროგრესულ სამყაროს უდიდეს საფრთხეს, რომლის თავიდან აცილება, ისევ და ისევ ნატოს ალიანსს ხელეწიფება.

ავილთ ევროპის ნებისმიერი ჩვენისთანა თუ ჩვენზე უფრო პატარა ქვეყანა და დაფიქრდეთ, რას კარგავენ ისინი ნატოს ალიანსის წევრობით? მე ვფიქრობ, კარგავენ კი არა, ბევრს იგებენ. და დღეს რომ ევროპის პატარა ქვეყნები ვინმესგან ხელშეუხებლობის გარანტიებით სარგებლობენ და ამ მხრივ სრულიად უდარდელი ცხოვრებით ტკბებიან, ეს უპირველესად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიღწევაა.

ამ ყველაფერს დანახვა უნდა და, თუ ვინმე ამას ვერ ამჩნევს, ის ან ბეცია, ან რუსულ თარგზე მოჭრილი ელემენტი, რომელსაც არაფრის გაგონება არ სურს, რაც ევროპულ და მსოფლიოს უსაფრთხოებასთან არის კავშირში.

ბოლოს და ბოლოს, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, უფრო ზუსტად, მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, მანამდე დამარცხებულ და საბჭოთა კავშირისგან ორად გაყოფილ გერმანიაში ამოქმედდა ეს პრინციპი:

- ნატო საჭიროა იმისთვის, რომ რაც გვაქვს, ისიც არ დაგვკარგოთ!  
ამიტომაც, 1955 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შეუერთდა ნატოს ალიანსს, რამაც მნიშვნელოვნად განამტკიცა ამ ქვეყნის სუვერენიტეტი.

ჩვენს ქვეყანას კი, სამწუხაროდ, დასაკარგი სწორედაც რომ ბევრი აქვს და, თუ გონიერი პოლიტიკა არ ვანარმოეთ, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ისეთი ნაღმია რუსების მიერ ჩადებული, რომ მტრისას, თუ ის ამოქმედდა.

ისე, ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ერთია სურვილები და გულის გაკეთება და მეორეა რეალობა, რომელიც ჩვენ გარშემო სუფევს. მაგალითად, როცა რუსების მიერ დაგებულ ნაღმს ვახსენებთ, აქ უპირველესად საუბარი საქართველოს სამხრეთ რეგიონზე, კერძოდ კი ჯავახეთზე გვაქვს. ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ ის, რომ როგორმე არაქართველ მოსახლეობას ნებისმიერი მოთხოვნა და-

ვუკმაყოფილოთ, არამედ ისიც, რომ, როგორ მოვახერხოთ მათი უმტკივნეულო ინტეგრაცია ქართველ საზოგადოებაში და როგორ ჩავაყენოთ ისინი ღირსეული ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობისა და განვითარების სამსახურში. დიახ, ჩვენი, ქართული სახელმწიფოს სამსახურში!

არადა, დღეს ჩვენთან სულ სხვაგვარი სურათია, რომელიც აუცილებლად ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს.

## თავი II

### ქართული — ყველასთვის სავალდებულო ენა საქართველოში

იმის შიშით, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობა არ გავანანყენოთ და შემდგომ მათ რაიმე სახის სერიოზული პოლიტიკური მოთხოვნები არ წამოაყენონ, ჩვენ იმაზეც კი თანახმა ვხდებით, რომ ეს ისედაც საქართველოს რეალობას მოწყვეტილი რეგიონები კიდევ უფრო დაშორდნენ ქართულ სახელმწიფოებრიობასა და კონსტიტუციას.

მერწმუნეთ, ეს თითოეული ჩვენგანის ბრალიცაა, როცა ჯავახეთში მცხოვრებ სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეებს ქართული ენა არაფერში არ სჭირდებათ.

ჩვენ ყველა ერთი უნდა გვიყვარდეს და პატივს ვცემდეთ, მითუმეტეს, თუ იმ ეროვნების წარმომადგენელი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეა, მაგრამ... აი, აქ იწყება და, ჩემი აზრით, მთავრდება კიდევ უმთავრესი.

- ისინი სცემენ პატივს ჩვენს ქვეყანას?

მე ვფიქრობ, რომ არავითარ შემთხვევაში, აქ პატივისცემის იოტისოდენა ჩანასახზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მაშ, როგორ შეიძლება დაიბადო, გაიზარდო, განვითარდე და მოქალაქეობა მიიღო იმ ქვეყანაში, რომლის სახელმწიფო ენაც შენთვის იმდენად უცხოა, რომ გამართულად ერთ ხეირიან წინადადებასაც ვერ იტყვი?!

მე ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი, ქართველების სირცხვილი და თავის მოჭრაა, როცა საქართველოს მოქალაქე სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი თუ ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენელი ქართულად ვერ ლაპარაკობს. პირდაპირ მინდა ვთქვა, საქართველოს პრობლემა ის კი არ არის, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქე არაქართველი მოსახლეობა ქართულად არ ლაპარაკობს, არამედ, პრობლემა ის არის, რომ საქართველოს მოქალაქე არაქართველ მოსახლეობას ქართული ენა არაფერში

არ სჭირდება. არადა, დამეთანხმებით, ერთია, როცა არ იცი, მაგრამ მეორეა, როცა არ გჭირდება.

ქართველ პოლიტიკოსებს რომ ჰკითხოთ, რატომ არ ლაპარაკობს არაქართველი მოსახლეობა ქართულადო, ყველას, თითქმის ერთი პასუხი ექნება.

მაგალითად, ჯავახეთში სომხებს საკმარისად არა აქვთ ქართული პრესა, სატელევიზიო არხები, სკოლები თუ სკოლამდელი დაწესებულებები, არ არის შექმნილი ქართული ენის შემსწავლელი კურსები და ამიტომაცაა, რომ ქართულს ვერ ლაპარაკობენო.

ისე, ერთი შეხედვით, ზემოთ მოყვანილი არგუმენტი თითქოს უტყუარია, მაგრამ, მერწმუნეთ, არც ისე და იმგვარად დგას საქმე, როგორც ჩვენ გვიხატავენ.

მე მაგალითად, ძალიან ბევრი საქართველოს მოქალაქე სომეხი, რუსი თუ აზერბაიჯანელი ეროვნების ადამიანი ვიცი, რომლებიც თბილისში დაიბადნენ, გაიზარდნენ, შეიძლება ითქვას, დაფრთიანდნენ, მაგრამ ქართული ენა მათთვის ისეთივე შორეული და გაუგებარია, როგორც ნაჰუას ტომების სალაპარაკო ენის გრამატიკა.

ახლა გეკითხებით, რასთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე?

ქართული პრესის, ტელევიზიისა და საგანმანათლებლო სისტემაში ქართული ელემენტების ნაკლებობას ნამდვილად რომ არ განიცდის თბილისი, ამაში მე მგონი, ყველა დამეთანხმება.

თუ ჯავახეთში და კიდევ სხვაგანაც ზემოხსენებული საკითხი სერიოზულ პრობლემად ქცეულა, მაშ, დედაქალაქში რაღა ღმერთი უწყრებათ?

უბრალოდ, თუ გული გულობს და იმ ქვეყანას, სადაც შენ ცხოვრობ პატივს სცემ და სულით ხორცამდე გიყვარს, სულ რომ თავდაყირა დაგკიდონ, მის სახელმწიფო, ოფიციალურ ენას უეჭველად ისწავლი.

მე შორს ვდგავარ იმ აზრისგან, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ რუს, სომეხ, აზერბაიჯანელ ან ნებისმიერი ეროვნების სტუმარს, რაიმე სახის დასმულ შეკითხვაზე უზრდელურად პასუხი არ გავცეთ და ქართული ენის ცოდნა მოვთხოვოთ, მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდდამხოლოდ ჩვენი ქვეყნის სტუმრებზე უნდა ვრცელდებოდეს. აქ მცხოვრებმა ანუ ჩვენ გვერდით მყოფმა არაქართველმა მოსახლეობამ კი კეთილი ინებოს და ისწავლოს და შეილებსაც ასწავლოს ის ენა, რომელიც მოქმედი ქართული კონსტიტუციით ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის სტატუსით სარგებლობს.

თუ ამ გზას დაადგებიან, მაშინ ვიტყვით, რომ მათ ჰყვარებიან ჩვენი საქართველო და ეს ქვეყანა მათთვისაც ისეთივე სამშობლოა, როგორიც ნებისმიერი ჩვენგანისთვის.

თუ არადა, რა გამოდის?

აბა, წარმოიდგინეთ, პიროვნება ცხოვრობს საქართველოში, სარგე-

ბლობს ამ ქვეყნის მოქალაქეობით, ჭამს ქართულ პურს, სვამს ქართულ ნყალს, სუნთქავს ქართულ ჰაერს, დააბიჯებს ქართულ მიწაზე, როცა იქნება, დაასრულებს ამქვეყნიურ ცხოვრებას და ისევ ქართულმა მიწამ უნდა მიიღოს... ამ დროს კი ქართული ენის სწავლა ცოცხალი თავით არ უნდა, არ სჭირდება, არ ეხალისება.

არაფერს არ ვამუქებ, ეს მამაპაპური პანღურია ამ საკითხში მთელმარე ქართველი საზოგადოებისთვის.

ჯავახეთში და ქვემო ქართლში მცხოვრებმა არაქართველმა მოსახლეობამ უნდა შეიგრძნოს, რომ ჩვენი საქართველო მათი სამშობლოცაა. ამისთვის კი მათ უნდა შეიყვარონ ქართული სული, ქართული მენტალიტეტი, ქართული სკოლები, ქართული წარწერები, ქართული სიმღერები, ქართული აზროვნება, ქართული ჯარი და მთლიანად ქართული სახელმწიფოებრიობა. მათ ასევე უნდა შეიგნონ, რომ ჩვენთვის ეს ყველაფერი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ყოველივე ამის პატივისცემას ვითხოვთ, როგორც საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი კონკრეტული ადამიანისგან, ისე მთლიანად ნებისმიერი რეგიონისგან თუ კუთხისგან, ხოლო რასაც კანონისა და კონსტიტუციის შესაბამისად მოვითხოვთ, იმას აუცილებლად მივალწევთ.

როცა გაგახსენდება, კაცს ტირილი მოგინდება და სიმწრით დაინწვები საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენებურების მდგომარეობით. ძალიან კარგად ვიცი, ევროპაში მიმოფანტული ქართველები საარსებო საშუალების გამოსამუშავებლად შრომობენ, ნვალობენ, შავ სამუშაოს არ თაკილობენ, მაგრამ ამავე დროს, პარალელურ რეჟიმში, ხელში ლექსიკონი უჭირავთ და ადგილობრივ ენას სწავლობენ. დიახ, ითვისებენ სრულიად უცხო ენას, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პატივს სცემენ იმ ქვეყანას და ადგილობრივ მოსახლეობას და მეორეც, იციან, რომ ადგილობრივი ენის უცოდინრობით ვერც მოქალაქეობას მიართმევს ვინმე და ვერც რაიმე სერიოზულ სამსახურს იშოვიან.

ჩვენთან კი რა ხდება? ძალიან მარტივად, რაღაც პურის ტალონებივით ხომ არ ვარიგებთ ამ მოქალაქეობას?

გასაგებია, რომ აქ დაბადებულ და გაზრდილ ეროვნებით არაქართველ ადამიანს ქართული ენის არცოდნის გამო, ძნელია მოქალაქეობაზე უარი უთხრა, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. თუ სურვილი იქნება, შეიძლება რაიმე მექანიზმის მოფიქრება, რომელიც ამ საქმეში პრობლემებს მოგვიგვარებს.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტს, მან თავისუფლად შეიძლება მიიღოს კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, რომლის ამოქმედების შემდგომაც, პიროვნება ვერ გახდება საქართველოს მოქალაქე თუ იგი სრულყოფილად არ ფლობს ქართულ ანუ სახელმწიფო ენას.

მაგალითი შეიძლება ავიღოთ დასავლეთ ევროპისა და მთლიანად მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებიდან, სადაც ადგილობრივი ენის

არმცოდნე პიროვნებას ქვეყნის მოქალაქეობას არავინ არ მიართმევს.

ვფიქრობ, რომ ეს პრობლემა მუდმივად იქნება ჩვენს ქვეყანაში, სანამ რუსულენოვან სკოლებსა თუ სკოლამდელ დაწესებულებებს ფართო გაქანება ექნებათ საქართველოში.

რუსული ენა სავალდებულო საგნად არ უნდა ჩაითვალოს საქართველოს არც ერთ სკოლასა თუ ნებისმიერი სახის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რადგან ეს ენა ეროვნებით არაქართველ მოსახლეობას ნოციერ ნიადაგს უქმნის თავის იოლად გატანისა და გადარჩენისათვის. მათ არავინ არ ავალდებულებს ქართულად აზროვნებას, ქართულად ლაპარაკსა თუ განათლების მიღებას. ისინიც, რუსულ ენასა და მენტალიტეტს ამოფარებულნი, უპრობლემოდ იღებენ საქართველოს მოქალაქეობას, ისე, რომ ორიოდ გამართული წინადადება რა გახდა, იმასაც ვერ ამბობენ ქართულად.

არა მგონია, ქართულ სახელმწიფოს რაიმე ვალდებულება ჰქონდეს აღებული იმისთვის, რომ გინდა თუ არა, აუცილებლად უნდა დააფინანსოს რუსულენოვანი საჯარო სკოლები ან სკოლამდელი დაწესებულებები. მე აქ ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან გაღებულ დაფინანსებას ვგულისხმობ, თორემ კერძო სექტორი რას და როგორ მოახერხებს, ეს მისი გადასაწყვეტია.

ზოგი მფრთხალი პესიმისტი შიშობს, ევროპა ვერ გაგვიგებს და დიქტატორებად მოგვნათლავსო.

ჯერ ერთი, წარმოუდგენელია, რომ პროგრესულმა ევროპამ დასავლურ ღირებულებებისკენ კურსადებული საქართველო, როგორც რუსული ენის, ისე გადაგვარებული რუსული ფასეულობების უგულვებელყოფისთვის გაკიცხოს და მეორეც, ეს გზა ჩვენამდე აღმოსავლეთ ევროპის ყველა მონინავე ქვეყანამ და განსაკუთრებით კი ბალტიისპირეთმა უკვე გაიარა. დაუჯერებელია, ევროკავშირი ან ევროსაბჭო ევროპის ნებისმიერ ქვეყანას ავალდებულებდეს, გინდათ თუ არა, საგანმანათლებლო სისტემაში რუსულ ენას რაიმე სტატუსი და სახელმწიფო დაფინანსება მიეცით, თორემ პრობლემებს შეგიქმნითო.

მე მძულს შოვინიზმი, მაგრამ უფრო მეტად ის ხალხი მზარავს, ვინც საკუთარი ქვეყნის მომავლის მიმართ გულგრილია.

მე ასევე მეზიზღება ნაციზმი, მაგრამ ამაზე უფრო მეტად ადამიანში არაეროვნულობა მალიზიანებს.

მე ვერასოდეს შევეგუები დიქტატურას, მაგრამ ვერც იმას ავიტან, რომ ჩემს სამშობლოში, ვითომ დემოკრატიის ყალბ ლოზუნგებს ამოფარებულმა ვიღაც ვიგინდარებმა ქართული ენა შემირცხვიონ.

მოკლედ, თუ რაიმე პრობლემაა, ის ისევ ჩვენშია და მისი გადაჭრის გზებიც საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ.

### თავი III

## რუსული მშობლიურ ენაზე უფრო იოლია?

ზემოთ პრორუსული მენტალიტეტი ვახსენე და განა ის პრობლემა არაა, როცა ქართველები ერთმანეთში რუსულ ენაზე საუბრობენ? რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი პრობლემაა და ისე, როგორც ნებისმიერი თქვენგანი, ჩემდა სამწუხაროდ, მეც საკმაოდ ხშირად შევსწრებივარ ამგვარ სამარცხვინო ფაქტს.

მე ასე მწამს, რომ ერთი ეროვნების ორი ან რამდენიმე ადამიანი ერთმანეთში უცხო ენაზე მხოლოდ მაშინ საუბრობს, თუ ამ ენაში პრაქტიკის მიღება ანუ სასაუბრო ენის დახვეწა უნდათ. და თუ პრაქტიკა, ესე იგი, სალაპარაკო ენის დახვეწა არაფერ შუაშია და უბრალოდ, ასე, რუსულად უფრო „ესვეტებათ“ საუბარი, მე ამას ცხოვრების რთულ გზაზე შეძენილ რუსულ ავადმყოფობას ანუ ხეპრობასთან გათანაბრებულ პროვინციალიზმის გამოვლენის უმაღლეს მწვერვალს ვეძახი.

სწორედ მსგავს ფაქტს შევესწარი რამდენიმე თვის წინ სუფრაზე და ამან ისე გამაცეცხლა, რომ სასწრაფოდ დავტოვე იქაურობა.

მეგობარმა მცხეთაში დამპატიჟა, ერთი კარგი რესტორანი ვიცი, დავსხდეთ, ცოტას გულს გადავავოლებთ და გავერთობითო, მერე ისიც მითხრა, რომ სხვა ხალხიც უნდა ყოფილიყო მიპატიჟებული. მოკლედ რომ ვთქვა, დაახლოებით თხუთმეტკაციან სუფრაზე მოვხვდი. დაიწყო ქეიფი და სულ მცირე ხანში ერთ რალაცას მივაქციე ყურადღება - ჩემ გვერდით მსხდომი თანასუფრელები დროგამოშვებით, შიგადაშიგ, რალაც გარკვეული ინტერვალების შემდეგ რუსულად საუბრობდნენ. არა, აქ ცალკეული რუსული სიტყვების გამოყენებაზე ან ერთ-ორ წინადადებაზე, თუნდაც ჟარგონზე არ მაქვს ლაპარაკი. რუსულად საუბრობდნენ, მაშასადამე, ჩვეულებრივი, სალაპარაკო რუსულით კონტაქტობდნენ ერთმანეთთან. მე ჯერ ვერ მივხვდი, რადგან ვიფიქრე, რალაც მომეჩვენა, მაგრამ ქართულად გადალაპარაკების შემდეგ, ისევე რუსულად რომ ამეტყველდნენ, დავინტერესდი მათი ვინაობით.

აფხაზეთიდან დევნილები, მაგრამ ძალიან კარგად მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები აღმოჩნდნენ. აქვთ კარგი, შემოსავლიანი სამსახურები, თავისი პატარ-პატარა „ბიზნესებით“, რაც ასე მოდაშია ჩვენთან. ბინები, მანქანები, საუცხოო ოჯახები, მშვენიერი სამეგობრო წრე და, მოკლედ, თითქმის ყველაფერი, რაც ბედნიერებისთვის სჭირდება ადამიანს. მაგრამ ერთადერთი, რაც მათ გულს აკლდა, ეს საქართველოს ძირძველი კუთხე, აფხაზეთი ყოფილა, მამაპაპისეული კარმიდამო, რომელშიც დღეს შეიძლება ვილაც ქართველთმოძულე ავაზაკი, გადაგვარებული არაკაცი ცხოვრობს. ერთი სული აქვთ ამ ჩვენებურ ქალბატონებსა და ბატონებს, როდის დაბრუნდებიან იმ მადლიან, დალოცვილ მიწაზე? როდის იხილავენ ცრემლებამდე მონატრებულ აფხაზეთის ზღ-



ვას? როდის შეიგრძნობენ კვლავაც იქაური მაგნოლიის ენითაუნერელ სურნელს? როდის დატკბებიან საღამოობით მთელი დღის დაღლილ-დაქანცული, გავარვარებული და განითლებული მზის ლამაზად ჩასვლით? როდის გაათბობენ საკუთარ კერას?

მოკლედ, როდის? როდის? და როდის?

ყველაფერი თქვეს, ბოლოს კი თავად ხომ ატირდნენ და ატირდნენ, ახლა სხვებსაც გადმოაყრევიან ცრემლები.

- ესე იგი, ქართული სულის დაბრუნება გინდათ აფხაზეთში, არა? - დავინტერესდი მე.

- კი, ძალიან გვინდა! - იყო პასუხი.

ოლონდ, ამჯერად დამაფასეს და ქართულად ალაპარაკდნენ.

- ისე, ძალიან მაინტერესებს, ერთმანეთში რუსულად რატომ ლაპარაკობთ ხოლმე? - ვკითხე მოურიდებლად.

- იცით, რა? ჩვენთვის ასე უფრო იოლია და, საერთოდ, მე ვერავინ ვერ ამიკრძალავს რუსულად ლაპარაკს! - მიპასუხა ერთმა.

- ქართულად ლაპარაკს გიკრძალავთ ვინმე? - გულწრფელად დავინტერესდი მე.

- ხომ გითხარით, ასე მირჩევნია-მეთქი! - დაიჟინა მან.

- ამიტომაც გეუბნებით, რომ მიმიფურთხებია თქვენგან დამახინჯებული ისეთი ქართული სულისთვის, რომლის დაბრუნებასაც, პირადად თქვენ აფხაზეთში აპირებთ! - ვთქვი მე და პასუხს აღარ დაველოდე, პირდაპირ კარისკენ გავემართე.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემი მეგობრის დიდი ხვენწა-მუდარის მიუხედავად, სუფრა მაინც დავტოვე და წამოვედი, რადგან წამდვილად არ მქონდა სურვილი, ვილაც პროვინციალიზმით დაავადებულ პრანჭუკელა მედროვეებთან მაღალ მატერიებზე ფუჭად მესაუბრა.

რა გამოდის? ქართული არ ეხერხებათ, რადგან აფხაზეთში დაიბადნენ და ყველა ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობი მიზეზების გამო, კომუნისტების პერიოდში იქ რუსული უფრო გასავალში იყო, ვიდრე ქართული.

მოკლედ, ქართული არ უსწავლიათ თუ თავის დროზე დავინწყებულ ვიღარ აღიდგინეს, ეს თავად განსაჯეთ.

აქ ჩამოვიდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 17-18 წელია, ჩვენ გვერდით ცხოვრობენ, არავითარი წინსვლა, არავითარი პროგრესი, ქართული ენის მხრივ ისევ იმ გულგრილ მდგომარეობას ინარჩუნებენ, რაც აქამდე ჰქონდათ.

აღიბი კი, იცოცხლეთ, ისეთი აქვთ, რომ სიმწრით სულ ცოფებს გაყრევიანებენ კაცს.

ისე, ძალიან მაინტერესებს, თუ თავის დროზე, გარკვეული მიზეზების გამო, ქართულის ანუ მშობლიური ენის არმესწავლა ან სულაც პრაქტიკის უქონლობის გამო მისი დავინწყება შეიძლება, რატომ არ

შეიძლება, იმავე დოზით რუსული ენის დავიწყება ან საერთოდ იგნორირება?

გადაგვარებულო, პირუტყვის მსგავსო ადამიანო, ხომ ხედავ თანამედროვე ადამიანის გონება იმდენად განვითარდა და წინ წავიდა, რომ ლამისაა ცხოველები აამეტყველონ და მიცვალებულები გააცოცხლონ. შენ კიდევ, ოცდამეერთე საუკუნის ვითომ ცივილიზებული ადამიანი შენთვის მშობლიურ, ქართულ ენაზე ნორმალურად ვერ ალაპარაკებულხარ. რუსულად კი საუბრობ, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არც რუსული იცი ზედმინეწით და არც ქართულის სწავლა გინდა. შედეგად კი, ხარ ასე, ამ ორ ენას შორის სამარცხვინოდ გაკვეთებული და უსამშობლო ადამიანივით სადღაც ჰაერში გამოკიდებული.

უსამშობლო ადამიანს იმიტომ გინოდებ, რომ ქართული სრულყოფილად არ იცი და თუ რამეს ამოილულულებ ხოლმე, მაშინაც საშინელი რუსული აქცენტით ამახინჯებ იმ ქვეყნის სახელმწიფო ენას, რომელიც წესით შენთვის უპირველესი უნდა იყოს. ამიტომაც, ეს ქვეყანა შენი სამშობლო არაა, რადგან საქართველო შენს გულში არ ზის და არც არასოდეს მჯდარა. და თუ საქართველოს მოქალაქეობას იღებ, ამასაც მხოლოდ იმისთვის აკეთებ, რომ საზღვარგარეთის პასპორტის ასაღებად გჭირდება. ისიც კარგად მოგეხსენება, საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობის გარეშე, შეიძლება ქალაქიდან ან სახლიდან ფეხიც კი ვერ გაადგა გარეთ.

მოკლედ, საქართველო შენთვის არა გული და სული, არამედ მხოლოდ პასპორტადქცეული ერთი პატარა დაშტამპული ქალაქია, რომელიც სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთისას ან რაიმე დოკუმენტების გაფორმებისას გჭირდება.

სულ ეს არის შენი ვითომ ქართველობა.

არადა, აფხაზეთში დატოვებული კარ-მიდამო მენატრებაო, ამბობ.

კი, მართლაც გენატრება, ამაში ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ არავის სჭირდება შენგან ასეთი სახის მონატრება, რადგან მხოლოდ ხალხისთვის მოსაჩვენებელი არტისტობა და პოზიორობა გაგიხდია მისაღებ საქმედ.

ალბათ, წინასწარ დიდხანს ჯახირობ ხოლმე იმ სიტყვებისა და მანერების დამუშავებაზე თუ რა თქვა სუფრაზე ან როგორ მოაჩვენო საზოგადოებას ბრძენ, დიდბუნოვან და პატრიოტ ადამიანად თავი. გიყვარს ისეთი თემის შემოგდება, რომელიც იცი, რომ ყველა ჩვენთაგანს გულის სიმებზე მსუბუქად ხვდება და შემდეგ უკვე წინდანინ დაზუთხული და ლამაზად შეფუთული, ყალბი ფრაზებით ცდილობ ადამიანებისთვის თვალის ახვევას. სინამდვილეში კი ყოველივე ამას მოსაჩვენებლად, მხოლოდ საკუთარი თავის წამებულ რაინდად წარმოსაჩენად აკეთებ.

ეს კი უკვე თამაშია! პირადად ჩემთვის, საშინელი და გულისამრევი თამაში.

დამიჯერე, სულ ტყუილად ირჯები და შენი შედეგიც მანამდე ყოველთვის ნული იქნება, სანამ უნიჭო მსახიობობას თავს არ დაანებებ და საქართველოს წინაშე ტვინგამოცლილ სირაქლემას პოზაში დგომას არ გადაეჩვევი.

თავს დავდებ, შენ ქართული აფხაზეთი კი არ გენატრება, არამედ საშუალება რომ მოგეცეს, რუსეთის დროშაგადაფარებულ აფხაზეთში დღესაც მშვენივრად დაბრუნდებოდი, იცხოვრებდი და ისეთ, ჯერ არნახულ სიამ-ტკბილობაში გაატარებდი წუთისოფლის დარჩენილ წლებს, რომ ერთხელაც არ გაგახსენდებოდა ის ქვეყანა, რომელიც შენთვის ერთადერთ და საყვარელ სამშობლოდ უნდა მოიხსენიებოდეს.

შენდა საუბედუროდ, იმ გატალახიანებულ რუსულ ჩექმაში ფეხი უკვე აღარ ჩაგდის, ხოლო ჩვენდა სამნუხაროდ, როგორც ჩანს, ყოველივე ქართულის ათვისებას პრინციპულად არ აპირებ.

კიდევ იმიტომ ხარ საცოდავი, რომ გადაგიყრია მაგ თავზე ნაცარი და ისედაც გამომშრალ-გამოფიტულ ტვინზე ობი მოგკიდებია.

საუკუნის ხორცმეტო, განა 17-18 წელი არ არის საკმარისი დრო იმისთვის, რომ შენთვის მშობლიური ქართული ანუ ის ენა, რომელზეც შენი წინაპრები ლაპარაკობდნენ, ისე მაინც შეისწავლო, მასთან შედარებით რუსული საუბარი უფრო იოლად არ მოგეჩვენოს?

საკმარისზე საკმარისი დროა, უბრალოდ, ბევრი ჩვენი თანამემამულის მსგავსად, პირადად შენც ჯანსაღი აზროვნების მხრივ სერიოზულ დეფიციტს განიცდი.

\* \* \*

აზროვნებაში დეფიციტის კი არა და, უკვე განსაკუთრებული ლატის ნიშანია ის, როცა პიროვნება დღესდღეობით ჩვენი უპირველესი მტრის, რუსების შემოსვლას ნატრობს საქართველოში.

დღევანდელ ოპოზიციურ სპექტრში ხშირად გვინახავს ასეთი არანორმალური განწყობა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც რადიკალიზმით თავგამოდებულ ოპოზიციას კარგა ხნის ნაცოდვილარ-ნანვალები საპროტესტო ტალღა მიუწელდა. სულ სხვა თემაა, თუ რატომ და როგორ მოხდა ეს ყველაფერი. უბრალოდ, მე ახლა, აქ იმ სულიერი ავადმყოფობისმაგვარზე მაქვს ლაპარაკი, რაც ისედაც მრავალჭირნახულ ქართველ საზოგადოებას საუკუნის სენივით მოსდებია.

დიახ, სენია ისიც, როცა ადამიანს ისე აქვს ახირებული რაიმე საქმე, რომ თანახმაა, თუნდაც მტრის, ამ შემთხვევაში რუსულ ტანკზე შემომჯდარმა შური იძიოს საკუთარ თანამემამულეებზე.

## თავი IV

### რას მოიმოქმედებდა გერმანია?

როდესაც დისკუსია მიდის საქართველოს სამომავლო პერსპექტივებსა და საერთაშორისო ურთიერთობების დარეგულირებაზე, განსაკუთრებული ადგილი, ბუნებრივია, საქართველო-რუსეთის შემდგომ ურთიერთობებს უჭირავს.

ბევრ ოპონენტს რატომღაც გერმანიის მაგალითი მოჰყავს. აქაოდა, თავად მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო, გერმანია, ცდილობს რუსეთთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაჯანსაღებას და ჩვენისთანა პატარა ქვეყანამ რომ რუსებთან მეგობრობა აირჩიოს, ამაში ცუდი ნამდვილად არაფერი არ არისო.

თავისთავად ცხადია, მეგობრობა ნებისმიერ ქვეყანასთან და მათ შორის რუსეთთანაც შეიძლება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, აუცილებელიც არის, რადგან სხვაგვარად ჩვენს პლანეტაზე მშვიდობა და თანამეგობრობა ვერ დაისადგურებს და შედეგად მუდმივად გვექნება ცხელი წერტილები ან გაყინული კონფლიქტები, რომლებიც მშვიდობიანად ყოფნისა და სტაბილურობის საშუალებას არ მოგვცემს.

მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, როცა ვსაუბრობთ გერმანია-რუსეთის ბოლო დროს აშკარად დამთბარ ურთიერთობებზე, იმავე მოდელის პირდაპირ ქართულ სიბრტყეში ანუ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში გადმოტანა ნებისმიერი ადამიანისგან სიბრყვიისა და უვიცობის გამოხატულებაა.

ყოველივე სიბრყვეა იმიტომ, რომ გერმანია უძლიერესი ეკონომიკისა და, რაც მთავარია, უკვე გარანტირებული თავდაცვისუნარიანობის მქონე ქვეყანაა. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მათ უპრობლემოდ შეძლეს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში და ევროკავშირში გაწევრიანება. ახლა უკვე ეს ქვეყანა ამ ორივე პრესტიჟული გაერთიანების ლიდერი სახელმწიფოა.

მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, უფრო ზუსტად, 1990 წელს გერმანელებმა რუსებისგან ოკუპირებული ტერიტორიების უმტკივნეულოდ დაბრუნება და მთელი ქვეყნის გაერთიანება მოახერხეს, თუმცა, ისეთი ტერიტორიებიც იყო, რომელთა დაკარგვასაც, გასაგები მიზეზების გამო, ისინი საბოლოოდ შეურიგდნენ. აქ, ძირითადად, ლაპარაკია აღმოსავლეთ პრუსიაზე, დღევანდელ კალინინგრადის ოლქზე და სილეზიის იმ ნაწილზე, რომელიც უკვე პოლონეთს ეკუთვნის.

1990-1994 წლებში გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ასევე შეძლო თითქმის ნახევარმილიონიანი საბჭოთა დამპყრობელი ჯარის ეტაპობრივად გაძევება ისტორიულად საკუთარი მიწა-წყლიდან ანუ ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიიდან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს ანუ ოთხ-მოცდაათიანი წლების დასაწყისში გერმანელებმა გააკეთეს მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც მათ შეეძლოთ – დაიბრუნეს მტრისგან მიტაცებული მთელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და მსოფლიოს კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაანახვეს, რომ თუ ერთი ღირსეულია, ოკუპანტებს ჩექმის ლოკვას კი არ დაუნყებს, არამედ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მაინც ცხვირიდან სულ ძმრად ამოადენს იმას, რაც თავის დროზე მათ მიმართ მიუქარავთ.

მე ვფიქრობ, რომ სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი, გერმანელების მიერ განვლილი გზა გვაქვს ქართველებსაც გასავლელი, რადგან ჩვენთვისაც ნატოს და ევროკავშირის წევრობა გამხდარა უმთავრესად პრიორიტეტული საკითხი და ჩვენი ტერიტორიებიც ისევე ოკუპირებულია რუსებისგან, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანელებისა იყო. კი, რა თქმა უნდა, ჩვენი და თავის დროზე გერმანელების ოკუპაციის ხარისხში რაღაც განსხვავებებიც არის, მაგრამ მთავარი მაინც ერთია.

არც კომუნისტური გერმანიის ვითომც დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ ვრცელდებოდა დასავლეთგერმანული იურისდიქცია და არც დღევანდელი აფხაზეთი და სამაჩაბლოა ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში.

მაგრამ დღეს, ხედავთ, რა ხდება? რამდენი რამის გაკეთება ანუ სათავისოდ შემობრუნება მოასწრეს გერმანელებმა?

ჩვენც იგივე უნდა მოვახერხოთ, ოღონდ, ბუნებრივია, დროის უფრო მცირე მონაკვეთში.

ახლა კი უკვე აქვთ გერმანელებს სრული საფუძველი და უფლება იმისა, რომ ღიმილნარევი სახეებით ელაპარაკონ იმ რუსებს, რომელთაც თავის დროზე საერთაშორისო ზენოლით თუ საკუთარი პრინციპული პოლიტიკით ყველაფერი გააკეთებინეს ისე, როგორც თავად სურდათ.

ჩვენ კი რა?

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ვერა და ვერ მოვახერხეთ ისეთი თავდაცვისუნარიანობის მქონე მექანიზმის მონახვა, რომელიც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების სრული გარანტი იქნება.

საქართველო ჯერ კიდევ ძიების პროცესშია.

დღევანდელი გერმანიის ადგილზე, არ გაგიკვირდეთ, რომ საქართველოც ისე მოქცეულიყო, როგორც დღეს გერმანია იქცევა და ეს სავსებით ლოგიკური პოლიტიკური ნაბიჯიც იქნებოდა.

თუ ვინმესთვის რაიმე კიდევ დარჩა გაუგებარი, ამ საკითხში სიცხადის შეტანის მიზნით კითხვა ასე მინდა დავსვა.

- დღეს ქართველების ადგილზე, რას მოიმოქმედებდა რუსებისგან ტერიტორიებწართმეული, თავმოყვარე გერმანელი ერი?

მე მაინც, არა მგონია, რომ ისინი ოკუპანტებთან რაიმე სახის დათ-

მოზაზე წასულიყვნენ. თუმცა, კონკრეტულად რას, როდის და როგორ მოახერხებდნენ, ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ.

ჩვენს ადგილზე მყოფი გერმანია იმ თანამემამულეებს, ვისაც მხოლოდ პირადი ინიციატივით რუსეთში გავარდნილს და პუტინ-მედვედევის კარზე სამარცხვინოდ დაჩოქილს ნახავდა, მერწმუნეთ, ნიურნბერგის განმეორებით პროცესს უეჭველად მოუწყობდა და სიცოცხლის თუ არა, საკუთარ ქვეყანაში მოლალატეობრივი ხლაფორთისა და პოლიტიკური კლიმატის დაბინძურების უფლებას სამუდამოდ ჩამოართმევდა.

## თავი V

### რუსული ნოსტალგია - ეს გადაგვარებული ზღაპარია

ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებაში ძირითადად, მაინც მიუღებელია ხელისუფლებაზე და განსაკუთრებით კი პრეზიდენტზე რაიმე დადებითი თქმა. ხელისუფლება სულ რომ ცამდე მართალი იყოს, ის მაინც ტყუის, ის მაინც უნდა წავიდეს. ასეთია ოპონენტთა ლოგიკა და, ვინც ამას არ ეთანხმება, ის საქმეში ჩაუხედავი ან უარეს შემთხვევაში, ქვეყნის მოლალატეა. ეს ასეა და ასეთი მდაბიური შეხედულებების შეცვლას დრო ანუ პოლიტიკური კულტურის ამაღლება სჭირდება.

ჩემდა სამწუხაროდ, ასეთი „მოლალატის“ როლში მეც ძალიან ხშირად აღმოვჩენილვარ, როცა დამიგმია ის საზარელი პათოსი, რასაც ზოგიერთი სწორგზასაცდენილი განიცდის.

მე ვთვლი, რომ ვინც საქართველო, საქართველოს ხმამალა, ხმის იოგების ჩანყვეტამდე გაჰკივის, ყველა მათგანი საქართველოს ალალი პატრიოტი არაფრით არ იქნება, რადგან ოთხმოცდაათიან წლებში, განსაკუთრებით კი მის დასაწყისში, არავიზე ნაკლებად არ ბლაოდნენ მხედრიონელები. იმათი ხმის ჩახლეჩვამდე საქართველო, საქართველოს ხავილი დღესაც ყურში მიდგას და რა მერე? სწორედ ამ ბრბომ დაატეხა დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს ის სირცხვილი და უბედურება, რასაც ჩვენი ქვეყნის ულამაზესი კუთხის, სამეგრელოს ნებისმიერი მცხოვრები დღესაც თვალცრემლიანი იხსენებს.

ასე რომ, საქართველო ყველა მხედრიონელისთვის მხოლოდ საკუთარი კუჭი და კარიერა იყო. სხვა მათ ბუნებრივია, არ აინტერესებდათ. დღეს კი უკვე ის დრო აღარაა და ჩვენ იმ გადაგვარებულ ბრბოზე მალა

უნდა დავდგეთ. ამიტომაც ვამბობ, მთავარია, არა მხოლოდ საკუთარი ცხოვრების ასაწყობად ღმუილი, არამედ, თუნდაც უჩუმრად, მაგრამ მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ საქმის კეთება.

ახლა კი კონკრეტულად ამ ქვესათაურის თემაზე გადავიდეთ, რომელიც რუსულ ნოსტალგიას შეეხება.

წარმოიდგინეთ, ზაფხულის ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი დღეა და მაგიდასთან შემომსხდარი ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოება რაღაცას ფუსფუსებს. ეს ის პერიოდია, ადგილობრივი არჩევნები რომ წავაგეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური უპერსპექტივობისა და იმედგაცრუების ხანა იწყება მთელს ოპოზიციურ სპექტრში. მაგალითად, ჩვენგან პარტიის თავმჯდომარე კი მოხვდა ისევ თბილისის საკრებულოში, მაგრამ ეს ფაქტიურად არაფერს არ ცვლის, რადგან იგი წინა მოწვევის საკრებულოს წევრიც იყო. პარტიას და მთლიანად პოლიტიკას კი ახალი სისხლი და ახალი სახეები სჭირდება, ასე ვფიქრობდი მე ყოველთვის და ამიტომაც, ეს მინიმალურზე მინიმალური შედეგი, პირადად ჩემთვის ვერავითარი ნუგეში ვერ იქნებოდა.

მოკლედ, ამ ფუსფუსში მესმის ჩემთვის ვიღაც სრულიად უცნობი მამაკაცის ხმა, რომ თურმე ერთადერთი გამოსავალი ისევ რუსულ გავლენაში დაბრუნება, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან ძველი ურთიერთობების აღდგენა, ჩახუტება, ისევ დამეგობრება და, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ძველებურ სიამტკბილობაში ყოფნაა, სხვა გზა ჩვენს ქვეყანას აღარ დარჩენია, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება და ასეთე-ბი...

თუმცა, ამ ადგილს ისევ დაეუბრუნდებით, მანამდე კი, თქვენის ნებართვით, ერთი რამ მინდა ვთქვა.

ყველამ კარგად იცის, რომ ოპოზიციური სპექტრი ორადაა გაყოფილი, ერთი ნაწილი დასავლეთისკენ იცქირება, ხოლო მეორე ნაწილს კი თვალი ისევ რუსეთისკენ უჭირავს. თუ დასავლური ხედვის პოლიტიკოსები არჩევნების წინ ევროპასა და აშშ-ს სტუმრობდნენ, მათი პრორუსული კოლეგების გზები, ძირითადად, მაინც რუსეთის დედაქალაქისკენ მიდიოდა. ყოველივე ეს ხდებოდა აშკარად და დაუფარავად, ფაქტიურად არავინ არაფერს არ მაღავდა, რადგან ისედაც უკვე ყველაფერი ნათელი და ცხადი იყო. ერთ ნაწილს სწამდა დასავლეთის, ხოლო მეორე ნაწილს მზე ისევ ჩრდილოეთიდან ამოსდიოდა.

მე კი, ბუნებრივია, არა მარტო არ მომწონს, არამედ საოცრად მაღიზიანებს რუსეთთან საქმის ისე დაჭერა, რაც შეიძლება სამომავლოდ მის მუდმივ მორჩილებაში გადასვლით დაგვირგვინდეს.

არავითარი რუსეთი, არავითარი მათთან მეგობრობა, არავითარი ვაშლი, ფორთოხალი და მანდარინი. ჯერ აფხაზეთი და სამაჩაბლო

დაგვიბრუნონ და მერე ჩააკოკლოზინებინეთ ქართული ხილის არომატს დანატრებულ რუსებს ეგ ფართოდ დაღებული პირები. სანამ ჩვენს მიწა-წყალს არ დაგვიბრუნებენ, ხილი კი არა, შხამი უნდა მიჰქონდეს ქართველ გლეხს სრულიად რუსეთში, შხამი და არაფერი შხამის გარდა.

და საერთოდ, ის ქართველი გლეხი, ვინც ახლა რუსეთში წავა, რათა ჩვენს მტრებს კუჭის ამოსაყორად ხორაგი ჩაუტანოს და ამით ისინი ვიტამინებით მოაძლიეროს, გლეხი კი არა, სპეკულანტია, წმინდა წყლის სპეკულანტი.

ხოლო ის ქართველი მომღერალი, ვინც ქართულ სისხლზე დაგეჟილ რუსის სამხედროებს ომზე, სამშობლოზე, ნოსტალგიაზე, გამარჯვებასა და სიცოცხლეზე უმღერებს, მომღერალი კი არა, მეძავია, ფულს დახარბებული, დაქირავებული მეძავი.

აქედან გამომდინარე, ვილაც სპეკულანტებისა და მეძავების ინტერესებს ქვეყნის ინტერესებზე წინ არასოდეს დავაყენებ.

ეს არის ჩემი პოზიცია და ამას ვერავინ შემაცვლევინებს.

კიდევ ის გახლავთ ჩემი მუდმივი გაცხარების მიზეზი, როცა რუსებსა და რუსეთზე თვალეზმინაბულ პოზაში, ვინმე ქართველების მეღანქოლიური ტონით საუბრებს ვისმენ.

ახლა ისევ იმ საუბარს დავუბრუნდები, რომელზე თხრობაც ცოტა ზემოთ დავინყე.

მაშ, მეტის მოთმენა აღარ შეიძლებაო, ბრძანა ერთ-ერთმა მა-მაკაცმა.

- რისი მოთმენა აღარ შეიძლება? - მეც ჩავერიე საუბარში.

- რისი და იმის მოთმენა, რაც ჩვენს თავს ხდება! - იყო საქმიანი და ყოჩაღი პასუხი.

- კარგი ცხოვრება რომ გვინდა, ამისთვის, მაინცდამაინც რუსებთან ჩახუტებაა საჭირო? - გამეცინა მე.

- დიახ, დიახ, დიახხხხხხხხხხხხხხხხხხხხხ! - გაისმა ყველა მხრიდან.

მე არც მანამდე მიცნობდა ვინმე ყველაფერზე თავის დამკვრელ და მდუმარე ობიექტად, რადგან ყოველთვის ვცდილობდი, თეთრი ყვავივით მეჩხავლა სწორედ იქ, სადაც ყველაზე მეტად იყო ჩხვლეტა და ჩანი-სკარტება საჭირო.

აი, ლაპარაკმა მოიტანა და კი ბატონო, გეუბნებით, რომ ისე, როგორც ყველა ადამიანს, ერთი შეხედვით, თქვენც გაქვთ უფლება, რუსებთან იქნება თუ ნებისმიერ სხვასთან, მეგობრობა, ძველი ურთიერთობების აღდგენა ან ერთმანეთთან კიდევ უფრო მჭიდროდ დაახლოება მოითხოვოთ. ეს მხოლოდ თქვენი არჩევანია, ჩემი აზრით, საკმაოდ მცდარი არჩევანი, თუმცა, ნება თქვენია, იდექით ამ პოზიციაზე და დრო დაგანახვებთ, რომ თქვენი შეხედულებები უნაყოფო და ფუჭია. რაც შეეხება ცალკე ჩემს პირად პოზიციას. თუ ვინმეს აინტერესებს,



ასეთია: - რუსების მიერ დამხოზილ საქართველოს ხელისუფლებას და შემდეგ კრემლიდან ჩვენს ქვეყანაში საკუთარი მარიონეტის დასმას, დამიჯერეთ, მე ისევ სააკაშვილი მირჩევნია-მეთქი.

ბუნებრივია, ჩემს პასუხზე იქ მყოფთაგან ზოგი შეცბა, ზოგს არ ესიამოვნა, ზოგს უხერხულად გაელიმა, ზოგი, ალბათ, ქვეცნობიერად დამეთანხმა კიდევ, მაგრამ, მთლიანობაში, ისე გამოვიდა, რომ რაღაც რადიკალური ოპოზიციის მაგვარი იარლიყი სამუდამოდ ჩამომხსნეს და ბევრმა მათგანმა, ადვილი შესაძლებელია, მაშინვე საკუთარი შეხედულებებისთვის გამოუსადეგარ ელემენტად ჩამთვალა.

მაგრამ მე ეს არასდროს მადარდებდა, რადგან მაქვს ჩემი ხედვა, რომელსაც არაფრის დიდებით არ შევცვლი. ან რა უნდა იყოს აქ შესაცვლელი და გადასახედი?

ჩვენ აუცილებლად უნდა დაველაპარაკოთ რუსეთის ხელისუფლებას, ოღონდ ეს ყველაფერი უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში თუ დარწმუნებული ვიქნებით, რომ დამპყრობელი რუსეთის საჯარისო შენაერთები ოკუპირებული ქართული რეგიონების — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დატოვებას დაიწყებენ. ყველა ქართველი დევნილი უნდა დაუბრუნდეს საკუთარ კარ-მიდამოს და მთელს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე აღდგენილი იქნეს ქართული იურისდიქცია.

რუსეთთან სასაუბრო თემა არაფრის დიდებით არ უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის თუნდაც მცირედით გადახრა რუსული გავლენისკენ. კრემლი უნდა შეეგუოს ერთ რამეს, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და თავად ამ ქვეყნის გადასაწყვეტია, რა პოლიტიკურ კურსს აირჩევს.

თუ რუსეთი უმტკივნეულოდ დაგვიბრუნებს სისხლით წართმეულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს და, ამასთანვე, პირობას მოგვცემს, რომ აღარასოდეს ჩაერევა სუვერენული საქართველოს საშინაო და საგარეო საქმეებში, აი, მაშინ უკვე შეიძლება დალაპარაკება იმაზე, რომ სრულად გაიხსნას, როგორც საჰაერო, ისე საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლა, მოხდეს კულტურულ-ეკონომიკური კავშირების აღდგენა, დახვეწა და ასე შემდეგ...

მერე კი უკვე აღარც ხილი დაულპება ზოგიერთ ჩვენებურს და აღარც ვიღაც-ვიღაცეების ტვინის ხრწნა, ან რუსულ სცენაზე ცანცარი იქნება პირადად ჩემთვის ასე მტკივნეული, როგორც ახლაა.

მართლაც გული მწყდება, როცა ვუყურებ, რა სუფთად მოახერხეს ბალტიისპირელებმა და მთლიანად აღმოსავლეთევროპელებმა საბჭოური მარნუხებიდან თავის დახსნა და რუსულ-კომუნისტური მენტალიტეტის ანუ ამ ბინძური ბაცილის სრული განადგურება.

გასაგებია, რომ სახელმწიფოებრიობის გამოცდილება არ გვქონდა და ისე ავუყვეთ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მისი შენარ-

ჩვენებისა და განვითარების ურთულეს აღმართს. მაგრამ, აქ არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად იყო მზად კონკრეტულად ჩვენი ახლადშექმნილი პოლიტიკური ელიტა, მხრებით ეზიდა და საჭიროების შემთხვევაში კბილებით დაეცვა სისხლითა და ბრძოლით მოპოვებული ის წმიდათანმიდა მონაპოვარი, რომელზე ოცნებაც ვერ აიხდინა ძალიან ბევრმა თაობამ. უბრალოდ, გულსატკენია, რომ არა მარტო პოლიტიკური ელიტა, არამედ საზოგადოების უდიდესი ნაწილიც არ აღმოჩნდა მზად ახალი გამონვევებისთვის. თუმცა, რა მზადყოფნაზეა ლაპარაკი, როცა მათ სურვილიც კი არ ჰქონდათ, მოთმინებით ეშენებინათ ასაშენებელი და განვითარებინათ ჯერ საკუთარი თავი, ხოლო შემდგომ უკვე ქვეყნის სრულ განვითარებაზეც ეფიქრათ. ზოგიერთების მხრიდან მხოლოდ იმაზე წუნუნია, რომ ეს რა ქვეყანა დაგვიჩვენებს, გამოგიტყდებით და ჩემთვის უკვე ზიზღის მომტანად იქცა, რამეთუ, იმ ანგარდაცვლილ საბჭოთა საქართველოში მეც მიცხოვრია და, ალაღად გეტყვით, ერთადერთი, რაც იქ დამრჩა და რაზეც მართლა გული მწყდება, ეს ჩემი სიყმაწვილე და შედარებით უდარდელი ბავშვობაა.

რა, განა ყველა ჩვენგანი ასე არ არის?

ვიღაცას იმ დროის ნოსტალგია მოსძალებია, ვიღაცას დღევანდლობაზე გული აუყრია, ვიღაცას ვიღაცა ან რაღაცა მონატრებია და, სამწუხაროდ, ამ ყველაფრის გაქარვებას იმ წარსულში ცდილობენ, სადაც მართლაც უფრო ახალგაზრდები და, ბუნებრივია, ჯანმრთელებიც ვიყავით.

მე მაინც მგონია, რომ ეს უფრო ახალგაზრდობის, ბავშვობისა და შედარებით ვარდისფრად დანახული ცხოვრების ნოსტალგიაა, ვიდრე იმ ვითომ დიადი ქვეყნის ან რაიმე პოლიტიკური ღირებულებებისა.

წითელი წარსულიდან შემორჩენილი მემბოხეები იმასაც ამბობენ, - დიად საბჭოთა წყობაში უმუშევრობა საერთოდ არ ყოფილა და, თუ ვინმე მუქთახორულ ცხოვრებას ეწეოდა, ეს უკვე იმ დროში სერიოზულ დანაშაულად ითვლებოდაო.

ესეც მორიგი წითელი ტყუილი, რადგან უმუშევარი მუქთახორა კი არა და იმ დაწყველილ დროში ძალიან დიდი ნაწილი ფორმალურად მომუშავე მუქთახორა იყო.

უძრავობისდროინდელ ყოვლად სამარცხვინო ძარცვა-გლეჯასა და კიდევ სხვა უამრავ სიმახინჯეზე რომ აღარაფერი ვთქვა, ცნობილი ფაქტია და ნუთუ არ გახსოვთ კომუნისტური ეპოქის დროინდელი საწარმოები, დანესებულებები, ქარხნები თუ რაიმე სახის კოლექტივები?

დარწმუნებული ვარ, ყველაფერთან ერთად, ისიც გეხსომებათ, თუ რა საოცარი ყალთაბანდური ოსტატობით ჰქონდათ მაშინდელ გამგეებს განწელილი თანამშრომელთა შტატები. ძალიან ხშირად იყო შემთხვევები, როცა 100-კაციან კანტორაში თუ დანესებულებაში მხოლოდ 50 ან,

ჰა, ჰა, 60 კაცი თუ მუშაობდა.

- კი, მაგრამ სად მიდიოდა დანარჩენი 40 კაცის გამონერილი ჯამაგირი?

გეკითხებით წითელი ვაიპატრიოტებო. რამეს ვიგონებ ან რამეს ვაჭარბებ?

სად მიდიოდა და როგორც თანამშრომელთა შტატებში მოხვედრილი იმ 40 პატრონიანი მუქთახორის ანუ „მკვდარი სულის“ გასქელებულ ჯიბეებში, ისე კანტორის გამგეების, დირექტორების, აღმასკომის თავმჯდომარეების, რაიკომის მდივნებისა თუ სხვადასხვა მინისტრების მიერ ყაჩაღობით შევსებულ ოქროს ხაზინაში.

და თქვენ, ყოველივე ამის შემდეგ, კიდევ ურცხვად ამტკიცებთ, რომ მაშინ უმუშევრობა არ იყო?

ეს ყველაფერი თქვენც კარგად გახსოვთ, უბრალოდ, იმდენად გაქვთ რუსულ-კომუნისტური ვირუსით გონება დაბინდული, რომ ამის აღიარება გიჭირთ და არც განწყობთ. არ განწყობთ იმიტომ, რომ ბევრი თქვენგანი შეიძლება სწორედ იმ საერთო დანაშაულებრივი ჯაჭვის ერთ-ერთი რიგითი რგოლი იყო. მაშინ ხომ კორუფცია და აღებ-მიცემობა ცხოვრების სტილი გახლდათ და ბევრი ხორცმეტი ასეთ ყოფაში ცხოვრებასა და კარიერას საამურად იწყებდა.

და როცა ადამიანი კრიმინალური გზით სანეტარო ცხოვრებას ნახულობს, ბუნებრივია, ბევრი რამის გადაქექვ-გადმოქექვა აღარ აწყობდეს.

მოკლედ, ეს ის დრო იყო, როცა წყობამ საზოგადოების უმეტესი ნაწილი დამნაშავედ აქცია, თუმცა, შენც ჩუ და მეც ჩუს პრინციპი ხომ სწორედ იმ ადამიანების მოგონილია, რომლებსაც ჩუმად ყოფნის ანუ ბნელი ღამის თეორია ქვეყანას ურჩევნიათ.

ნათქვამია, მღვრიე წყალში კარგი თევზის დაჭერა შეიძლებაო.

ჰოდა, ის ზნედაცემული კომუნისტებიც ამღვრევდნენ და ამღვრევდნენ ამ ისედაც ათასი ცოდვით დაბინძურებულ წყლებს. ვინც ნაპირთან ახლოს, კარგ ადგილზე აღმოჩნდებოდა, ხომ გემრიელ, მსუყე სარჩოს ითრევდა, ვინც არა და, წვრილ-წვრილი ლიფსიტებით კმაყოფილდებოდა. თუმცა, საინტერესო ის იყო, რომ იმ გადაგვარებულ დროში, აქა-იქ რამდენიმე თავგადაღებულის გარდა, უკმაყოფილო და გამპროტესტებელი ფაქტიურად არავინ იყო.

და ჰქონდათ ასე ზღაპრით აწყობილი ცხოვრება წითელ ვაიპატრიოტებს, ვიდრე ბნელი ღამე შედარებით არ განათდა და დაბინძურებულმა წყალმაც დაწმენდა არ დაიწყო.

მაშ, განათდა, წყალი დაიწმინდა და რა გასაკვირია, რომ ქურდბაცაცებმაც მზის სხივზე მოიწყინეს, რადგან აქეთ შედარებით ყველაფერი ხილულია და ბოროტი ზრახვებიც ისე იოლად არ ახდება, როგორც ეს იმ

გადაგვარებულ ზღაპრებში იყო.

ამიტომაც არ უნდათ მათ დამოუკიდებელი საქართველო. ქვეყანა, რომელიც ჯერჯერობით სულაც არ არის იდეალური, მაგრამ, ერთი რამ უცხადესია, წითელი პარაზიტების საოცნებო ხანა, აქ აღარასოდეს დაბრუნდება.

ისევ ის დრო ანუ უკუნი გვინდა, უკუნი, - გაჰკვივან გადაგვარებული ზღაპრებით გონებადაბინდულნი და შავზნელ ხვრელებს ეძებენ, სადაც მზის სხივი ვერ აღწევს. მაგრამ, არაფრისმთქმელი და ფუჭია თქვენი ფუსფუსი, ის დრო უკვე ძალიან შორეულია და შეგიძლიათ, მხოლოდ მოგონებებით იხელმძღვანელოთ. დღევანდელ რეალობას უნდა შეეგუოთ, თუ არადა, ამ ქვეყანას თავი დაანებეთ და თქვენი ბედისა და იმ ავადსახსენებელი პერიოდის საძებრად, საითაც გინდათ, იქით გაუყევით გზას. ოღონდ აქ არ ეძებოთ, აქ არ იხეციალოთ, აქ არ იგლოვოთ და აქ არ ივიშიშოთ, წადით, წადით, წადიიიიიიიიიიიიიიიიიიიიიიი, რადგან დედამინა დიდია და თქვენისთანა გზასაცდენილებს სადმე თავშესაფარს ნამდვილად გამოუნახავს. ოღონდ აქ არა, აქედან შორს გადაიკარგეთ!

## თავი VI

### სოციალისტები - კომუნიზმით დაავადებული მოცნეხანი

დღეს ჩვენი სამყაროს უპირველესი მტრები სწორედ კომუნისტები, რუსული სოციალიზმის მიმდევრები, მარქსისტები და ლენინისტები არიან. ეს ის გადამდები დაავადებაა, რომელიც, სამწუხაროდ, არავითარ მკურნალობას აღარ ექვემდებარება. ამ განუკურნებელი სენის თავისებურება ის გახლავთ, რომ თუ იგი ერთხელ მაინც მოხვდა ადამიანის ტვინში, იწყებს მის სრულ დაჩლუნგება-გათიშვას და მისი იქიდან გამოდევნა უკვე წარმოუდგენელზე წარმოუდგენელია.

ამიტომაც, ჩვენი მიზანია, ახალი თაობის გადასარჩენად გამოვიყენოთ სანინააღმდეგო ვაქცინა, რომელიც არ მისცემს მუტაციის საშუალებას კაცობრიობისთვის ისეთ სასიკვდილო ვირუსს, როგორიც კომუნიზმია.

ჩვენ გვჭირდება ფხიზელი თვალი და ფხიზელი გონება, რათა ამ პარაზიტებმა არ დაგვიავადმყოფონ და გადავიგვარონ მომავალი თაობა თავიანთი ცრუ და ეშმაკისეული იდეოლოგიით.

სოციალიზმი და მისი შემდგომი ეტაპი, კომუნიზმი, რომ უტოპია და საზოგადოებისთვის სატყუარის გადაგდებაა, ამას ფიცი-მტკიცი აღარ სჭირდება. სოციალისტების საბოლოო მიზანი — უფასო საავად-

მყოფოები, გარანტირებული სოციალური დახმარებები, სამედიცინო დაზღვევები და სხვა დაპირებები — მხოლოდ მოკლევადიან დახმარებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მათი გრძელვადიან პერსპექტივად განხილვა ყოვლად დაუშვებელია. შეუძლებელია, ქვეყნის ბიუჯეტი გასწვდეს ასიათასობით და ზოგ შემთხვევაში მილიონობით ადამიანის: პენსიონერის, სოციალურად დაუცველი პიროვნებისა თუ ნებისმიერი უმუშევრის დახმარებას. შეიძლება, სახელმწიფო ეხმარებოდეს რამდენიმე ათას ადამიანს, მაგრამ, იმის მოთხოვნა, რომ ეს ყველაზე უნდა გავრცელდეს, აბსურდულია, რადგან ვერც ერთი ქვეყნის ბიუჯეტი ამას ვერ გაუძლებს და სახელმწიფო ხაზინა ისე დაცარიელდება, როგორც ერთ დროს თავგადაკლული მარქსისტ-ლენინისტების ანუ კომუნისტების ისედაც გაუბედურებულ ბიუჯეტს დაემართა.

ჩვენი მიზანი ის კი არ უნდა იყოს, რომ სახელმწიფოს მხრიდან უფასო საავადმყოფოებით და ვითომც უფასო განათლების დანერგვით მოვიწონოთ თავი, არამედ იყოს ნებისმიერი რამ ფასიანი, რაც მთავარია, ხარისხიანი და ყველა ადამიანისთვის ხელმისაწვდომი. მე კი ამით იმის თქმა მსურს, რომ საქმე დამადლებულ უფასო დახმარებებში არაა.

პიროვნებას უნდა ჰქონდეს იმდენი შემოსავალი, რომ უპრობლემოდ გადაიხადოს ყველანაირი სამედიცინო თუ საყოფაცხოვრებო გადასახადი. ამას კი ნებისმიერი სახელმწიფოს მხრიდან, სხვა სიკეთებთან ერთად, სჭირდება ქვეყანაში ჯანსაღი ატმოსფეროსა და კონკურენციის შექმნა, კერძო მოვაჭრეებისა თუ წვრილი და მსხვილი მენარმეებისთვის ხელსაყრელი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება, ადამიანების სერიოზულად დასაქმება, კერძო სექტორისთვის ხელის შეწყობა, ისეთი სახელმწიფო სამსახურების შექმნა, რაც ჩვენს მოქალაქეებს დაინტერესებს და განუული შრომისთვის შესაბამის ანაზღაურებასაც მისცემს.

ეს არის თითოეული ადამიანისთვის უმთავრესი და არა ის ფუჭი ილუზიები და დაპირებები, რასაც მემარცხენეები აფრქვევენ.

ამიტომაც არ არის სოციალისტურ-კომუნისტური ორიენტაციის მქონე არც ერთი პარტიის სიტყვა დასაჯერებელი, რომ ისინი ხალხს უყურებენ, მხოლოდ როგორც ამომრჩეველს და მათი პრობლემები რატომღაც მარტო საარჩევნო კამპანიის დროს ახსენდებათ.

ჩვენ მოგცემთ უფასო განათლებას, აგიშენებთ უფასო საავადმყოფოებს, გექნებათ უფასო სამედიცინო დაზღვევა, ჩვენ გადავარჩინებთ ქვეყანას, ჩვენ დავძლევთ სიღარიბეს და ასე შემდეგ.

გაჰკვივან ისე, თითქოს, სადაც ყოველივე ზემოთქმული უფასო არაა, ის ქვეყნები გადაგვარების გზის პირას იყვნენ მისულნი. რა, დასავლეთ ევროპა და აშშ რომ ამ მიმართულებით არ მიდიან, რაიმე აკლიათ იქაურ „საცოდავ“ პენსიონერებს და არა მარტო პენსიონერებს?

ეს ხალხი საკუთარ ქვეყანაში იმდენად დაფასებულია, რომ მხოლოდ უფასო სამედიცინო დახმარებების იმედზე არ არიან. უმეტესობას პატიოსანი შრომით იმდენი დოვლათი აქვს შექმნილი, რომ სახელმწიფოს სამათხოვროდ საქმე ნამდვილად არ გაუხდება.

უბრალოდ, აქ ლაპარაკი სახელმწიფოს ან ნებისმიერი პარტიის მხრიდან რაიმე სახის დახმარებაზე კი არ უნდა იყოს, არამედ პრინციპული მნიშვნელობა აქვს საქმისადმი მიდგომასა და მის შემდგომში შესრულების პერსპექტივებს.

ნებისმიერმა პარტიამ იმით კი არ უნდა გააბრუოს პენსიონერები, რომ მომეცით ხმა, მომიყვანეთ ხელისუფლებაში და უფასო წამლები და საავადმყოფოები გექნებათო, არამედ იმდენ პენსიას უნდა დაჰპირდე, რომ მან თავი დაცულ ადამიანად იგრძნოს. მიეცი პენსიონერს ღირსეული პენსია და ის თავად გადანყვეტს წამალი იყიდოს, ხილი მიირთვას, ხორციანი სადილი დააგემოვნოს თუ, უბრალოდ, ამ თანხას დანაზოგის სახით ბანკში მიუჩინოს ადგილი.

ახლა ვილატეები იტყვიან, ძნელია მაგის შესრულებათო.

კი, გეთანხმებით, ძნელია, ოღონდ - არა შეუძლებელი.

ისედაც გასაცოდავებული და დეპრესირებული პენსიონერების მოტყუებაზე ძნელი ნამდვილად არის.

იგივე ითქმის საგანმანათლებლო სისტემაზეც.

მშობლებს უჭირთ, ფული არა აქვთ და ამიტომ უფასო, უფასო, უფასო, უფასო, ყველაფერი უფასო: სწავლა, წიგნები, ჩანთები – ესეც სოციალისტების მორიგი სატყუარაა.

დალოცვილო, ვის რად უნდა შენი მათხოვრულად გადმოგდებულ ი ერთჯერადი უფასო დახმარება? მერე ყელში რომ ამოაღინო იმავე მშობლებს? ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ამქვეყნად უფასო არაფერი არ არის, არც ყოფილა და არც იქნება. თუ ვინმეს მართლაც გული შესტკივა ხელმოკლე ოჯახებზე, მათ სამუშაო ადგილებსა და ღირსეულ დასაქმებას უნდა შეჰპირდეს და არა იმას, რომ თუ ხმას მომცემთ, მე უფასოდ ამას და ამას მოგცემთო.

სოციალისტური წყობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, მოსპოს ქვეყანაში ყოველგვარი ლიბერალური ღირებულებები, რამეთუ, თავისუფალი აზროვნება ნებისმიერი ადამიანის გონებაში აღვიძებს მადას, რაც, ბუნებრივია, შემდგომში უკვე შეიძლება სხვადასხვა სახის კანონიერ მოთხოვნებში გადაიზარდოს. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ მომთხოვნი, მოაზროვნე და მუდამ რალაცა პროგრესულის მძებნელი ადამიანი სოციალისტებს არაფერში არ სჭირდებათ, რადგან მათი მიზანი მხოლოდ იმ ახალი ადამიანი-რობოტის შექმნაა, რომელიც გამოფიტული სოციალიზმიდან უტოპიურ კომუნიზმში სამყაროს გადასათრევად წითელი ხიდის ფუნქციას შეასრულებს.

სოციალიზმი — ეს არის წყობილება კონკურენციის გარეშე, სადაც

საზოგადოებას არა აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება.

ამიტომაც, დაუფარავად ვამბობ, რომ ყოველი სიტყვა, რომელიც სოციალისტურ-კომუნისტური იდეოლოგიის მქონე პიროვნების ბაგეებიდან მოდის, ფუჭი და არაფრისმთქმელია. ისინი ამქვეყნად მხოლოდ იმისთვის არიან, რომ აცდუნონ ადამიანები. თითოეულმა ჩვენგანმა შორს უნდა დაიჭიროს თავი ამ იდეოლოგიის მიმდევრებისგან.

მე, პირადად, ყოველთვის ვცდილობდი და დღესაც ვცდილობ, შორს დავდგე რუსული გზით მიმავალი სოციალიზმისგან.

\* \* \*

2009 წლის დეკემბრის დასაწყისში საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდისა და საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს მიერ ორგანიზებულ პოლიტიკური პარტიების მხარდასაჭერ, მართლაც საინტერესო ერთწლიან „ტრენინგზე“ გაგვიშვეს. იქ ხალხის პარტიიდან ხუთი კაცი ვიყავით წარდგენილი. ამ მართლაც უმაღლეს დონეზე ორგანიზებული ლექციების დადებითი მხარე ისიც არის, რომ მსმენელს, დიდი და საჭირო ინფორმაციის მიღების პარალელურად, ასევე შანსი ეძლევა, ცოცხალ დებატებშიც მიიღოს მონაწილეობა. მაგალითად, ერთხელ მოგვთხოვეს, რომ ყველა პარტიას საკუთარი პრეზენტაციისმაგვარი მოეწყო, სადაც უნდა წარმოგვედგინა პარტიული ხედვა და იდეოლოგია იმ საკითხებში, რაც პარტიისთვის ყველაზე პრიორიტეტულია.

წინდანინ ცნობილი იყო, რომ, როცა ხალხის პარტიის ჯერი დადგებოდა, ეს მისია ძირითადად უნდა გვეთავა მე და როინ ხიჯაკაძეს, პროფესიით იურისტს, საუცხოო ადვოკატს, მაგრამ არაფერია დასამალი, რომ მისი პოლიტიკური ხედვა ჩემთვის ისეთივე მიუღებელი იყო, როგორც ყველა სოციალიზმზე თავგადამკვდარი პოლიტიკოსისა თუ უბრალო მოქალაქისა. ეს როინმაც მშვენივრად იცოდა და ამაზე არაერთხელ გვიკამათია კიდევ.

კონკრეტულად ჩვენთვის არავის დაუვალებია, გინდათ თუ არა, თქვენ უნდა იყოთ მთავარი მოქმედი პირნიო, მაგრამ, არის მომენტები, როცა ხვდები, რომ პასუხისმგებლობა სწორედ შენი ასალებია. ალბათ, აქ უმთავრესი როლი იმ ფაქტორმაც ითამაშა, რომ მე და როინს პარტიულ მუშაობაში შედარებით უფრო მეტი გამოცდილება გვქონდა დაგროვილი, ვიდრე სხვა დანარჩენებს.

მაშ ასე, მე უნდა მესაუბრა და თავისებურად აგიტაცია-პროპაგანდა გამეწია იმ სისტემისთვის, რომელსაც კაცობრიობის დამაქცევრად მივიჩნევ. ბუნებრივია, რომ სოციალიზმის დამცველ იდეოლოგიად თავს

ვერ გავასაღებდი და ამიტომაც, სასწრაფოდ მოვითხოვე პარტიის ხელმძღვანელობისგან, მოეცათ უფლება, მხოლოდ საკუთარ პოლიტიკურ ხედვაზე მესაუბრა, იმ ხედვაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის მომავლის საქმეში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიმაჩნია. საქართველოს არაქართული რეგიონების — ჯავახეთისა და ქვემო ქართლის უმტკივნეულო ინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოში, აი, ეს იყო თემა, რომლითაც აუდიტორიის წინაშე უნდა გამოვსულიყავი.

თემა, რა თქმა უნდა, ჩამოვაყალიბე და თითქოს ყველაფერი მზად იყო იმისთვის, რომ საკუთარი ხედვა გამეცნო აუდიტორიისთვის, მაგრამ ბოლო მომენტში მე თვითონ გადავიფიქრე, რადგან ჩავთვალე, რომ იქ დამსწრე პარტიულ ელიტას კონკრეტულად ხალხის პარტიის იდეოლოგია უფრო დააინტერესებდა, ვიდრე ჩემი შეხედულებები, რომელიც არა მარტო რადიკალურად განსხვავდებოდა, არამედ, უმთავრეს საკითხებში მკვეთრ წინააღმდეგობაშიც კი მოდიოდა პარტიულ კონცეფციასთან.

ჩემი უარის შემდეგ, ბუნებრივია, მთელი პასუხისმგებლობა როინ ხიჯაკაძეს უნდა აეღო საკუთარ თავზე. მე კი დავტოვე დარბაზი და შინისკენ გავემართე, რადგან ნამდვილად არ მქონდა იმის სურვილი, რომ ვითომ თანასწორუფლებიანი სოციალიზმის განუხორციელებელ და უტოპიურ მიზნებზე ვინმესგან რაიმე „ლექციის“ მაგვარი მომესმინა, თუნდაც ეს ადამიანი ჩემი თანაპარტიელი ყოფილიყო.

ორი დღის შემდეგ, მომდევნო ლექციიდან გამოსულს, პრეზენტაციაზე დამსწრე ერთ-ერთმა თანაპარტიელმა მითხრა, რომ როინს კარგად უსაუბრია პარტიისთვის პრიორიტეტულ ყველა ძირითად საკითხზე, იმდენად კარგად, რომ დამსწრე საზოგადოების ტაშიც კი დაუშასხურებია.

- ჰოოო, ლაპარაკი და ტაში კი უყვართ სოციალისტებს, თანაც მქუხარე ტაში, — ჩავილაპარაკე ჩემთვის და გზა განვაგრძე.

## თავი VII

### თქვენ ხართ - პერსონა ნონ გრატა

ყველა ნორმალური და ცივილიზებული სახელმწიფო ვალდებულია, რომ თითოეული პარტიის ან რაიმე სახის მიმდინარეობის მიმართ იყოს შეძლებისდაგვარად ლმობიერი, მაგრამ, ამავე დროს სამართლიანი. სახელმწიფო ნებისმიერ საკითხს ძირითადად მაინც, როგორც ჰუმანური, ისე პლურალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე უნდა მიუდგეს. თუმცა, რომლებზეც ზემოხსენებული პრინციპები არვითარ შემთხ-



ვევაში არ შეიძლება გავრცელდეს და ჯერ ჩვენს ქვეყანაში, ხოლო შემდგომ მთელ მსოფლიოში კანონგარეშედ უნდა გამოცხადდეს, მარქსიზმის საფუძვლებზე დამყნობილი კომუნისტური ან მისი იდეოლოგიის გამტარებელი პრორუსული პარტიებია.

აკრძალვა დიქტატურის მანიშნებელი იქნებაო - იტყვის მკითხველი.

ვინც ამგვარად ფიქრობს, განუმარტავ, რომ თუ ამას დიქტატურას ეძახით, მაშინ ჩვენ ყოველივე ეს გვჭირდება სრულყოფილი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, რადგან იქ, სადაც კომუნისტები არიან, ყოველთვის არსებობს საფრთხე კაცთმოძულეობის, ათეისტობის, სინმინდებების გარყვნა-შელახვის, სიცოცხლის ხელყოფის, ახალგაზრდობის გადაგვარების, უკანონობისა და ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებისა.

საერთოდ, დემოკრატია სოციალისტ-კომუნისტებისათვის იატაკის სანმენდი ტილოს ფუნქციას ასრულებს, რომელსაც იმდენჯერ შესდგებიან ფეხებით და დააბინძურებენ, რამდენჯერაც ამას მოისურვებენ.

და რაც მთავარია, სოციალისტ-კომუნისტებს ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა ოპოზიციაში არიან და უმანკო კრავის როლში მყოფნი ცდილობენ საზოგადოების მოთაფვლას. ხოლო, ღმერთმა არა ქნას და, თუ ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, მათი ცნობილი დევიზი – ყველაფერი ხალხს! — სასწრაფოდ იცვლის ელფერს და რეალურად უკვე ასეთ სახეს იღებს – ყველაფერი ხელისუფლებას!

გამოგიტყდებით და ყოველივე სასაცილოდ მეჩვენება ხოლმე, როდესაც ვინმე ოპოზიციონერი, შეგნებითა და იდეოლოგიით გაქანებული სოციალისტ-კომუნისტი, ვითომდა დემოკრატიული პრინციპების აუცილებლობაზე მსჯელობს - ითხოვს გამჭვირვალობას, საჯაროობას, თავისუფალ სიტყვას, ადამიანის უფლებების დაცვას. ახსენებს ყველაფერს: უღრუბლო ცას, ზღვას, სიყვარულს, სიხარულს, რომანტიზმს, ბავშვებს, ოჯახს, ტრადიციებს, მტრედებს, ყვავილებს, მშვიდობას, ეკლესიას, ღმერთს და, მოკლედ, ყველაფერ იმას, რაც მის გრძელ ენას მოადგება, სინამდვილეში კი, რაც უფრო დიდია კომუნისტის ფანტაზია, მით უფრო მცირეა მასში სინდისი და ნამუსი.

ეს იგივეა, ვინმე კაცის მკვლელი, ყაჩაღი, ტერორისტი, სრულიად უდანაშაულო ადამიანების ცხოვრების დამანგრეველი, რომ ვეღარ აიხდენს თავის ბოროტ ზრახვებს და შემდეგ უკვე მაჯვებზე ბორკილებდადებული, სამართალდამცავების ხელში ჩავარდნილი, ადამიანის უფლებებზე, პიროვნების ხელშეუხებლობაზე, კოდექსით მინიჭებულ დუმილის უფლებაზე და კიდევ ათასნაირ კანონებზე უნამუსოდ იწყებს მსჯელობას. სწორედ იმ კანონებზე, რომელიც სულ რაღაც რამდენიმე საათის წინ მასში ღიმილსა და „რიჟა ბაზრის“ ასოციაციას იწვევდა.

ასევე, ძალიან მიკვირს, ზოგი თავგადაკლული კომუნისტი რომ ადამიანის უფლებების დაცვასა და ჰუმანიზმზე ლაპარაკობს, რატომ ფეხქვეშ მინა არ უსკდება?

განა თავად კომუნისტები არ იყვნენ, როდესაც გასულ საუკუნეში ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკებმა ყველა პარტია კანონგარეშედ გამოაცხადეს?

დიახ, არაფერს ვაზვიადებ, კომუნისტებმა ყველა და ყველაფერი საიქიოში გაისტუმრეს, ყოვლად უდანაშაულო ადამიანების გვამებზე შემდგრები კი ვითომდა თანასწორუფლებიანი საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარებაზე უნამუსოდ ორატორობდნენ. მათ ნაბილწეს ეკლესია-მონასტრები და თან ერთპარტიული დიქტატურა დაამყარეს.

- მსოფლიოსთვის ერთი პარტიაც საკმარისია და საინტერესოა, რატომ უნდა დაგვკმაყოფილდეთ ნახევარი დედამიწის დაპყრობით, როცა მთელი პლანეტის განითლების შანსი გვაქვს?

ეს იყო კომუნისტების თვალით დანახული სამყაროს მომავლის ავადმყოფური პოლიტიკური ხედვა.

მაშ, რატომ არ უნდა იზეიმოს სამართლიანობამ და მეოცე საუკუნეში მწარედ გასროლილი მომწამვლელი ბუმერანგი კომუნისტებს ოცდამეერთე საუკუნეში მაინც, რატომ არ უნდა დაუბრუნდეთ უკან? ვფიქრობ, ეს სრულიად სამართლიანი ნაბიჯი იქნება.

შეხედეთ რუსეთზე ფიქრში დამდნარი და კომუნისტების სიყვარულით დამტკბარი ნებისმიერი ადამიანის სისხლს მოწყურებულ თვალებს და უმალ გაგიეღვებთ ასეთი აზრი – ესენი რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ, მტრისას, მერე ნახეთ დიქტატურა, ალბათ, ყველას კანონგარეშედ გამოაცხადებენ და სისხლის მდინარეებს დააყენებენო – დიახ, ყველა სალად მოაზროვნე ადამიანს გაუეღვებს ასეთი აზრი და ცამდე მართალიც იქნება.

ჩვენ კი რა ვქნათ ახლა, რა გზას დავადგეთ? ველოდოთ, როდის მოვლენ რუსეთიდან მართული კომუნისტები საქართველოს ხელისუფლებაში და როდის დაგვავრევიანებენ ყველას თავებს? მით უმეტეს, ზოგიერთებისგან მუქარანარევი ტონიც ხშირად ისმის – ჩვენ რომ მოვალთ, მერე ნახეთ, რას გიზამთო და ასეთები.

ამიტომ, ნაცნობი ტერმინი რომ ვიხმაროთ, რევანში ასაღებია, სხვაგვარად კი – სამართლიანობა აღსადგენია.

კომუნისტები კანონგარეშედ უნდა გამოცხადდნენ, იმიტომ რომ მათ ერთხელ უკვე გაანადგურეს და გარყვნეს სამყარო, მაგრამ, სამწუხაროდ, ის დანაშაული შერჩათ, რადგან მათთვის ხავერდოვნად მოხდა ხელისუფლებიდან ჩამოცილება და პასუხი არავის უგებიანებია.

გადის წლები და მსოფლიოს ჰუმანიზმის ტალღამ ეს წითელი ბრბო იმდენად მოაფერინა, რომ იერიშზე გადმოსულები ხელმეორედ ევერესტზე ასვლას ლამობენ.

მაგრამ დროისგან უკვე ჩამონერილ ამ მეოცნებეებს ავინყდებათ, რომ ერთ მდინარეში ორჯერ არ შედიან.

მათი დრო წასულია, თუმცა ამ სამყაროში არც არასდროს ყოფილა მათი ჟამი. და თუ წითლებს ოდესმე უბოგინიათ, ეს დროის უკულმართობის მწარე შედეგი უფრო იყო, ვიდრე – კანონზომიერება.

კომუნისტები კანონგარეშედ! ისინი უნდა წავიდნენ და თან წაიღონ ყველა ის მოსალოდნელი საფრთხე, რომელსაც კაცობრიობას საკუთარი სისხლიანი ხელებით უმზადებდნენ.

მოკლედ, ეს პატარა სიმკაცრე, რომელიც ზემოთ მოგახსენეთ, გვინდა იმისთვის, რომ შემდგომში მოსალოდნელი სამყაროს უდიდესი ტრაგედია, სახელად კომუნიზმი, ავიცილოთ თავიდან.

კომუნისტური იდეოლოგია კიდევ იცით, რატომ არის უაღრესად საშიში?

დღეს თუ კომუნისტები და მათი მიმდევარი, სატელიტი პრორუსული პარტიები მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ოფიციალურად მხოლოდ რამდენიმე ათას კაცს ითვლიან, ჩვენში ჩასაფრებულმა ტვინ-ნაღრძობებმა, რომ იგრძნონ წითლების ხელისუფლებაში მოსვლა, დამიჯერეთ, ამ დაწყვეტილ ხროვას იმდენი მედროვე მიანყდება, რომ წითელი მანდატების დაბეჭდვას და შეღებვას, ალბათ მთელი ჩვენი ქვეყნის ხე-ტყე და საღებავი აღარ ეყოფა.

არავინ არ იფიქროს, თითქოს რუსული კონტეინერებით ჩამოტანილ კომუნისტურ მოძღვრებებს თავლი ექნება წასმული ან იქ რაიმეს უფასოდ დაარიგებენ. არაფერი მსგავსი, უბრალოდ, კიდევ ერთხელ უნდა ვალიართ, რომ ჩვენი საზოგადოების ერთი დიდი ნაწილი სერიოზულად დასწრებულა და სასწრაფოდ სამედიცინო ჩარევას საჭიროებს.

გამოსავალია მკურნალობა!

თუ მკურნალობასაც აღარ ექვემდებარება, მაშინ –პოლიტიკური ეუთანაზია, რომელიც ერთი შეხედვით, თითქოს მკაცრი, მაგრამ ამავე დროს, ქვეყნის მომავლის გადასარჩენად ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იქნება.

ალბათ, აქაც იგივე შიშის ფაქტორი იმოქმედებს – ევროპა ვერ გაგვიგებს და მისთანებო, არა?

ცივილიზებული ევროპა გაგვიგებს და თანაც ძალიან კარგად, რადგან სწორედ ეს ევროპა იყო, რომელმაც გასულ საუკუნეში მეორე მსოფლიო ომისა და ყოვლად გაუმართლებელი სისხლისღვრის წამომწყები, ხოლო შემდგომ უკვე დამარცხებული გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია ყველა თავის სტრუქტურულ ერთეულთან ერთად სრულიად სამართლიანად კანონგარეშედ გამოაცხადა. ახლა წარმოიდგინეთ, იმ დროს ვინმე გარეკილს თავი რომ გამოედო და გაეკრიტიკებინა ევროპა-ამერიკა, თითქოსდა ანტიდემოკრატიული ნაბიჯების გადადგმისთვის, მას რა პასუხს გასცემდნენ? მე მგონია,

რომ პასუხის ღირსადაც არ ჩათვლიდნენ და ვითომ დემოკრატიული ვარდების სასიამოვნო სურნელის შესაყნოსად, პირდაპირ გებელსისა და გერინგის გზას გაუყენებდნენ.

საქმეც სწორედ ეს გახლავთ. თუ კაცობრიობის ამომგდები, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია კანონგარეშედ ცხადდება, განა იმაზე ნაკლები დანაშაული მიუძღვის საქართველოში, აღმოსავლეთ ევროპასა და კიდევ ბევრგან კომუნისტურ პარტიას, ან ნაკლები გვამები და სისხლის მდინარეები დააყენეს წითლებმა?

ეს ნაბიჯი გადასადგმელია, რათა, ბოლოს და ბოლოს, სამართლიანობამ იზიემოს და არ გვექონდეს შიში იმისა, რომ ხვალ, ზეგ ან ოდესმე შეიძლება ისევ იმ შავბნელ წარსულში დავბრუნდეთ, საიდანაც რის ვაივავლახით, ძლივს გამოვედით.

კარგი იქნება, თუ ჩვენ, ქართველები კომუნისტური პარტიის ოფიციალური მესაფლავეები გავხდებით, სწორედ ის ქართველები, რომლებსაც წითელმა ათეისტებმა თავის დროზე ყველაზე მეტად შეგვილახეს, დაგვაკარგვინეს და გავგინადგურეს ღირსება, თავმოყვარეობა და ის სიმნიდებები, რომლებითაც საუკუნეების მანძილზე სრულიად სამართლიანად ვამაყობდით.

შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ კომუნისტების საფრთხე უკვე ისე აშკარად აღარ დგას, როგორც ეს წლების წინ იყო.

არავითარ შემთხვევაში! მაშ, ეს რუსულ გზაზე შემდგარი სოციალისტები ვინ არიან? ამ გადაგვარებულ მეოცნებებს თუ ხელსაყრელი სასათბურე პირობები და ყვავილობისთვის შესაფერისი კლიმატი შეუქმენით, მერწმუნეთ მათი ნაყოფი ის მწარე კომუნისტური წყობა იქნება, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში ისედაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სისხლი აქვს დაღვრილი.

რაც შეეხება რუსეთისგან მართულ და მემარცხენე ორიენტაციისკენ გადახრილ ქართველ პოლიტიკოსებსა თუ უბრალოდ მათ გარემოცვას, რომელთა მიზანიც, რაღაც განახლებული ფორმით საბჭოთა კავშირის აღდგენაა, ისინი დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდნენ პერსონა ნონ გრატად. ეს ადამიანები აუცილებელია წარსდგნენ ქართული სასამართლოს წინაშე და დაისაჯონ კანონის სრული სიმკაცრით თუ არა და მათ უნდა აეკრძალოთ ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი პოლიტიკური თუ პროფესიული საქმიანობა, გარდა ფიზიკური შრომისა.

საქართველოში კონკრეტულად პრორუსული ელემენტების ამოცნობა ძალზედ მარტივია. ის გაიძვერა პოლიტიკოსი და არა მარტო პოლიტიკოსი, ვინც ადამიანების ბედით ვითომ გულმეწუხებულის, ხშირად აქცენტს სოციალურ თემებზე აკეთებს და ამგვარად გაიძახის – მთელი სიმდიდრე ხალხს, მთელი სიმდიდრე საზოგადოებას! – ის მემარცხენედ დაბადებული ცრუპენტელაა, ხოლო ყველა მემარცხენე კი სოციალისტური ელემენტით იქოქება. ვინც სოციალისტია, ის, ბუნებრივია, გად-

ავგარებული კომუნისტური წყობის ერთგული მიმდევარიცაა, რადგან სოციალიზმი ხომ უტოპიური კომუნიზმის წინა, ანუ შესამზადებელი ეტაპია. ჩვენს ქვეყანაში კი კომუნისტური ნაბოღვარის ყველა სულით ავადმყოფი მხარდამჭერი, გახრწნილი პრორუსული მძორი რომ არის, ამაში საკამათო არაფერია.

არადა, მართლაც მიკვირს, დღეს პოლიტიკოსებს სახელწოდება — ნაციონალ-სოციალისტური — რაღაც შოკისმომგვრელ შიშს ჰგვრის, მაგრამ რუსეთისკენ მომზირალ სოციალისტ - კომუნისტების ხსენებაზე კი ძალიან გულგრილ პოზიციას იკავებენ.

მოკლედ, მძულს ის ფრაზა, სადაც რუსული სოციალიზმი ან კომუნიზმი ურევია.

\* \* \*

რაც შეეხება კონკრეტულად ხალხის პარტიას, ის ტიპიური მემარცხენე მიმდინარეობის პარტიაა, რომელიც უმთავრეს პრიორიტეტად სოციალური პრობლემების მოგვარებას ისახავს.

როდესაც პარტიის შიგნით ლაპარაკი იყო იმაზე, თუ როგორ და რა გზებით უნდა გავძლიერებულიყავით როგორც რეგიონებში, ისე რაიონებში და როგორ აგვემოქმედებინა რეგიონულ-რაიონული ორგანიზაციები, ამ შემთხვევაში მე სრულიად განსხვავებული პოზიცია მეკავა. ვფიქრობდი და ასე ვფიქრობ ახლაც, რომ ნებისმიერი ახლადჩამოყალიბებული პარტიისთვის მნიშვნელოვანია არა რეგიონების, არამედ, უპირველეს ყოვლისა ცენტრის გაძლიერება, რადგან ვთვლი, რომ ძლიერი რეგიონული ორგანიზაციები ძლიერ ცენტრს ვერაფრით ვერ შექმნიან, აი, ძლიერი ცენტრალური ორგანიზაცია კი უკვე წინაპირობაა რეგიონებისა და რაიონების სიძლიერისა. მოკლედ, თუ ცენტრი ანუ თავი მერყევი და სუსტია, რამდენიც არ უნდა ვინვალოთ ფრთების გამაგრებაზე, მისი ბოლო ყოველთვის მარცხი და კატასტროფა იქნება.

ამიტომაც იყო, რომ რამდენჯერმე წამოსული სერიოზული შემოთავაზების მიუხედავად, მე მაინც კატეგორიული უარი ვთქვი, პარტიის ნაძალადევის რაიონულ ორგანიზაციას ჩავდგომოდი სათავეში. ამით იმის თქმა კი არ მსურს, რომ ნახეთ, რა მაგარი ბიჭი ვარ, როგორ მეხვეწებიან, მაგრამ მე მაინც უარს ვამბობ-მეთქი.

არავითარ შემთხვევაში, რადგან ამ დროს მხოლოდ საკუთარ მტკიცე მოსაზრებას ვეყრდნობოდი.

მხოლოდ ცენტრალური აპარატის გაძლიერება! ეს იყო ჩემთვის უმთავრესი, ხოლო თუ ამას წარმატებით გავართმევდით თავს, ამის შემდეგ ძლიერი რაიონული და რეგიონული ორგანიზაციების ჩამოყალიბება თავისით დადგებოდა დღის წესრიგში.

მე, როგორც ერთ-ერთ აქტიურ წევრს, ძალიან დიდი სურვილი

მქონდა, ამ პარტიის პრიორიტეტებსა და ხედვაში რაღაც ძირეული ცვლილებები დაწყებულიყო, რადგან ეს არ იყო მხოლოდ ჩემი ახირება, ამას ახალი ცხოვრება და გამონევენები მოითხოვდა.

ერთხელ, სწორედ ამ საკითხზე ჩამოვუგდე სიტყვა პარტიის საერთაშორისო ურთიერთობების მდივანს, გუგა ცანავას, რომელმაც მკითხა, თუ რა კონკრეტულ ცვლილებებს ვგულისხმობდი?

-ჩვენ, რა დასამალია და სოციალურ საკითხებზე ორიენტირებულნი ვართ, მაგრამ, უმჯობესი ხომ არ იქნება, თუ ჩვენს პარტიულ პრიორიტეტებში ეროვნული თემაც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს? მაგალითად, რა აზრის ხართ, თუ ყველაფერს პარტიის დასახელებიდან დავიწყებთ და ეროვნულ-ევროსოციალისტურ პარტიას დავირქმევთ-მეთქი?

-ეს რას მოგვცემს?- მკითხა მან.

მოგვცემს იმას, რომ ეროვნული ღირებულებები იქნება ჩვენთვის უპირველესი. რაც შეეხება საძულველ სოციალიზმს, მივუთითებთ, რომ ჩვენ არა რუსულ რელსებზე შემდგარი, არამედ ევროპულ ღირებულებებზე დაყრდნობილი სოციალისტები ვართ, ისეთები, როგორებიც შვედეთში არიან. თუმცა, რაც არ უნდა იყოს, იცოდეთ, რომ სოციალისტობა ჩემთვის ყოვლად მიუღებელი რამაა-მეთქი

-ეროვნულ-ევროსოციალისტობა ან იგივე ეროვნულ-სოციალისტობა ხომ ფაქტიურად ნაციონალ-სოციალისტობას ნიშნავს, რომელიც ჰიტლერულ გერმანიასთან ასოცირდება და ჩვენ ხომ დიქტატორები არ ვართ?- გაელიმა მას.

ეს მაგალითი ზემოთქმულის გასამყარებლად მოვიყვანე, როცა ვთქვი, რომ ჩვენს პოლიტიკოსებს ნაციონალ ან ეროვნულ სოციალისტობასთან მიახლოებული ნებისმიერი ფრაზა რაღაც შოკის მსგავსს ჰგვრის.

იმის გამო, რომ მეოცე საუკუნეში გერმანელმა ნაცისტებმა ევროპა სისხლით შელბეს, დღეს ჩვენ ამის შიშით ყოველგვარ ეროვნულს გადაჭარბებული, ნაციისტური კუთხით ვუცქიროთ, მე მაინც, ეს ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კომუნისტებს კაცობრიობის წინაშე გერმანელ ნაცისტებზე მეტი თუ არა, ნაკლები ცოდვა ნამდვილად არ ჩაუდენიათ და მაშინ კომუნისტური პარტიაც თავისი სოციალისტური წვრილფეხობებით უნდა გაუქმდეს და კანონგარეშედ გამოცხადდეს, რათა კაცობრიობისთვის იმ ყოვლად ამაზრზენმა, გონებადაბინდულმა ფანატიზმმა, რა მსგავსებაც იყო კომუნისტებსა და ნაცისტებს შორის, აღარასოდეს შეგვახსენოს თავი.

ახლა ისევ ეროვნულ პოლიტიკას მივუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ არავის აქვს უფლება, ქვეყნებს ან ცალკეულ პარტიებს ზომიერი ეროვნული პოლიტიკის გატარება აუკრძალოს!

სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად ვვარდებით ერთი უკიდურესობიდან

მეორე, უარეს უკიდურესობაში. ასე იყო წარსულში და არ მინდა, ასე გაგრძელდეს მომავალშიც.

მაშინ გავიხსენოთ არცთუ ისე შორეული წარსული დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიიდან და ყველაფერი ცხადი გახდება.

ჯერ იყო და ზვიად გამსახურდიას სახით უაღრესად პატრიოტი, საკუთარ ქვეყანაზე ფანატიკურად შეყვარებული კაცი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, რომელსაც ზოგიერთ საკითხში გამოჩენილი გადაჭარბებული ნაციონალიზმის გამო ცივილიზებულმა ევროპამ და აშშ-მ ზურგი აქციეს და გამგელებული რუსეთის წინაშე მარტოდმარტო დატოვეს.

მერე იყო და სახელმწიფო გადატრიალებით მოსულმა შევარდნაძემ, თითქოს დაალაგა დიპლომატიური ურთიერთობები ევროპა-ამერიკასთან, მაგრამ, რად გინდა? როგორც ეროვნული პოლიტიკის, ისე ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური სიტუაციის გაჯანსაღების მიზნით, მას საერთოდ არაფერი არ გაუკეთებია და ამიტომაც იყო, რომ ქართველ საზოგადოებაში, იშვიათი გამოწკლისის გარდა, ედუარდ შევარდნაძეს თავისი წინამორბედის, ზვიად გამსახურდიასგან განსხვავებით, დასაყრდენი ფაქტიურად არ ჰქონია.

ამიტომაც, ეს ყველაფერი დღევანდელი ხელისუფლებისთვის გაკვეთილად უნდა იქცეს.

მისასაღმებელია, რომ მათ აქვთ უზარმაზარი მხარდაჭერა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე ევროპული ქვეყნების მხრიდან. ასევე სასიხარულოა ისიც, რომ არის მცდელობა, ევროპაში მიმოფანტული ღირსეული ქართველობა დააბრუნონ საკუთარ, ისტორიულ სამშობლოში. ძალიან მომწონს, რომ ჩვენი ქვეყნის თითოეულ კუთხე-კუნჭულში, მუდამ ფუსფუსი და რალაცის აღდგენა ან მშენებლობა მიმდინარეობს. თუმცა, ისიც ცხადია, რომ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. დღევანდელ საქართველოში, სხვა პრობლემებთან ერთად, გვაქვს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი, ეროვნული საკითხი, რომლის გაუმჯობესებისთვისაც სერიოზული მუშაობაა ჩასატარებელი.

ჩვენ ერთად, ოღონდ ზომიერად უნდა გადავჭრათ ის პრობლემა, რომელიც საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ჯერ კიდევ გვხვდება. კერძოდ, ლაპარაკია ჯავახეთსა და ქვემო ქართლზე. ჩვენ ვალდებული ვართ, მოვახდინოთ ამ რეგიონების ზომიერი გაქართულება, ოღონდ არ მინდა, რომ ამაში ვინმემ ხელკეტების საშუალებით, რაიმე სახის იძულებითი ფორმით გამოვლინება იგულისხმოს. თუ რამეს გავაკეთებთ, ყველაფერი კანონისა და კონსტიტუციის შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს.

და კიდევ, ზომიერი ეროვნული პოლიტიკის თავისებურება სწორედ ის გახლავთ, რომ ჩვენ პირნათელი ვიქნებით, როგორც საკუთარ ხალხთან, ისე ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნებით არაქართველ მოსახლეობასთან და, რაც მთავარია, ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან.

## თავი VIII

### ვადაბასული პოლიტიკური ელემენტები და ახალი ცვლა

საზოგადოებაში ყოველთვის ფიგურირებს აზრი, რომ ყველა პოლიტიკოსი მატყუარაა, რომ მათ მოსახლეობა მხოლოდ არჩევნებისთვის ხმების მოსაპოვებლად სჭირდებათ, რომ ისინი არასოდეს ასრულებენ დანაპირებს და ასე შემდეგ.

ახლა არ მსურს იმაზე საუბარი, თუ ვის რა ეჩვენება ან ვის როდის გაუნბილეს იმედები, მაგრამ ერთი რამ ცალსახაა - ჩვენი პოლიტიკოსების უმეტესობა უშნოდ დაეჩვია ფუჭი სიტყვების ჰაერში სროლას. შეხედავ ზოგიერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის გამოსვლას და უმალ გაიფიქრებ კაცი, რომ ამ პოლიტიკოსს, მგონი, თავადაც არ სჯერა საკუთარი სიტყვებისა და დანაპირებისო.

ბუნებრივია, წინასწარ არავინ იცის, მომავალში რა მოხდება, მაგრამ ადამიანებს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ და კიდევ უამრავჯერ რომ გაუცრუებ იმედებს, ისინიც, რა გასაკვირვია რომ, სრული უნდობლობით განწყობიან პოლიტიკოსებისა და მთლიანად პოლიტიკის მიმართ.

სამწუხარო ფაქტია, - ჩვენში პოლიტიკოსების „დიახ“ არასოდეს არის „დიახ“ და „არა“ - არასოდეს ნიშნავს „არას“.

საერთოდ, პროგნოზები და დაპირებები სარისკო საქმეა, რადგან ალბათობა იმისა, რომ ყოველივე შეიძლება არ ასრულდეს, ძალიან დიდია, ხოლო შემდგომ იმის ახსნა ან თავის მართლება იმაზე, თუ რატომ არ ასრულდა დანაპირები, პოლიტიკოსს ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აგდებს. მოკლედ, მუდმივად თავის მართლება არახდენილ პროგნოზებზე საზოგადოების თვალში პოლიტიკოსის იმიჯს ჩრდილს აყენებს და მერე, პროგნოზებამ რამდენიც არ უნდა იმართლოს თავი, რომ თურმე ყველა უდიდესი პოლიტიკოსის მოღვაწეობაც სწორედ თამამი პროგნოზების გაკეთება და მისი არ შესრულების შემდეგ, დიპლომატიურად თავის მართლება ყოფილა – ეს საზოგადოებაში ქართველი პოლიტიკოსების მიმართ მხოლოდ ნიჰილიზმსა და უნდობლობას ნერგავს.

ამიტომაც ვამბობ, რომ დღესდღეობით ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სრული უპასუხისმგებლობა, მე ვიტყვოდი, უთავმოყვარეობა სუფევს.

არ არის ეს ყოველივე ემოციებზე ან ვინმეს მიმართ ჩასაფრებული კაცის პოზიციიდან მტრულად განწყობილი საუბარი. ყოველივე ამას განვლილი გზა და ზოგიერთი ჩვენებური პოლიტიკოსის უპასუხისმგებლო მოქმედება მალაპარაკებს.

მე არ მინდა, რომ ასე იყოს, მაგრამ ხშირად მინახავს, თუ როგორ აღმოჩენილან ზოგიერთები საკუთარი ცრუ დაპირებების ანუ ილუზიების ტყვეობაში.



ხალხს არ უნდა შეჰპირდე იმას, რაშიც დარწმუნებული თავადაც არ ხარ. თუ იცი, რომ ბოლომდე ვერ დაიცავ და ვერ უერთგულებ, ისედაც საკუთარი პრობლემებით გულდამძიმებულ საზოგადოებას არ უნდა მოსთხოვო თანადგომა ან თავდადებული ერთგულება. და თუ საკუთარ თანამოაზრეებს რამდენჯერმე იმედებს გაუცრუებ, მერე უაზრო თავის მართლებები და ისევ არაფრისმთქმელი მონოდებები საზოგადოებას მხოლოდ გაალიზიანებს და ეგრეთწოდებული, ვითომც პოლიტიკური ელიტის მიმართ მხოლოდ ზიზლით განაწყობს.

არადა, რა იოლად შეეჩვივნენ ჩვენი პოლიტიკოსები ხალხის ანუ საკუთარი ამომრჩევლის ნერვებზე თამაშს. ვუყურებ ზოგიერთ მათგანს და კიდევ უფრო მიმტკიცდება აზრი, რომ ყოველივე ეს არის უთავმოყვარეობის უმაღლესი მწვერვალი, რომლის იქითაც უკვე არაფრისმთქმელი სიცარიელეა, ენით რომ ვერ აღწერ, მხოლოდ რომ იგრძნობ, ისეთი სიცარიელე.

ჩვენმა, დროისგან უკვე გახუნებულმა ვაიპოლიტიკოსებმა არ იციან, რომ ძვირფასი პიჯაკები, მოხდენილი ჰალსტუხები, აშკარად ყალბად დაყენებული ღიმილი, კამერების წინ პოზიორობა, მათი მხრიდან გადადგმული იაფი ნაბიჯები და კიდევ ბევრი რამ, დაკვირვებული თვალისთვის უკვე მომაბეზრებელი გახდა. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ყოველივე ეს წარმავალია, რადგან მუდმივი ამქვეყნად არაფერია. სულ ასე და ამგვარად საზოგადოება თავს აღარ მოიტყუებს, რამეთუ ძველმა, დახავსებულმა სახეებმა თავიანთი დრო უკვე მოჭამეს. ამიტომაც, ზიზლი და უნდობლობა, რომელიც დანერგილია პოლიტიკოსებისა და მთლიანად პოლიტიკის მიმართ, უნდა შეიცვალოს.

პოლიტიკოსისთვის აუცილებელი არ არის, იყოს რადიკალური. მთავარია, იყოს თანმიმდევრული, ზომიერად ეროვნული და თუნდაც მცირედის, მაგრამ საკუთარი სიტყვის შემსრულებელი.

ამ მინიმალური მოთხოვნების დამკმაყოფილებელ პოლიტიკოსს, ის მაინც გარანტირებული ექნება, რომ ხალხი მის სატელევიზიო ეთერში გამოჩენაზე ლანძღვას არ ატეხს და ტელევიზორს სხვა არხზე არ გადაართავს.

დღევანდელი ჩვენი პოლიტიკოსების შემხედვარეს კი ასეთი აზრი არ ამოდის თავიდან. ვფიქრობ, მათთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ტყუილებსა და უპასუხისმგებლობაში ათასჯერ გამოჭერის შემდეგ, ვინ გალანძღავს, ვინ შეაფურთხებს და ვინ ზიზლს ველარ შეიკავებს მათ დანახვაზე. ზოგიერთს ჰგონია, რომ ეს დიადი პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია და, რაც უფრო მეტად გაისქელებენ შუბლს, უფრო დიდ, ღირსეულ, თავშეკავებულ და დინჯ პოლიტიკოსებად ჩაითვლებიან, რადგან არის პოლიტიკოსთა კატეგორია, რომელთათვისაც ნებისმიერი ხერხით პარლამენტში ან საკრებულოში ოთხი წლით საკუთარი ადგილის დაბეჭება და მსუყე ხელფასის დანიშვნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქვეყანაში რაიმე სახის ძირეული, სისტემური

ცვლილებების განხორციელება.

მათ თავიანთი ცრუ და არაფრისმთქმელი მოღვაწეობით ქართველ პოლიტიკოსებზე დაამკვიდრეს დამახინჯებული შეხედულება.

- მოიტყუე?
- არ შეიმჩნიო.
- უღალატე?
- შუბლი გაისქელე.
- იმედი გაუცრუე?
- ეცადე, დააბოლო.

ჩვენდა სავალალოდ, აი, ეს გახლავთ ის ამაზრზენი პრინციპი, რაც ქართველ ვაიპოლიტიკოსთა ერთ ნაწილს ავადმყოფურად ახასიათებს და, ყველაზე გულგასახეთი მანც ის არის, რომ მათ ყოველივე ეს ზეპოლიტიკის განუყოფელ ნაწილად მიაჩნიათ.

კი, მაგრამ სადღაა სამართალი, ჭეშმარიტი თანაგრძნობა და ადამიანის შუბლის ძარღვი? — იკითხავს უბრალო მოქალაქე და მართალიც იქნება.

როგორც ჩანს, სამართალსა და შუბლის ძარღვს იქ არა ესაქმება რა, სადაც უსამართლობა და გასქელებული შუბლი ზეპოლიტიკად ითვლება.

ამ ადამიანების ყოველი ნაბიჯი მხოლოდ იაფფასიან პიარზეა აგებული. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამათი თითოეული გამოსვლა ტრიბუნასთან, ტელევიზიით თუ რაიმე აქციის მიმდინარეობისას ემსახურება მხოლოდ ერთადერთ მიზანს – როგორმე არ დაავიწყონ თავი ამომრჩეველს, ხოლო რას იტყვიან და რამდენად შესრულებად დანაპირებს მოაფრქვევენ არემარეს, ეს უმნიშვნელოზე უმნიშვნელო საკითხი ყოფილა.

ასე და ამგვარად. თუ ამ გზით განვაგრძეთ სიარული, ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოში უკვე სერიოზულად დასნეულებული პოლიტიკური სპექტრი გარდაიცვლება და მის ადგილზე დიდი ვაკუუმი წარმოიქმნება. შედეგად კი, არ მინდა მოხდეს უარესზე უარესი. ის, რასაც ყველაზე საშინელ სიზმარში თუ ვიხილავთ.

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში წარმოქმნილი ვაკუუმის შესავსებად დემოკრატიისა და გადამრჩენლის ყალბ მანტიამოსხმულმა ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა არ დაიკაპინოს თავისი სისხლიანი ხელები და ოფიციალურად საკუთარი ინკუბატორიდან გამოჩეკილი ბარტყეებით ჩვენი პოლიტიკური გვამების ჩანაცვლება არ დაიწყოს.

ყოველივე ქართული სახელმწიფოებრიობის სამუდამოდ გარდაცვალების ნიშანი იქნება, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს არასოდეს არ მოხდება. უბრალოდ, სიფრთხილეა საჭირო, რადგან ბევრ პრორუსულ ელემენტს, ალბათ, კბილები უკანკანებს და სრულ მზადყოფნასაც გამოთქვამს, ზემოხსენებულ მოღალატეობრივ საქმეში საკუთარი

წვლილიც შეიტანოს.

ამიტომ ვამბობ, რომ ამ ჩვენმა ვადაგასულმა პოლიტიკურმა ელემენტებმა უკვე თავი შეანყინეს ქართველ საზოგადოებას. საჭიროა ღირსეული ცვლა. ისინი უნდა წავიდნენ პოლიტიკიდან და ადგილი დაუთმონ ახალ, პროგრესულ და გაურყვნელ თაობას.

ჩვენ გვჭირდება ახალი ძალა, - ვაჟკაცური, ძლიერი, ენერგიული და საკუთარ ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული ერთიანი გუნდი. პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი, რომლებიც ლიტონ სიტყვებს ფუჭად ჰაერში არ გაისვრიან და მათთვის, როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრა იქნება არა მიზანი, არამედ საშუალება იმ მიზნის განსახორციელებლად, რასაც საკუთარი ქვეყნის ერთგულება ჰქვია.

## თავი IX

### 9 აპრილი – ერის იდეა თუ ახირება?

ძალიან ბევრი ჩვენი თანამემამულე ვიცი, რომლებიც ამაცობენ იმით, რომ 1989 წლის 9 აპრილს, ქართველი ერის ისტორიაში ამ მართლაც უმნიშვნელოვანეს და გარდამტეხ დღეს, იდგნენ იქ, სადაც ყველაზე დიდი ვნებათაღელვა და ქარიშხალი იყო. ეს სწორედ ასეა და ყველა ქართველი, ფიზიკურად ან თუ გარკვეული მიზეზების გამო, ამას ვერ შეძლებდა, იდეურად მაინც თანამემამულეთა გვერდით უნდა მდგარიყო.

იმ დღიდან 21 წელი გავიდა. როგორც მემამტიანენი იტყვიან ხოლმე, 21 მძიმე და მშფოთვარე წელიწადი.

ჩვენდა საუბედუროდ, არ ყოფილა არც ერთი ისეთი წუთი, საათი და დღე, რომ გვეთქვას, ყველა პრობლემა უკან მოტოვებულია და უკვე სამშვიდობოსა ვართ გასულებიო.

არადა, არა. თითქოს ვილაცამ დაგვწყევლაო, იფიქრებს კაცი, სულ ახალ-ახალი პრობლემები და გამოწვევები – ეს არის ჩვენი ქვეყნის მუდმივი თანმდევი.

პრობლემა იმისაა, რომ უნდა შეებრძოლო, მაგრამ ამჯერად მე სულ სხვა პრობლემა, უფრო სწორად, სულ სხვა ქართული ჭირი მაქვს მხედველობაში.

ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ ვიტყვი სათქმელს.

ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია საზოგადოების იმ ერთი ნაწილის შემდგომი პოზიცია, რომლებიც 1989 წლის 9 აპრილს იდგნენ თბილისისა და მთლიანად საქართველოს ცენტრალურ ნაწილში,

რუსთაველის გამზირზე.

ცნობილი ფაქტია, რომ ისინი მამაცურად წინ აღუდგნენ ოკუპანტების ტანკებსა და ალესილ ნიჩბებს, რათა საქართველოს მოეპოვებინა ნანატრი თავისუფლება და აქედან სამუდამოდ განედევნათ რუსის სამხედრო ტექნიკა, თავისი ლოთბაზარა ოფიცერ-პრაპორშჩიკებიანად. ჩვენი თანამემამულეების ერთმა თავდადებულმა ნაწილმა ხომ საერთოდ, ღირსეული ქვეყნის ღირსეული მომავლისთვის საკუთარი სიცოცხლეც კი არ დაინანა. ძალიან დიდმა ნაწილმა კი ჰაერში გაშვებული იმდენი რაოდენობით მომწამვლელი გაზი შეისუნთქა, რომ დღესაც ჯანმრთელობაშერყეულია.

ეს ყველაფერი ხომ ასე იყო?

მე მგონი, არაფერს ვაჭარბებ და მთელი ქვეყანა დამეთანხმება, რომ ყოველივე სრული სიმართლეა.

მაგრამ, ნახეთ საოცრება და შემდგომში რა ხდება ჩვენს თავს.

იმ დღიდან გადის წლები და მომწამვლელი გაზით ჯანმრთელობაშერყეული (და არა მარტო ჯანმრთელობაშერყეული) ის ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე, რომელიც დამპყრობელ რუსთა დაჟანგებულ ტანკებს საქართველოს ტერიტორიიდან სამუდამოდ გადაკარგვას აიძულებდა, დღეს რატომღაც კრემლის დიდ თაყვანისმცემლად გადაქცეულა და ისეთი გულისფანცქალით მოელის იგივე რუსის ჯარის საქართველოში კიდევ ერთ შემოსევას, როგორც მარტოხელა დედა — თავისი ერთადერთი შვილის ფრონტის ხაზიდან დაბრუნებას.

არავინ თქვას, რომ ეს ტყუილი და უადგილო ცილისწამებაა. ვისაც არ სჯერა, გაახილოს კარგად თვალი და დაინახოს, რომ, სამწუხაროდ, ასეა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს 9 აპრილს დაღუპული ქართველი გმირების სულში ჩაფურთხებასთან, რაც არავის არ უნდა ეპატიოს.

მე როდესაც ვამჩნევ, რომ ასეთი კატეგორიის მედროვეები მომრავლდნენ ჩვენს ქვეყანაში, ერთი შიში მიპყრობს და სავსებით ბუნებრივი შეკითხვაც მეზადება. თუმცა, ვიმეორებ, ეს მხოლოდ გაცეხებული ადამიანის შიშია და ძალიან მინდა, რეალობასთან ამ ყოველივეს არავითარი კავშირი არ ჰქონდეს.

ამ უკულმართობის დანახვის შემდეგ, აი, ჩემი ბუნებრივი კითხვაც ქართველი საზოგადოებისადმი.

- 1989 წლის 9 აპრილი იყო ქართველი ერის იდეა თუ ერთმანეთის მიმართ განეული ქაოსური თანაგრძნობა ან რაღაც ახირება?

შიში იმიტომ მიპყრობს, რომ არ მინდა, ჩემს მიერ დასმულ ამ შეკითხვაზე პასუხი იყოს - მხოლოდ თანაგრძნობა ან ახირება, რადგან, თუ ასეა, მაშინ ქართველები არ ვყოფილვართ ღირსეული ხალხი. ჩვენ მხოლოდ ის ერი ვყოფილვართ, რომელიც გაშლილ მინდორში მობიზინე იმ პურის ყანას ჰგავს, იქით რომ გადაიხრება, საითაც ქარი დაუბერავს.

მე არ მინდა ისეთი მერყევი საქართველო, სადაც მიზანი, იდეა, ხედვა და ნებისმიერი პოლიტიკური შეხედულებები დროსა და ჟამთან ერთად იცვლება.

მე არ მნამს იმ მედროვე ადამიანების, რომელთათვისაც უმთავრესია დღევანდლობას მორგებული ხედვა და არა – პრინციპები.

საერთოდ, ერთადერთი საკითხი, რაშიც მე ყოველგვარ კომპრომისს კატეგორიულად გამოვრიცხავ, ეს საქართველოს, თუნდაც მცირედით, რუსული ორბიტისკენ გადახრაა. აქ კომპრომისები, უკან დახევა და რაიმე სახის დათმობა ქვეყნის ლალატის ტოლფასია.

ამიტომაც, კიდევ ერთხელ ვამბობ იმას, რაც უკვე მრავალჯერ მითქვამს — სამკურნალოს ვუმკურნალოთ, გავნმინდოთ და გავმარგლოთ ჩვენი ქვეყანა ამ დასნეულებული სარეველა ბალახისგან. ეს ყოველივე უნდა გავაკეთოთ ისე, რომ არ დაგვრჩეს არც ერთი კუთხე და არც ერთი კუნჭული გამოუსუფთავებელი.

მოსაკვეთი დროზე მოვკვეთოთ და გამოსაშვებად გამზადებული, დაბინძურებული სისხლი დროზე გამოვუშვათ, ვიდრე სნეულება მთლიან ორგანიზმს არ მოსდებია.

მჯერა, ამას შევძლებთ, რადგან ყოველივეს ჩვენი საყვარელი საქართველო მოითხოვს, საქართველო კი ყველა ჩვენგანზე მაღალა უნდა იდგეს.

## თავი X

### მშენიერი მაგალითი თურქეთი

დღეს საქართველოში ნებისმიერი სახის არჩევნების ჩატარებას, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, აკონტროლებენ ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები. სხვა საქმეა, ყოველივე ეს ვის როგორ მოსწონს ან არ მოსწონს, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული არჩევნების სამართლიანობა სწორედ ევროპელი და ამერიკელი როგორც დამკვირვებლების, ისე დიპლომატების საბოლოო სიტყვაზეა დამოკიდებული. ვიმეორებ, ეს ბევრს, განსაკუთრებით კი არჩევნების წინ მოსკოვში მორბენალ და პუტინის კარზე სამარცხვინოდ ატუზულ საზოგადოებას სულაც არ ახარებს. მაგრამ, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის კი არ არის, ვის ვინ ან რა უნდა? არამედ მნიშვნელოვანია ევროპა-ამერიკის წარმომადგენელთა თითოეული შეფასება, რადგანაც მათ დემოკრატიულ სახელმწიფოთა მშენებლობაში უდიდესი გამოცდილება დაუგროვდათ. ისეთ პატარა ქვეყანას კი, როგორც ჩვენი საქართველოა, სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის საქმეში განვითარებული და პროგრესული ევროპა-ამერიკისგან სასწავლი და გადმოსაღები მარ-

თლაც ბევრი აქვს.

ქვეყნისთვის ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში საჭიროა სრული კურსის აღება იმ ევროპული ღირებულებებისკენ, სადაც სამართალი, აღმშენებლობა და საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესი რამ არის.

მაშ ასე, ქვეყნის კურსი ცალსახაა. იგი არავითარ გადახვევას არ უნდა ექვემდებარებოდეს.

თუმცა, ჩვენში ხომ მრავლად არიან ის გონებაზე ზღუდული ელემენტები, რომლებიც საქართველოს ერთიან ევროპულ ოჯახში ინტეგრაციას ისე უყურებენ და იმგვარად უფრთხიან, როგორც კეთროვანს.

მათი გაცრეცილი არგუმენტები ასეთია:

- ჩვენ არ ვართ ევროპელები. ჩვენ ვართ კავკასიის მთების ამაყი შვილები. ჩვენი ადგილი ევროპულ ოჯახში იმიტომ არ არის, რომ ისინი დაგვაკარგვინებენ კავკასიელობას, ტრადიციებს, სამხრეთულ ჯიგარს, კაი ბიჭობას, კაი კაცობას და მოკლედ, ყველაფერ იმას, რაც ქართულია...

როგორია, კარგი სადღეგრძელო გამოვიდა, არა?

ზუსტად ისეთი სადღეგრძელო, დაახლოებით, წინა საუკუნეში, უძრავობის ხანაში გამოზრდმედილი საზოგადოება ჯიხვის რქის ყანწიდან, რომ სვამდა ხოლმე.

ეს ის ფრაზებია, რომლებიც დღეს უკვე სუფრასაც კი აღარ ალამაზებს და მით უმეტეს, აქედან პოლიტიკისთვის რაიმე სახარბიელოს ამოკრეფას ნურავინ შეეცდება.

სიმართლე გითხრათ, ამგვარ უკუღმართ აზრებს ადრე ყურადღებას არც ვაქცევდი, მაგრამ ბოლო დროს მსგავსი თავქარიანი შეფასებები ისეთი ხალხისგან გავიგე, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა რომ გააჩნიათ და ზოგიერთი დაბოლილიც ყურებდაცქვეტილი უსმენს.

ამათი ავადმყოფური არგუმენტებით, ევროპა ცუდი ყოფილა იმიტომ, რომ ველარ ვიკავკასიელებო, ველარ ვიქართველებო და, საერთოდ, არარაობად ვიქცევით.

ერთი ვკითხვით ამ მართლაც უძრავობაში ჩარჩენილ ბრბოს, როცა სამშობლოდაკარგულები რუსულ-საბჭოურ ქვეყანაში ვიყავით ინტეგრირებულნი და უცხოელები ყველას რუსებად მოგვისხენიებდნენ, რატომ მაშინ არ გახსოვდათ ამაყი კავკასიელობა და ქართველობა?

ან კიდევ, თქვენ რომ 32 თუ 37 მანეთად რუსეთში დაძვრებოდით და დროს ატარებდით, რატომ არ შეიძლება, დღევანდელმა ან მომავალმა თაობებმა ისევე თავისუფლად ინავარდონ ევროპა-ამერიკაში, როგორც ამას მათი მამები და ბაბუები რუსეთის მიმართულებით აკეთებდნენ?

თავის დროზე, „გუმში“ და „ცუმში“ უთავბოლოდ ცანცარზე შექმნილი ლეგენდები, ხოლო შემდეგ მოსკოვის საუკეთესო რესტორნების დახურვა დღეს მოდაში აღარაა, რადგან სასპეკულანტოდ და სანავარდოდ თურმე მოსკოვზე დონე ქალაქებიც არსებობს. უბრალოდ, ამას და-

ნახვა და სალი აზროვნება სჭირდება, რაც, სამწუხაროდ, ზოგიერთმა ჩვენმა თანამემამულემ მოსკოვის იმ 32 თუ 37 მანეთიან ბილეთებს გაატანა, ლამის მათი ცხოვრების სავიზიტო ბარათად რომ ქცეულა.

მაინც რა უცებ ჩამოეშალათ ამ ჩემი ცოდვით სავსეებს ეს ისედაც დაუძღურებული აზროვნება?

თუ რუსეთთან ერთიანი სახელმწიფო საზღვრები, სამანეთო ზონა, ეკონომიკა, კულტურა და მთლიანად საბჭოური ინტეგრაცია მათთვის აბსოლუტურად მისაღები იყო, რატომ არ შეიძლება, რომ მრავალჯერ უფრო ხარისხიანი და საკუთარი სახელმწიფოებრიობის შემნარჩუნებელი, უდიდესი ევროპული თანამეგობრობისკენ ვისწრაფვოდეთ?

მაგრამ, როგორც ჩანს, აქ მათ გართულება რაიმე სახის კონკრეტულ ინტეგრაციაზე კი არა აქვთ, არამედ მათი სიძულვილის უმთავრეს ობიექტს მხოლოდ ცივილიზებული ევროპა და ამერიკა წარმოადგენს.

რა ნაცნობი სურათია, არა? ეს ზუსტად ის პოლიტიკაა, რასაც ჯერ წითელი საბჭოელები, დღეს კი უკვე რუსები და მათი მოკავშირეები ქადაგებენ.

ნებისმიერს, ვისაც ევროპული ინტეგრაცია არ ხიბლავს, ჩუმიად, ოღონდ ყურში რომ ჩასჩურჩულოთ, რას იტყვით რუსეთთან ძველი, მამაპაპური კავშირების აღდგენა - ინტეგრაციაზეო, უმალ თანხმობის ნიშნად ორივე ხელს ასწევნ და თვალები სიხარულის ცრემლით ავესებათ.

აი, ესეც თქვენი ამაყი კავკასიელობა.

- მაშ, რა გამოდის?

რუსეთთან ტაშფანდური და დროს ტარება მისაღებია, ხოლო ევროპაში ცხოვრება კავკასიის ამაყი შვილისთვის დამღუპველი ყოფილა.

ეჰ, მე კი კარგად ვიცი, რომ ამ ქვეყნისთვის დამღუპველი და გადამგვარებელი თავად ჩვენი თანამოძმეების მიერ, ნებსით თუ უნებლიედ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, კრემლის პოლიტიკის გატარებაა, მაგრამ რამდენჯერ უნდა ვიმეოროთ ერთი და იგივე?

ალბათ, ყოველივეს გამეორება მოგვიწევს მანამ, სანამ სამშვიდობოს არ გავალთ.

მანამდე კი, როგორც ჩანს, ბევრი კითხვა დაგროვდა, მაგრამ ამ ყველაფერს ერთი პასუხი აქვს, უფრო ზუსტად, ერთი ქვეყნის მაგალითია მისაბაძი და დასაფიქრებელი.

ეს ქვეყანაა თურქეთი. გეოგრაფიულად არც მთელი ეს სახელმწიფოა ევროპის ტერიტორიაზე გადაჭიმული და მის მოსახლეობას ხომ რამდენიმე ათეული წლის წინ საერთოდ არაფერი ეცხოვროპელისა, მაგრამ დღეს, რომელიმე თურქს რომ უთხრათ, თქვენი ადგილი არ არის ევროპაშიო, სანყენად მიიღებს.

საინტერესო ისიცაა, რომ ეს ძლიერი მუსულმანური ქვეყანა ევროკავშირის წევრი არ გახლავთ და როგორც ჩანს, რელიგიური ფაქტო-

რის გამო, მაინცდამაინც არც ევროპელები იკლავენ თავს იმაზე ფიქრით თუ როგორ მოახერხონ თურქეთის სასწრაფოდ განევრიანება ევროპის ერთ-ერთ წამყვან სტრუქტურაში. მიუხედავად ამისა, თურქები მაინც განაგრძობენ საკუთარი ქვეყნის განვითარებას და დასავლეთის ცივილიზებულ სახელმწიფოებთან კიდევ უფრო მჭიდროდ დაახლოებას.

თურქეთს, ამ სეკულარულ სახელმწიფოს, ევროპასთან სიახლოვითა და გეგმაზომიერი პოლიტიკით არაფერიც არ დაუკარგავს, პირიქით, მათ იმდენი მოიგეს, რომ ეკონომიკურად ევროპის სოლიდურ ქვეყნად იქცნენ. რომ არა ევროპა და მისი ღირებულებებისკენ აღებული სრული კურსი, ალბათ დამეთანხმებით, დღეს ჩვენი მეზობელი თურქეთი, ნატოს ერთ-ერთი აქტიური წევრი და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფო კი არა და, ავღანეთისა და მონღოლეთის დონის ჩამორჩენილი ქვეყანა ან ნარკოდელერებისთვის მისაღები სატრანზიტო დერეფანი იქნებოდა.

თურქების მისაბაძი კიდევ ერთი რამ არის. ისინი ისე გადადიან ევროპულ ღირებულებებზე, რომ საკუთარ, ეროვნულ ფასეულობებს კი არ ივინყებენ, არამედ კიდევ უფრო აძლიერებენ. თუმცა, ეს უკანასკნელი მხოლოდ თურქეთში კი არა, ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში შეიგრძნობა.

ინგლისი, ევროპის ტვინი, ცნობილია საკუთარი კონსერვატიზმით და ვერავინ იტყვის, რომ ბრიტანელები, ერთიანი ევროპის გადამკიდე, იმას კარგავენ, რითაც საუკუნეების მანძილზე ამაყოფნენ.

იგივე ითქმის სამხრეთული ტემპერამენტით ცნობილ იტალიელებზე. მათ შეინარჩუნეს და აძლიერებენ იმას, რაც წინა თაობებისგან მოსდგამთ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ერთადერთი, რაც ერთიანმა ევროპულმა ოჯახმა დააკარგვინა და რის წინააღმდეგაც ძლიერი ბრძოლა გამოაცხადებინა სრულიად იტალიას — ეს მაფიოზურ-კლანური გადახრები იყო. იტალიელებმაც ყურად იღეს დანარჩენი ევროპის საჭირო რეკომენდაციები და გეკითხებით, რა წააგეს ამით? მათ არც არაფერი არ წაუგიათ, პირიქით, უფრო წინ მიდიან და ყალიბდებიან ევროპის ერთ-ერთ წარმატებულ ერად. სწორედ ამის შედეგია ის, რომ დღეს იტალია არის ქვეყანა, რომელსაც კი არ დაუთმია საკუთარი ეროვნული ღირებულებები, არამედ უფრო ძლიერდება და ვითარდება.

ავილოთ თუნდაც ავსტრია. ამ ქვეყნის ნებისმიერ ქალაქში იფრქვევა ცნობილი ავსტრიელი კომპოზიტორების მიერ შექმნილი გენიალური მუსიკის ჰანგები. მოცარტი, შტრაუსი, შუბერტი — ესენი ის დიდი ავსტრიელები იყვნენ, რომლებითაც ამ ქვეყანაში მცხოვრები ნებისმიერი თაობა სრულიად სამართლიანად ამაყოფს. და რა მერე, ვინმე ჩასაფრებული ევროპელი უკარგავს ამ და კიდევ სხვა უამრავ სიკეთეს ავსტრიელ ხალხს? არაფერი მსგავსი, პირიქით, კიდევ უფრო ძლიერდება და იხვეწება ეს მართლაც საოცარი ნიჭისა და პოტენციალის მქონე



ქვეყანა.

აქვე ისიც საყურადღებოა, რომ ავსტრიაში სახელმწიფო, გერმანულ ენასთან ერთად უნგრულ, სლოვენურ და ხორვატიულ ენებს მინიჭებული აქვთ რეგიონალური ენის სტატუსი. მიუხედავად ასეთი მრავალეროვნულობისა, წარმოუდგენელია მონახოთ ავსტრიის მოქალაქე ანუ ამ ქვეყანაში მცხოვრები უნგრელი, ხორვატი ან სლოვენელი, რომელსაც ავსტრიის სახელმწიფო ენა - გერმანული არ ეცოდინება.

ამ მაგალითის შემდეგ, როგორ არ გაგახსენდება კაცს საქართველოს ძირძველი კუთხეები ჯავახეთი და ქვემო ქართლი, სადაც, ევროპული ავსტრიისგან სრულიად განსხვავებული, ერთიანი საქართველოსთვის კი ყოვლად მიუღებელი სიტუაციაა.

სწორედ ამიტომაც გვინდა ევროპასთან სიახლოვე, რომელიც ამ პრობლემას უმტკივნეულოდ მოგვაგვარებინებს.

ორიოდე სიტყვა ვთქვათ სკანდინავიის ქვეყნებზეც, რომლებიც საკუთარი ცხოვრების სტილითა და ფასეულობებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ცენტრალურ და განსაკუთრებით კი სამხრეთ ევროპელებისგან, მაგრამ გაგიგიათ, ოდესმე რომელიმე სკანდინავიელს თავი გარიყულად ეგრძნოს ერთიანი ევროპული სახლიდან?

არა და არა, ასეთი რამ იქ არ ხდება, რადგან ევროპის კონტინენტზე მდებარე და რაც მთავარია, ევროპული ღირებულებების მატარებელი ქვეყნები, თუნდაც სრულიად პატარა სახელმწიფოები იყვნენ, ერთმანეთთან მეგობრული და თანასწორი არიან.

ახლა გეოგრაფიულად ჩვენს სიახლოვეს მყოფ ქვეყნებს დავუბრუნდეთ და კიდევ ერთი კენჭი ვისროლოთ ჩვენებური პოლიტიკოსების ბოსტანში, რათა გამგებმა გაიგოს.

ქართველ პოლიტიკოსებს ძალიან უყვართ მეზობელი ქვეყნებიდან მაგალითების მოყვანა და, როცა ამას აკეთებენ, რატომღაც შეთქმულებივით ყველას ძირითადად მაინც სომხეთის მაგალითი აკერია პირზე, იმის დასტურად, თუ როგორ დააღაგა ურთიერთობები მეზობლებთან და როგორ ვითარდება ეს ქვეყანაო. ყოველივე ამას ამბობენ ისე, თითქოს მთიანი ყარაბაღის პრობლემა ბუნებაში არ არსებობდეს ან აქ უკვე საბოლოოდ გადანწყვეტილი იყოს რაიმე. არადა, ამ რეგიონში ცვლილებად მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ სომხებმა სეპარატისტულმა დაჯგუფებებმა აზერბაიჯანის ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია მოახდინეს, რის შედეგადაც მთიანი ყარაბაღი დღემდე ყოველგვარი ოფიციალური სტატუსის გარეშე დარჩენილი ტერიტორიაა. ყოველივე ამის შემდეგ, თუ ვინმესთვის სეპარატისტების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიების 20%-ის ჩამოჭრა და ამ რეგიონში ასიათასობით სრულიად უდანაშაულო, მშვიდობიანი მოსახლის ამოხოცვა ან უსახლკაროდ დატოვება კვლავაც მისაბაძი მაგალითია, მაშინ მისი ადგილი რომელიმე სატანისტურ სექტაში უფრო უნდა იყოს, ვიდრე დიდ პოლიტიკაში.

კიდევ იმიტომ არის ასეთი საუბრები მიუღებელი, რომ ჩვენი ტერიტორიების საკმაოდ მსუყე ნაჭრებიც სწორედ სეპარატისტების მიერაა ჩამოჭრილი და უცხო ქვეყანაში უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა მხარდაჭერა, ფაქტიურად, საკუთარი ქვეყნის სეპარატისტების ნახაღისებასაც ნიშნავს.

აღბათ, კარგად გახსოვთ, რომ აფხაზეთში ძალიან ბევრი მოხალისე სომეხი ჩვენი თანამოძმეების წინააღმდეგ სწორედ იმ ქართული სახელმწიფოს დანაწევრებისთვის იბრძოდა, რომლის აღდგენასაც დღეს ყველა ჩვენგანი მოუთმენლად ელის.

და ჩვენ გვაქვს ჯავახეთი, თუმცა, სანამ საქართველოს ამ კუთხეზე კიდევ ერთს ვიტყოდეთ, მანამ ისევ მთიანი ყარაბაღი გავიხსენოთ და სათანადო დასკვნებიც გავაკეთოთ.

ეთნიკური დაპირისპირება აზერბაიჯანის ამ რეგიონში 1988 წელს დაიწყო. მთიან ყარაბაღში მცხოვრებმა ეთნიკურმა სომეხებმა „დიდი სომხეთის“ აღდგენის მიზნით სრულიად გაუმართლებლად გამოაცხადეს იმ დროინდელი აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისგან დამოუკიდებლობა. მაშინ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი იყო და ამ ტერიტორიაზე ანუ ყარაბაღში მოსახლეობის დაახლოებით 60-65%-ს ეთნიკური სომეხები შეადგენდნენ. უმრავლესობაში მყოფმა სომეხებმა ადგილობრივ აზერბაიჯანელებს თავს დაატყვევეს ის უბედურება, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩვენც მწარედ გამოვცადეთ.

ახლა ისევ ჯავახეთი, ჩვენი, ქართული რეგიონი, სადაც მოსახლეობის უმეტესობას ეთნიკური სომეხები შეადგენენ.

ხვალ ან ზეგ ვინმე ამჩატებულ სომეხს, კვლავ რომ წამოუღიტინოს თავში ვითომ „დიდი სომხეთის“ აღდგენის სულელურმა იდეამ და თითი ჯავახეთისკენ გაიშვიროს, ვინ იქნება მერე ჩვენი დამცველი?

-რუსეთი?

-პუტინ-მედვედევის დუეტი?

-რუსულ ბალაღაიკაზე აკუნტრუშებული ქართველი ვაიპოლიტიკოსები?

კარგი თ ერთი, რა. ამათ რომ თავის დროზე ჩვენთვის რაიმე სასიკეთო სდომებოდათ, ახლა არც აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპულები გვეყოლებოდნენ, არც უგზო-უკვლოდ დაკარგულების პრობლემა იდგებოდა ჩვენში და შედეგად, აღარც თვალცრემლიანი, შავით შემოსილი ქართველი დედების ხილვა მოგვიწევდა.

ამიტომ, იგივე ტრაგედიები რომ აღარ დაგვატყდეს თავს და ამჯერად უკვე სხვა ქართველმა დედებმა რომ აღარ ჩაიცვან შავები შვილების დაკარგვის გამო, ჩვენ გვჭირდება სტაბილური, ევროპული თანამეგობრობა, ისეთი, რომელიც არც სხვას წაართმევს რამეს და ცოცხალი თავით არც საკუთარს დაუთმობს ვინმეს.

და კიდევ ერთი რამაა საყურადღებო — ის ქართველები, რომელთ-

აც დღეს საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ჯარის ხილვა არ სურთ, არავინ იფიქროს, თითქოს ჩვენი ქვეყნის რაიმე სახის სამხედრო პოლიგონად გადაქცევის წინააღმდეგნი იყვნენ. ნურას უკაცრავად, ამ კატეგორიას ნება რომ მისცეთ, რუსის ტანკებს დიდი ზარ-ზეიმით შემოაბრუნებდნენ საქართველოში, თანაც ყოველივე ამას ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საუცხოო, ახალ ფორმულად მონათლავდნენ, თავად რუსის სამხედროებს კი უეჭველად გაბრწყინებული თვალებით, რუსული წეს-ჩვეულების შესაბამისად, პურიტა და მარილით დახვდებოდნენ.

მაგრამ უადგილოა მათი ფუსფუსი, რადგან საქართველოში რუსის ტანკები აღარასოდეს დაბრუნდებიან.

მიზანი ცნობილია, კურსი კი — ალებული!

სრული სვლით დასავლეთისკენ და რაც შეიძლება შორს რუსეთისგან!

თუ ჩვენ გავხდით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ავტომატურად, ყველანაირი შესაძლო საფრთხე მოიხსნება ჯავახეთში, საქართველოს დანარჩენი რეგიონები კი ნებისმიერი სამხედრო აგრესიისგან სამუდამოდ და საიმედოდ იქნებიან დაცულნი

\* \* \*

ასე რომ, უპრიანი ის უფრო იქნება, თუ ამგვარად ვიტყვით - ჩვენთვის სამაგალითონი არიან არა სომხები, არამედ თურქები, მათ მიერ განხორციელებული მზარდი წინსვლისა და მცდელობისთვის ერთიან ევროპულ ოჯახში დასამკვიდრებლად.

აი, ეს უნდა იქცეს ჩვენი ქვეყნისთვის მისაბამ მაგალითად და არა სომხების ქაოსური პოლიტიკა, რომლებსაც, მგონი, თავადაც ვერ გაურკვევიათ, საით წავიდნენ, ისევ რუსეთის კალთას შეაფარონ თავი თუ რაღაც დასავლური სიახლეების ძერწვას შეუდგნენ. თუმცა, ჩემი აზრით, ჯერჯერობით სომხეთის მომავალი, მაინც, რუსეთზე გადის. მითუმეტეს, მას შემდეგ, რაც სომხეთისა და რუსეთის ხელისუფლებების მიერ გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რუსეთის სამხედრო ბაზას სომხეთში ყოფნის ვადა 2044 წლამდე გაუგრძელდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად დავასკვნათ, რომ დასავლეთეევროპული ცნობიერების ასათვისებლად სომხებს არც ძალა ეყოფათ, არც ფანტაზია და მაინცდამაინც არც მოჭარბებული პრორუსული მენტალიტეტი მისცემს ამ ერს ევროპაში ფრთების ლალად გაშლისა და ნავარდის საშუალებას.

## თავი XI

### ფრაზები შივარჩიოთ, ფრაზები

არის ნებისმიერი პოლიტიკოსის ან პიროვნების მიერ წარმოთქმული ფრაზები, რომლებიც მსმენელს იმდენად დადებით მუხტს მატებს, რომ სიცოცხლის ბოლომდე ამახსოვრდება და შემდგომ შეიძლება საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობებს გადაეცეს. ასევე ხშირად გვსმენია ისეთი ფრთიანი გამონათქვამებიც, რომლებიც პიროვნებაზე შექმნილ დადებით წარმოდგენას უმალ უარყოფითად შეგვიცვლის და მასზე არსებულ მთელ შეხედულებებს თავდაყირა აყენებს.

მსგავსი ფაქტები ჩვენს ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში მრავლად ყოფილა და კიდევ უამრავჯერ შეგვხვდება. მოკლედ რომ ვთქვათ, ფრთიანი გამონათქვამები იქნება მანამ, სანამ პოლიტიკა და კაცობრიობა იარსებებს.

ნებისმიერი პოლიტიკოსი უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ რას ამბობს და, საერთოდ, ღირს თუ არა იმის წამორთქვა, რაც ენაზე მოადგება კაცს.

რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, ამის მთქმელს რაიმეს წამორთქვას წამდვილად ვერ ვაკადრებ, მაგრამ დაუფიქრებელ და ყოველგვარ ანალიზს მოკლებულ ნათქვამთან რომ გვაქვს საქმე, ცხადია.

გახსოვთ, ალბათ, 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი არჩევნების წინ თბილისის მერობის კანდიდატები როგორ აქტიურად ეპაექრებოდნენ ერთმანეთს ჩვენი დედაქალაქის აყვავება-აღმშენებლობის საკუთარ და პარტიულ ხედვებზე. ბუნებრივია, ამაში ცუდი წამდვილად არაფერია, პირიქით, მისასალმებელიცაა, როცა მერობის კანდიდატები ღიად და დაუფარავად საუბრობენ, მსჯელობენ, კამათობენ კონკრეტულ ხედვებზე და მოსახლეობამდე მიაქვთ საკუთარი გეგმა. მოკლედ, პოლიტიკოსები ცდილობენ, ხალხს თვალი აუხილონ (ოღონდ თვალეში ნაცარი არ შეაყარონ), ამომრჩეველი კი თავად გადაწყვეტს, არჩევანი რომელ კანდიდატზე ან პარტიაზე შეაჩეროს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ეს არის ის, რაც იყო და როგორც უნდა ყოფილიყო.

ახლა კი ვთქვათ ის, რაც იყო, მაგრამ ასე არ უნდა ყოფილიყო.

მაგალითად, ჩემთვის სრულიად გაუგებარი გახლდათ და თბილისის მერობის კანდიდატისთვის აბსოლუტურად კონტექსტიდან ამოვარდნილად მომჩვენა ზვიად ძიძიგურის ერთ-ერთი ფრაზა, რომელიც მან საარჩევნო კამპანიისას სატელევიზიო ეთერში განაცხადა.

ესაო, ისაო და თუ ამ არჩევნებში მე გავიმარჯვებ, ვპირდები დედაქალაქის მოსახლეობას, რომ თბილისის მერია გადაიქცევა საპარლამენტო არჩევნებისთვის მოსამზადებელ შტაბებად. ჩვენთვის, ესე იგი, მერიისთვის მნიშვნელოვანი იქნება არა სოციალური საკითხები,

არამედ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა და ჩვენ ვაი-ძულეებთ ხელისუფლებას ამის გაკეთებას, რადგან მერიაში განთავსებული შტაბები დაიწყებენ ბრძოლასო – ასეთი რამ ბრძანა ზვიად ძიძიგურმა.

როგორია? გაგახსენდათ და მოგეწონათ?

არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ვინმეს ძალიანაც მოეწონა, მაგრამ, აბა ერთი ჰკითხეთ ვარკეთილში ან გლდანში მცხოვრებ ნებისმიერ აპოლიტიკურად განწყობილ პენსიონერს ან თუნდაც ნებისმიერი ასაკის პიროვნებას. მას რა უფრო ურჩევნია, თბილისის მერია ანუ ქალაქის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ აუცილებლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები და იზრუნოს ჩვენი დედაქალაქის მოწყობა-გალამაზებაზე, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე თუ მერია გახდეს რაღაც საბრძოლო შტაბისმაგვარი შენაერთი და ფაქტიურად იმ საძმოების სახე მიიღოს, რომელიც ოთხმოცდაათიანი წლების შავბნელი თბილისიდან ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს?

დარწმუნებული ვარ, არჩევანი არა ნგრევაზე, არამედ აღმშენებლობაზე გაკეთდებოდა.

ამიტომაც, ეს არის კონკრეტული პოლიტიკოსის ის ტაქტიკური შეცდომა, რაც მის კონკურენტებს საკმაოდ სოლიდურ ჰანდიკაპს აძლევს. ბუნებრივია, რომ ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, სრულიად აპოლიტიკურად განწყობილ მოსახლეობას დასაყრდენი წერტილების ძებნა უკვე სულ სხვა პოლიტიკოსში დაეწყო. სიმართლე ვთქვათ და ასეთი კატეგორიის ადამიანები ანუ პოლიტიკური პროცესებისგან შორს მდგარნი ძალიან ბევრი არიან. მათ პოლიტიკა არ აინტერესებთ, თუმცა ნებისმიერი სახის არჩევნებში ყოველთვის დადიან და საკუთარ მოქალაქეობრივ პოზიციასაც დაუფარავად აფიქსირებენ.

მათ უნდათ ცხოვრება და არ უნდათ პრობლემები! მათ უნდათ მშვიდობა და არ უნდათ ომი! მათ უნდათ სამართლიანობა და არ უნდათ ძალადობა!

ამის შემდეგ, ზოგიერთებს რაღაზე უკვირთ ყოველი არჩევნებისას განცდილი მწარე მარცხი?

თუ საზოგადოებისგან მიღებული მანდატი მხოლოდ იმისთვის გჭირდება, რომ მერე ქალაქში საბრძოლო მობილიზაციის მაგვარი გამოაცხადო და ქვა-ქვაზე აღარ დატოვო, ნულარ გაგიკვირდება, რომ ისედაც წარსულის ქაოსით განამებული ხალხი ზურგს გაქცევს და საკუთარ ხმასაც ალაღად სწორედ იმ პიროვნებას ჩაახუტებს, ვინც არა დაპირისპირების, არამედ სტაბილიზაციის, აღმშენებლობისა და წინსვლის მომხრეა.

არა მგონია, რომელიმე ჭკუადამჯდარ ადამიანს ისევ ის საშინელი დრო ენატრებოდეს, რომელიც ჩვენს დედაქალაქსა და მთლიანად ქვეყ-

ანას დიდძალი სისხლისა და ცრემლის ფასად დაუჯდა.

მაშინ ჩვენ, ჯერ კიდევ ბანანის რესპუბლიკაც კი არ გვერქვა. თბილისში ძალიან ბევრ ისტორიულ შენობა-ნაგებობასა თუ უბრალოდ საცხოვრებელ სახლს კვლავ აჩნდა ძმათამკვლელი ომისგან დატოვებული ნატყვიარი. იყო უკანონო შეიარაღებული ფორმირებების უთავბოლო თარეში, ხოლო ჩვენი დედაქალაქის უსიცოცხლო ქუჩებში სამხედრო ტექნიკის გამოჩენა, ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, როგორც დღეს კოკა — კოლას სარეკლამო წარწერებით მორთული მანქანების უწყინარი გრიალი.

ორი აზრი არ არსებობს, არც ერთი ჭკუათმყოფელი თბილისელი იმ გზას აღარ აირჩევს, რომელმაც ძალიან ბევრ ჩვენს თანამემამულეს და მათ შორის, მეც ფაქტიურად მთელი ახალგაზრდობა უაზროდ დაგვაკარგვინა. სწორედ იმ ავადსახსენებელი საძმოების, შტაბებისა და მუდმივი დესტაბილიზაციის შედეგი იყო ის, რომ მე, მაგალითად, ისე ვერ გამოვცადე ტკბილი და უდარდელი სტუდენტობის ეშხი, როგორც ის რეალურად უნდა ყოფილიყო, რადგანაც მთელი ჩემი სტუდენტობა და ახალგაზრდობა იყო ისეთივე შავბნელი და უპერსპექტივო, როგორც იმ დროის თბილისი და მთლიანად საქართველო გვახსოვს.

\* \* \*

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ამ ფლანგის რომელიმე ოპოზიციონერ პოლიტიკოსს როგორ უნდა მოუბრუნდეს ენა ევროპელ-ამერიკელი დიპლომატების მიმართ და როგორ უნდა დაადანაშაულონ იმაში, რომ ჩვენი, ოპოზიციური სპექტრის შენიშვნებს ყურად არ იღებენ და მხოლოდ დიალოგს გაჰკვივიანო?

შენიშვნებს კი არადა, საქართველოში ჩამოსული უცხოელი დიპლომატები ზოგიერთ ოპოზიციონერ ვაიპოლიტიკოსს საერთოდ სასაუბროდ რომ უსხდებიან და მათი არაფრისმთქმელი ლაყბობით ტვინს იჭყლეტენ, მე, პირადად, ეს უფრო მაოცებს.

როცა პოლიტიკოსი დაუფარავად იმუქრება, მოვალთ ხელისუფლებაში და იცოდეთ, რომ ჩვენ ევროპა, ამერიკა, ნატო არაფერში გვჭირდება და ისევ რუსეთის მფარველობაში უნდა დავაბრუნოთ საქართველო, ასეთი აზროვნების ადამიანებს რაღაზე უკვირთ, ამის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში უდიდესი გავლენის მქონე ევროპელი და ამერიკელი დიპლომატები მათ არასერიოზული და არასანდო თვალთ თუ შეხედავენ?

მე მაინც მგონია, რომ ასეთი პოლიტიკოსების გადამკიდეს, რაღაც აბსურდის თეატრთან გვაქვს საქმე.

რიხით და უსირცხვილოდ სახალხოდ ამბობენ, დამპყრობელი რუსეთის დასაყრდენი ვართო და, ამავე დროს, შეგნებულ ევროპა-ამერიკას ჯიქურ ავალდებულებენ - მწვანე შუქი აგვინთეთ და ხელისუფლებაში მოგვიყვანეთო.

ამით ზოგიერთი ჩვენებური სასაცილო მდგომარეობაში იგდებს თავს. ევროპელები და ამერიკელები რუსებისგან განსხვავებით, ზრდილობიანი ხალხია და პირდაპირ არავის ეტყვიან, ბუს კვერცხები ხომ არ მოგართვათო?

ბუს კვერცხები, რა თქმა უნდა, ხუმრობით, ისე კი მართლაც არ არის გამორიცხული, ზოგიერთმა რუსეთზე მლოცველმა ქართველმა პოლიტიკოსმა ისე ამოუყვანოს ყელში უცხოელ დიპლომატებს ყველაფერი, რომ რაღაც რეკომენდაციების მისაცემად სასაუბროდ დასხდომა კი არა, მალე შეიძლება ესენი სათოფეზეც აღარ გაიკარონ.

არავინ იფიქროს, თითქოს ამით საქართველოში დემოკრატიის შუქურა ჩაქრება, ყველაფერი გაცივდება და წყვდიადი დაისადგურებს.

იმ პიროვნებას, ვისაც ამგვარი შიშები ტანჯავს, ვურჩევ, გაიხედოს დასავლეთისკენ, ხოლო შემდეგ — ჩრდილოეთისკენ, ახლა კი შეადაროს ევროპული და რუსული დემოკრატიის ხარისხი ერთმანეთს.

თუ კიდევ რაიმეა გაუგებარი ან თუ ვინმეს შიშები ისევ ძველებურად ანუხებებს, მაშინ მისი საქმე უფრო სერიოზულად ყოფილა და ფსიქიატრიულ ჩარევას საჭიროებს.

## თავი XII

### ჩინური ეიფორია

დღეს ბევრი ლაპარაკია ჩინეთის მზარდ განვითარებაზე, რადგან ამ ქვეყნის ეკონომიკამ ჩინეთისთვის დღემდე მართლაც ჯერარნახულ მასშტაბებს მიაღწია. ჩინელები აწარმოებენ ფაქტიურად ყველა იმ საჭირო ნივთს, რაც ჩვენი პლანეტის ნებისმიერ ადამიანს სჭირდება. ამ ქვეყანას ასევე დიდი წარმატებები აქვს ცალკე ელექტროსაქონლის წარმოების კუთხითაც. მოკლედ, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი სავაჭრო ობიექტი სავსეა ჩინური ნაწარმით. რამდენად ხარისხიანია ეს პროდუქცია ევროპულ ან ამერიკულ ნაწარმთან შედარებით, ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა, რადგან, ალბათ, ხშირად გაგიგონიათ ჩინური ნაწარმის შემადგენლობაში არაჯანსაღი ელემენტების არსებობის შესახებ. თუმცა, ამ საკითხს ანუ პროდუქციის ხარისხს ცოტა მოგვიანებით მივუბრუნდებით, ახლა კი ისევ ჩინურ ეიფორიას შევეხებით, რომელმაც მთელი ჩვენი პლანეტა ისე შეძრა, რომ ლამის საკუთარი ღერძიდან ამოაგდოს.

კომუნისტურ რელსებზე შემდგარი ჩინეთი წარმატებული ქვეყანა გახდა და ნახეთ, რა შესძლებია სწორი მიმართულებით განვითარებულ კომუნიზმსო, — ამბობენ ჩვენი ხელმოცარული კომუნისტები. არადა, იმას არავინ უფიქრდება, რომ ამჟამინდელი ჩინეთი ისევეა მარქსიზმ-ლენინიზმის გზით მიმავალი ქვეყანა, როგორც სადამ ჰუსეინის დროინდელი ერაყი გახლდათ შუქურა დემოკრატიის ნათელი წერტილი.

დღევანდელი ჩინეთი, მართალია, კომუნისტურ ქვეყნად იწოდება, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის ის ღრმად კომუნისტურ აბლაბუდაში გაკვეხებული სახელმწიფო, როგორც საბჭოთა კავშირი გახლდათ ან როგორც დღევანდელი ჩრდილოეთ კორეა. განსხვავება მათ შორის ისეთია, როგორც ცა და დედამიწა. სიმართლე რომ ვთქვათ, დღეს ჩინეთი კომუნისტური მხოლოდ სიტყვით არის, ხოლო საქმით უფრო რაღაც შერეული, ახალი კაპიტალიზმისკენ მიისწრაფვის და, თუ ამ ქვეყანას რაიმე წარმატებები აქვს, სწორედ კაპიტალისტური ელემენტების დამსახურება უფროა, ვიდრე რაიმე შემორჩენილი კომუნისტურისა.

თავისუფალი, საბაზრო ეკონომიკა და არა კომუნისტებისთვის აუცილებელი მხოლოდ გეგმიური წარმოება, შეუზღუდავი ვაჭრობა და მჭიდრო ეკონომიკური კავშირები როგორც დასავლეთ ევროპის, ისე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან კომუნისტური იდეოლოგიის გზით სიარულს რომ არ ნიშნავს, ეს ყველა ჩვენგანს მშვენივრად მოეხსენება.

დასაწყისში უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩინეთი ამ ქვეყნისთვის მართლაც ჯერ არნახული ტემპებით ვითარდება და ძლიერდება, მაგრამ იმის თქმა, რომ სულ რამდენიმე წელიწადში ისინი პლანეტის უპირველეს ქვეყნად გადაიქცევიან და მსოფლიო ეკონომიკის ოქროს გასაღებიც ამ ქვეყნის დედაქალაქ პეკინში დაიდებს ბინას, გამოგიტყდებით და, წარმოუდგენლთან ერთად, არასერიოზულ მსჯელობადაც მიმაჩნია.

როცა ჩინურ პროგრესზე საუბრობენ, მის წინსვლას ძირითადად მაინც ევროკავშირისა და უფრო მეტად, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების ტემპებს ადარებენ. არადა, სიმართლე რომ ვთქვათ, ჩინური წინსვლა ახლოსაც ვერ მივა ამერიკულ გამოზომილ და თანაბარ განვითარებასთან, რადგან აშშ-ის ნებისმიერი შტატის, ნებისმიერ პატარა ქალაქში და თუნდაც, სოფელში რომ ჩახვიდეთ, იქაც ზუსტად ისეთივე დახვეწილ და თანამედროვე ინფრასტრუქტურას იხილავთ, როგორც, მაგალითად, ლას ვეგასში ან დედაქალაქ ვაშინგტონში. ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არსებობს ტერმინი, „მიგდებული სოფელი“, რადგან იქ თითოეულ სოფელში დაგებული ასფალტის სისქე, საკომუნიკაციო ქსელები და მაღაზიის, სასტუმროს, კაფე-ბარის, რესტორნისა თუ ნებისმიერი ობიექტის მომსახურება ზუსტად დიდი და წამყვანი ქალაქების ანალოგიურია.

ჩინეთში კი ეკონომიკური განვითარება ძირითადად მაინც, არა მთლიანად, არამედ მხოლოდ განაპირა და სხვა ქვეყნებთან მოსაზღვრე რეგიონებში ხდება, შუა ჩინეთში და განსაკუთრებით კი სოფლებში



სრულიად განსხვავებული სურათია, რადგან სიღარიბე და ჩამორჩენილობა დიდ კონტრასტს ქმნის დანარჩენ ჩინეთთან. სამწუხაროდ, დღეს იმ ჩინეთში, რომელსაც ზოგიერთი ცრუ ნოსტრადამუსი სულ მალე მსოფლიოს ლიდერ ქვეყნად გადაქცევას უწინასწარმეტყველებს, არის რეგიონები და სოფლები, სადაც 21-ე საუკუნეში წერა-კითხვის უცოდინრობის პრობლემა ჯერ კიდევ არ დაძლეულა. როგორც ჩანს, ეს ადამიანები საერთოდ გარიყულნი არიან ცენტრისგან და ადგილობრივი ხელისუფლებისთვისაც, ალბათ, ჩინური თოჯინების, ტელევიზორ „ჩინჩონგის“ თუ ჩინური ფაიფურის დიდი რაოდენობით დამზადება-გასაღება უფრო მნიშვნელოვანი საქმე ყოფილა, ვიდრე სოფლად მცხოვრები საკუთარი ხალხისთვის თუნდაც ელემენტარული განათლების მიცემა და შემდგომ უკვე მათ პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა.

და რა ხდება ამ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში?

ამერიკაში, ისევე როგორც ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში, შეიძლება შეხვდეთ ადამიანს, რომელსაც არასდროს ჰქონია უმაღლესი განათლების მიღების სურვილი და ამას ვერც ვერავის დავავალდებულებთ, რადგან ყოველივე მხოლოდ თითოეული ადამიანის პირადი არჩევანია. აი, წერა-კითხვის უცოდინრობის პრობლემა კი ამერიკის შეერთებული შტატების არც ერთ სოფელში არ დგას და მე მგონია, არც არასოდეს დადგება. ამერიკის სოფელში მცხოვრები გლეხი ან მუშა არ არის უმაღლესი განათლებით, მაგრამ საღამოს, როცა შინ ბრუნდება, შეიძლება, გაზეთსაც გადაავლოს თვალი, ტელევიზიით საჭირო ინფორმაციაც მიიღოს და, არ არის გამორიცხული, ინტერნეტშიც დაიწყოს ძრომიალი.

ცენტრალურ ჩინეთში მცხოვრები ადამიანები კი, მერნმუნეთ, სულ სხვა ყოფაში არიან, ხოლო მუდამ იმ თემაზე აქცენტის გაკეთება, რომ თურმე ზოგიერთმა ამერიკელმა და დასავლეთევროპელმა ხშირ შემთხვევაში ისიც კი არ იცის, ვინ არის საკუთარი ქალაქის დასუფთავების სამსახურის უფროსი ან ქვეყნის სოფლის მეურნეობის, სპორტის, ჯანდაცვის ან თუნდაც ენერჯეტიკის მინისტრი, სულაც არ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ხალხი საკუთარ საქმეში არაპროფესიონალი და ცივილიზაციას მონყვეტილია. ისინი სწავლობენ იმ საგანს და ცნობისმოყვარენი არიან მხოლოდ იმ სფეროში, რაც მათ სჭირდებათ და აინტერესებთ, სხვა მხრივ კი სულაც არ თვლიან საჭიროდ (და სრულიად სამართლიანადაც), თავი გადაიტვირთონ იმ სფეროზე ფიქრით, რაც მათ ყოველდღიურ ყოფაში არ გამოადგებათ და, ბუნებრივია, არც არასდროს დასჭირდებათ.

თანამედროვე, ცივილიზებული ადამიანების საქმისადმი პრინციპული მიდგომა საკმაოდ მარტივი და პრაგმატულია – უმჯობესია, ერკვეოდე მხოლოდ ერთ საგანში, მაგრამ ერკვეოდე საუცხოოდ, ვიდრე მოედო ათ საგანს, მაგრამ სინამდვილეში ერთიც არ იცოდე პროფესიონალურად.

ეს არის საქმისადმი ის სერიოზული მიდგომა, რომლის გარშემოც უნდა აიგოს ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფო და არა ის, კომუნისტების პერიოდგამოვლილი ზოგიერთი ცრემლმომდგარი ცრუ რომანტიკოსი რომ ამბობს – საბჭოთა მოქალაქეს ზოგადი განათლება ყველა საგანში ჰქონდა, იმათმა ანუ ამერიკელებმა კი მხოლოდ ერთი საგანი იციან და ამიტომ გამოიყურებიან ასე უსუსურადო.

საბჭოთა მოქალაქე თუ ასეთი განათლებული იყო, ერთ მშვენიერ დღესაც მინასთან რატომ გასწორდა და დაინგრა მთელი საბჭოეთი? რატომ ვერ უშველეს ყველა საგანში ზოგადგანათლებამიღებულმა საბჭოთა სიამაყეებმა საკუთარ პარტიასა და სამშობლოს?

ვერ უშველიდნენ, რადგან საძირკველშივე უხარისხოდ ფუნდამენტჩაყრილ ქვეყანას, რომელიც ზემოხსენებული პარტიის ამაყი შვილების მიერ იყო ნაცოდვილარი, ზოგადი განათლების მქონე ადამიანებზე მეტად, კონკრეტული საქმის მცოდნე პროფესიონალების ხელი უფრო სჭირდებოდა.

ყოველივე ეს რომ აქსიომაა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ განვითარების კუთხით დღეს უკვე ძალზე შორს არის წასული, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, ისე ცივილიზებული დასავლეთ ევროპა, ხოლო ყველა საგანში ადამიანების ზოგად ცოდნაზე აგებული საბჭოთა იმპერია დედამიწის რომელ ქვესკნელშია საუკუნოდ ჩამარხული, კაცმა არ იცის! ამას, ალბათ, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი კარგად ხედავს და ხვდება.

ახლა კი უმჯობესია ისევე ჩინეთს დაუფბრუნდეთ, თორემ სიტყვა გაგვექცა.

ჩინელი მუშის ან ნებისმიერი მოსამსახურის ერთი თვის გამო-მუშავება შეიძლება იყოს 200 ან 300 დოლარის ეკვივალენტი ადგილობრივ იუანზე. და ეს ხდება იმ ქვეყანაში, რომლის პროდუქციასაც მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში შეხვდებით. მაშ, რა გამოდის? ქვეყანა აწარმოებს უამრავ საქონელს და ასეთი წარწერის იარლიყიც - **made in china**, თვალში სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება, მაგრამ, ამავე დროს, ხომ არ იქცა ჩინეთი ძალიან იაფი მუშახელის ქვეყნად? ალბათ, ასეცაა, რადგან თვეში 200 ან 300 დოლარად, როგორი ფანტაზიორიც არ უნდა იყოს, ამერიკელ ან დასავლეთევროპელ მუშებს ვერაფრით მოთაფლავთ. ჩინეთში კი სხვა რა გზა დარჩენიათ და სულ არაფერს, ისევე ამ მცირე შემოსავლით თავის დაკმაყოფილება ურჩევნიათ.

არც ისე მაღალი ცხოვრების დონე, ზოგიერთ რეგიონში აუტანელი სიღარიბე და შუა საუკუნეების მსგავსი უნიგნურობა, ალარაფერს ვამბობ ევროპული ტიპის თავისუფალი, დემოკრატიული ინსტიტუტების არარსებობაზე — სწორედ ეს არის დღევანდელი, რეალური ჩინეთის სახე და არა ის, რასაც ზოგიერთი საღ აზროვნებას მოკლებული ფანტაზიორი გვიხატავს.

მაშ, ეს ის ჩინეთია, რომელსაც მსოფლიოს ეკონომიკური ჰეგემო-

ნია განუზრახავს? – მე რაღაც ეჭვი მეპარება.

ესეც ცნობილი ფაქტია, რომ ამერიკელი და დასავლეთევროპელი საქმოსნები თავიანთი სანარმოების ფილიალებს ძირითადად მაინც აზიურ ქვეყნებში და უფრო ხშირ შემთხვევაში ჩინეთში ხსნიან. მათი ეს ნაბიჯი აზიური კლიმატის რაღაც არანორმალური სიყვარულით კი არ აიხსნება, არამედ ეს რეგიონი მხოლოდ ძალიან იაფი მუშახელისა და შესაბამისად, ნაკლები ხარჯების მხრივია მისაღები.

ამიტომაც ვამბობ, რომ ჩინეთის ელიტურ და წარმატებულ სახელმწიფოდ გადაქცევის პერსპექტივებს ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ.

შეიძლება, ნებისმიერ საქონელზე ამოვიკითხოთ წარწერა-**made in china**, შეიძლება, ყველა ჩვენგანის ოჯახში იდგეს ჩინური ტელეფონის აპარატი ან ჩინური ტელევიზორი, შეიძლება, ნებისმიერს უყიდა თავისი შვილისთვის ჩინური თოჯინა, შეიძლება, ნებისმიერი ჩვენგანი მოიხიბლოს ჩინური ფაიფურით, მაგრამ მხოლოდ ეს ამ ქვეყნის წარმატებად არ ჩაითვლება, ვიდრე ჩინეთის რომელიმე პროვინციაში ან მიგდებულ სოფელში იქნება თუნდაც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი ანუ ცივილიზაციას მოწყვეტილი პიროვნება. ამასთან ერთად, ჩინეთი მანამდე არ ჩაითვლება ნორმალური ადამიანისთვის მისაბამ სახელმწიფოდ, სანამ ის თუნდაც ერთი ბიზნესმენისთვის იაფი მუშახელის უშრეტი „საბადოა“.

რა თქმა უნდა, ეს ცხოვრება ბრძოლაა, რომელიც ჯანსაღი კონკურენციიდან უნდა მოდიოდეს, ამიტომაც ყველამ თავისი ადგილი უნდა იპოვოს ამ პლანეტაზე. გასაგებია, რომ ყველა ვერ იქნება მეცნიერი და მწიგნობარი. ზოგი გონებრივი, ზოგი კი ფიზიკური შრომით ირჩენს თავს, მაგრამ დაფასება და შემოსავალი ყველა ადამიანს ისეთი უნდა ჰქონდეს, რომ მათ ღირსეული ქვეყნის ღირსეულ შვილებად იგრძნონ თავი, მიუხედავად ეროვნებისა, სქესისა და რელიგიური მრწამსისა.

ახლა ეს ვიკითხოთ – რა უფრო მნიშვნელოვანია ერთი ჩვეულებრივი ჩინელისთვის?

- ის, რომ ამ ქვეყნის პროდუქციამ კიდევ უფრო დაიპყროს მსოფლიოს ბაზრის დახლები თუ ის, რომ მათი კუთვნილი შემოსავალი ამ დანყვევლილ 200 ან 300 დოლარიან ზღვარს ასცდეს და თავი უფრო დაფასებულ ადამიანებად იგრძნონ?

მე ვფიქრობ, რომ ყველა ნორმალური ჩინელი არჩევანს უფრო იმაზე გააკეთებდა, სადაც შრომა და ღირსეული დაფასება ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ხოლო მე, მაინც, სასაცილოდაც არ მყოფნის იმ ქვეყნის ვითომც წარმატებულ მომავალზე საუბრები, სადაც რაოდენობა ხარისხზე უმთავრესია.

აქაც რა ნაცნობი სურათია, არა?!

განა ჩვენებური კომუნისტების შინაურული დევიზიც ასეთი არ იყო?

- მთავარია რაოდენობა და არა ხარისხი!

ოღონდ ამას ჩუმად, ვინრო წრეში ამბობდნენ. აი, მათი სახალხო ლოზუნგი კი – დავენიოთ და გაფუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს! — ისეთ შორეულ მოგონებად დარჩა, როგორც ყველა ჩვენ-განის გულუბრყვილო და მიამიტი ბავშვობა.

## თავი XIII

### როცა თბილისში გვექნება . . .

კარგად მახსოვს ჩემი სიყმაწვილის პერიოდი, ის დრო, როდესაც საქართველო საბჭოთა მარნუხებიდან თავის დახსნასა და დამოუკიდებლად მსოფლიოს თანამეგობრობის ორბიტაზე გაჭრას იწყებდა. ამას მოჰყვა ურთულესი წლები: სამაჩაბლოსა და აფხაზეთში დაწყებული საომარი მოქმედებები, ასევე თბილისის ძმათამკვლელი სისხლიანი დაპირისპირება, სახელმწიფო გადატრიალება, ტყვეების ზუზუნი, გადამწვარი სახლებიდან ამოსული შავი კვამლი, გაჭირვება, შიმშილი, სიბნელე, სიცივე, ქვეყანაში იარაღიანთა და უიარაღოთა უთავბოლო ხეტიალი. ერთი სიტყვით – ქაოსი, სწორედ ეს იყო მაშინდელი ჩვენი ყოფის რეალური სახე.

ამ ყველაფერს, ბუნებრივია, რომ რაღაც შავი ძალა მართავდა, რომელიც ქვეყანაში გამეფებული სრული წყვედიადით უდიდეს სარგებელს ნახულობდა. აქედან გამომდინარე, უფრო გამართლებული იქნება, იმ პერიოდს სტაბილური დესტაბილიზაცია ვუწოდოთ.

ჩვენ იმ დროში სამართლებრივად დამოუკიდებლები კი ვიყავით, მაგრამ, სამწუხაროდ, ოთხმოცდაათიანი წლების ის საქართველო კომუნისტურ ეპოქიდან თითქოს გამოსული, მაგრამ გონებით ისევ იქ ჩარჩენილი, რაღაც სამარცხვინოდ განუვითარებელი და არშემდგარი გადმონაშთი იყო.

მე კი ჩაციკლულივით მუდამ ამას ვიმეორებდი. - როცა თბილისში გვექნება ბანანი და მანგო, აი, მაშინ ვიტყვი, რომ ჩვენ ვიწყებთ ძველი, თავმოებურებული, საბჭოური ცხოვრებისგან სამუდამოდ გაყრას და უკვე რაღაც ახლის შექმნისკენ ვისწრაფვით.

ისე არ გამიგოთ, თითქოს ბანანითა და მანგოს წვენით კუჭის ამოყორვა ოდესმე ჩემი ცხოვრების იდეაფიქსი ყოფილიყოს. არავითარ შემთხვევაში! ახლაც, შეიძლება ხუთი წელი ისე გავიდეს, რომ ზემოხსენებული ხილი ერთხელაც არ გამახსენდეს. უბრალოდ, აქ ვგულისხმობდი იმ თავისუფალ ვაჭრობასა და არჩევანს, რომელსაც საბჭოეთის ნებისმიერ რესპუბლიკაში კაპიტალისტურ საფრთხედ აღიქვამდნენ.

მე ვთვლიდი, რომ თუ თბილისის ბაზარზე გაჩნდებოდა ბანანი, მანგო, ანანასი, ქოქოსის კაკალი და კიდევ სხვა ტროპიკული ხილი, ეს ნიშანი იქნებოდა რკინის მძიმე ფარდის ნაწილობრივ ჩამონგრევისა, რის შემდეგაც, უკვე თამამად შეგვეძლო გვეთქვა, რომ ჰორიზონტზე მბჟუტავი ობიექტით გამოჩნდა რალაც ახალი ქვეყნის მსგავსი, რომელსაც თავისუფალი და, რაც მთავარია, სტაბილური საქართველო ჰქვია.

\* \* \*

არასოდეს დამავინყდება 1985 წელი, - ჯერ კიდევ საბჭოეთის ერთ-ერთი უკანასკნელი ამოსუნთქვა, მაგრამ, მაინც კომუნისტური ეპოქა. ამ წლის ცხელი აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისის ჩვეულებრივ დღეებში, საბჭოთა კავშირი მსოფლიოს 20-წლამდელთა საფეხბურთო ჩემპიონატს მასპინძლობდა. მაშინ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვახლდით, მაგრამ ჩემთვის ეს ჩემპიონატი უკვე სულ სხვა თვალთ დანახულ სამყაროს დასაწყისად იქცა.

იმის გამო, რომ მე ზოგიერთ საკითხში არ ვიყავი მშობლების დამჯერი ბიჭი, ბევრისთვის მიუღებელი იყო ჩემი ბავშვური ცნობის-მოყვარეობა. თუმცა, კარგად რომ ვუფიქრდები, ეს უფრო პროტესტი იყო იმ წყობისა და სიტუაციისა, რომელმაც, ისევე როგორც მილიონობით ადამიანს, მეც და ბევრ ჩემს თანატოლსაც, მომავალი და თავისუფალი ქვეყნის შვილობა წაგვართვა.

დამიჯერეთ, ქართული გუნდების გარდა, არასდროს არ მყოლია საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო კერპები. არც უზომოდ მიცია ვინმესთვის თაყვანი, არავის ფეხქვეშ არ გავგორებია და არავის ნაკვალევზე არ მივლია. ერთადერთი, რაც გამიკეთებია, იყო ის, რომ იმ შორეულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, ბრაზილიის თამაში იქნებოდა თუ ირლანდიის, ჩემი უმთავრესი მიზანი, ამ ჩემპიონატში თბილისის ქვეჯგუფის გუნდების დისლოკაციის ადგილი, სასტუმრო „ივერია“ ვახლდათ. ყოველი მატჩის შემდეგ მე და ჩემი მეგობრები, იმ დროის პატარა პროტესტანტები, გეფიცებით ადამიანობას, გავრბოდით სასტუმრო „ივერიის“ შესასვლელთან, რათა თუნდაც ნუთი-ერად, მაგრამ, მაინც დავმტკბარიყავით თავისუფლების სურნელით. ამ სასტუმროში მცხოვრებ საფეხბურთო გუნდებში ჩვენ იმ მომავალ საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს ვხედავდით, რომლის ხმამაღლა წარმოთქმა და გააზრებაც კი იქვე სოკოებივით მიმოფანტულ საბჭოთა უშიშროების სამსახურის თანამშრომლებთან საქმის დაჭერას ნიშნავდა.

ჩვენ, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები, ვალდებულნი ვიყავით,

გულში ჩაგვეკლა პროტესტის გრძნობა იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რომელმაც უდარდელი ბავშვობა და შემდგომ უკვე სიყმაწვილის სანყისი ეტაპიც უნამუსოდ წაგვართვა.

ერთი შეხედვით, მე და ჩემს მეგობრებს, თითქოს არ გვავინტერესებდა პოლიტიკა, მაგრამ ბავშვური ცნობისმოყვარეობა ძალიან ბევრ კითხვას ბადებდა ჩვენში.

მაგალითად, თუ დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს შემადგენელ ნაწილს: შოტლანდიას, ჩრდილოეთ ირლანდიასა და უელსს ჰყავდათ ცალკე საფეხბურთო ნაკრებები, რატომ არ შეიძლებოდა, რომ იგივე სახის ნაკრები საქართველოსაც ჰყოლოდა?

საფეხბურთო მატჩების დროს თუ უცხოელი გულშემატკივრების მიერ შევსებული ტრიბუნები ხალასი ფერებით, ღიმილითა და სიცოცხლით სავსედ გამოიყურებოდა, ჩვენი გულშემატკივრის ტრიბუნები, რატომ იყო ერთფეროვნად უღიმღამო და რატომ სჭარბობდა იქ ძირითადად მაინც შავი ანუ მუქი ფერები?

თუ უცხოელ სტუმრებს თავიანთი ოჯახებიანად თავისუფლად შეეძლოთ საყვარელი გუნდის საქომაგოდ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მოგზაურობა და, მათ შორის, საბჭოთა საქართველოში ჩამოსვლაც კი, რატომ არ შეეძლოთ იგივეს გაკეთება ჩვენს მართლაც ალალი და პატიოსანი შრომით ქანცვანყვეტილ და ნაადრევად დაბერებულ მშობლებს?

თუ სტუმარი ფეხბურთელები და მათი ქომაგები სვამდნენ ლითონის ყუთებში ჩამოსხმულ, წითელ გამაგრილებელ სასმელს, სახელად კოკა-კოლას, რატომ არ შეიძლებოდა, რომ იგივე პროდუქტი ჩვენს გასტრონომებშიც შეგვეძინა და დაგველია?

სამწუხაროდ, ვხვდებოდით, რომ ბევრი რამ, რაც ჩვენ არ შეგვეძლო, დროის უკუღმართობის სამარცხვინო ნიმუში უფრო გახლდათ, ვიდრე რაიმე კანონზომიერების შედეგი.

მეტი აღარ გვინდა, თორემ, შეიძლება, მთელი ეს წიგნი ბავშვურად გულუბრყვილო, მაგრამ სიმართლესთან ახლოს მდგომმა შეკითხვებმა წაიღოს.

\* \* \*

დრო იცვლება ანუ წინ მიდის, კაცობრიობა უარს ამბობს ძველ, ხავსმოდებულ ხედვაზე და ახლებურ, უფრო ჯანსაღ ცხოვრებას იწყებს. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი კატეგორიის ადამიანები, რომლებმაც ახალი ცხოვრებისა და გამონვევების მიერ მოტანილ სიახლეებს ფეხი ვერ აუწყვეს და მაინცდამაინც სურვილიც არ ემჩნევათ იმისა, რომ ცივილიზებული სამყაროს შემადგენელ ნაწილად იქცნენ.

ძველი დროის გასტრონომები მათთვის მისაღები იყო, დღევანდელი სუპერმარკეტები კი ამ კატეგორიისთვის გულყრის ობიექტი გამხდარა.

უძრავობის დროინდელი რუსული წარწერები ამ ხალხისთვის, ლამის მშობლიურვით იკითხებოდა, დღევანდელი ინგლისურენოვანი, თანამედროვე რეკლამები კი მათ თვალს უზნელებს.

ადრე ამ გზასაცდენილ საზოგადოებას არავითარი რეაქცია არ ჰქონდა მზესუმზირას „სემიჩკას“, პიჯაკს „კოსტიუმს“, ფეხსაცმელს „ტუფლს“, მდოგვს „გარჩიცას“, ძეხვს „კალბასს“, ნაყინს „მაროჟნს“, შაქარს „პესოკს“, ღვეზელს „პერაშკას“, იატაკს „პოლს“, სახურავს „კრიშას“, სარდაფს „პოდვალს“, დერეფანს „კორიდორს“, სანოლს „კრავოტს“, მძღოლს „შოფერს“, საბურავს „პაკრიშკას“, საცობს „პრობკას“, კოლოფს „პაჩკას“, ტომარას „მემოკს“, ონკანს „კრანს“, აბაზანას „ვანას“, ლუდს „პივას“, შადრევანს „ფანტანს“, სამზარეულოს „კუხნას“, საფერფლეს „პეპელნიცას“, ასანთს „სპიჩკას“, სანთებელას „ზაჟიგალკას“, გამზირს „პროსპექტს“ და კიდევ უამრავ ქართულ სიტყვას დამახინჯებული ფორმით, რუსულად რომ ეძახდნენ, დღეს კი ბატიბუტის ნაცვლად ვინმემ „პოპკორნი“ თუ თქვა, მტრისას, ამაში უკვე ევროამერიკულ საფრთხეს ხედავენ.

კომუნისტური ეპოქის დროინდელ საქართველოში აშკარად გასაძღვრად ჩამოსულ უმადურ რუსებს, ესენი თავიანთი ნაცოდვილარი რუსულით ამაყად ეჭუჭყუებოდნენ, ლამის ძმობას ეფიცებოდნენ და სამარცხვინოდ ფეხქვეშ უგორდებოდნენ, დღეს კი ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ ინგლისურად მოლაპარაკე უცხოელ სტუმრებს ენით აუნერვლი ზიზლით, ზემოდან უყურებენ.

ალბათ, ისიც კარგად გახსოვთ, რომ საბჭოთა მოქალაქეს ადიდასი არ სჭირდებოდა, რადგან თუნდაც თბილისში ტრიკოტაჟის ფაბრიკის მიერ წარმოებული და შემდეგ ათასჯერ ჩამონერილი და გაუსაღებელი სპორტული ნაწარმიც თავზესაყრელი გვექონდა.

რაც შეეხება გამაგრილებელ სასმელს - კოკა-კოლას, მისი საბჭოთა სივრცეში საბჭოთა მოქალაქისთვის შემოტანა ხომ, ლამის კონტრაბანდის შემოტანის ტოლფასად ითვლებოდა.

ბურჟუაზიული სასმელი! — ასე ეძახდნენ კომუნისტები კოკა-კოლას. ამ სასმელის დაღვევა აქ არ შეიძლებოდა, რადგან ჩვენ გვექონდა ათასი ძალღობითა და მამაძალღობით ჩამოსხმული საბჭოური ლიმონათები.

კონკურენციას კი საბჭოეთში არაფერი ესაქმებოდა.

გასტრონომების ვიტრინებზე უკონკურენციოდ ეწყო ძირითადად მხოლოდ საბჭოთა და იშვიათად სოც-ქვეყნების მიერ წარმოებული უხარისხო პროდუქტი, რომელიც, გინდოდა თუ არა, უნდა გეყიდა, რადგან სხვას არც განახებდნენ და ფართო ქსელშიც არ შემოდიოდა.

ისე, პაპანაქება სიცხეში სხვა გზა რომ არ გექნებოდა, საბჭოელების კი არა, სრულიად უცნობ, ჰუმანოიდების მიერ მოწოდებულ სასმელსაც კი დაღევდა კაცი, მაგრამ ეს იქნებოდა არა გულის კარნახით მიღებული თავისუფალი გადაწყვეტილება, არამედ იძულებით გადადგმული ნაბიჯი.

ყოფილიყო ნორმალური არჩევანი და რას დაღევდა ადამიანი, ეს მხოლოდ მისი გადასაწყვეტი იქნებოდა და არა ცენტრალურ კომიტეტში შებუდებული როგორც ბებრუხუნა, ისე ახალგაზრდა კარიერისტი ჩინოვნიკებისა.

იმ ქვეყანაში, უინტერესოსთან ერთად, საინტერესოც ძალიან ბევრი რამ იყო.

მაგალითად, საინტერესოა, ვის რა უფლება ჰქონდა, პიროვნებისთვის რაიმეს დაღევა აეკრძალა, მხოლოდ იმ გულუბრყვილო მოტივით, რომ კონკრეტული სასმელი პოლიტიკურად განსხვავებული ქვეყნის მიერ იყო დამზადებული?!

გადაგვარებულ საბჭოეთში ეს ხდებოდა და, იყო თუ არა ყოველივე ტოტალიტარული რეჟიმის გამოვლენის უმაღლესი ნიშნი?!

რა თქმა უნდა, იყო და აქ ორი აზრი არ არსებობს.

კარგად დააკვირდით და მიხვდებით, რომ ვისაც დღეს „მაკდონალდსში“ თვალები უჭრელდება და სული ეხუთება, მას ჯერ კიდევ იმდროინდელი მუშურ-გლეხური სასადილოები და ეგრეთწოდებული „ზაბეგალოვკები“ ესიზმრება.

ახლა, „მაკდონალდსებზე“ არც მე ამომდის რალაც არნახული მზე და მთვარე, რადგან ისევ ჩვენებური სახინკლე-სამწვადეები მირჩევნია, მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ, არც „მაკდონალდსი“ მიშლის რამეში ხელს. იყოს, ბატონო, იყოს! მრავალფეროვნებისთვის ესეც კარგია და, საერთოდ, საკუთარი, ძალიან დიდი მუშტარი ამ ორიგინალურ კვების ობიექტსაც ჰყავს.

ისე, „მაკდონალდსის“ ხშირი სტუმრები მაინც ახალგაზრდა წყვილები, სკოლის მოსწავლეები ან ისეთი ოჯახები არიან, ვისაც ბავშვები ჰყავთ. განსაკუთრებით კომფორტულად კი აქ პატარები გრძნობენ თავს და ეს ბუნებრივიც არის, რადგან ნაყინზე, ტკბილეულზე და ათასგვარ გართობაზე თვალებდაჭყეტილი ბავშვებისთვის სწორედ „მაკდონალდსის“ მრავალფეროვანი მომსახურება ჰქმნის იმ საოცარ ზღაპრულ სამყაროს, რომელიც მათ დიდი ხნის მანძილზე ამახსოვრდებათ.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ იმ ძველ დროს და ვალიაოთ - უბედურება ის კი არ იყო მხოლოდ, რომ საბჭოთა მოქალაქე ერთ დიდ რკინის გალიაში ანუ ციხეში ცხოვრობდა, არამედ ის, რომ ამ ციხეში მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეთა უმეტესობას ისე ჰქონდათ ტვინის უჯრედები კოდირებული, ეს ერთი დიდი საკანი სამოთხედ ეჩვენებოდათ.



ვიცით, რომ მრავალგზის დაშინებული, წნეხში გატარებული და დაბოლილი საბჭოთა მოქალაქე ხმას ვერ ამოიღებდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი სხვა რამ გახლდათ, კერძოდ, იმ დროისთვის რა აუცილებლობის წინაშეც დადგა მთელი პროგრესულად მოაზროვნე მსოფლიო.

აუცილებლობა კი ასეთი იყო; ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის დამყარებისა და კაცობრიობის გაჯანსაღების მიზნით საჭირო გახდა დასნეულებული ნაწილის განკურნება და ამიტომაც ამ პროცესს მოუნახეს პოლიტიკური ტერმინი – „გარდაქმნა“.

დიახ, ამ სნეული ნაწილისა და მთლიანად საზოგადოების განკურნება ერთი ხელის მოსმით რომ არ მოხდებოდა, ეს წინდანი უკვე ცნობილი ფაქტი იყო. ამიტომაც, ჯერ გარდაქმნა ანუ ძირეული ცვლილებებისთვის მასების შემზადება, სამედიცინო ენაზე რომ ვთქვათ, ანესთეზია იყო საჭირო, ხოლო ყოველივე ამას შემდგომში უკვე იმ წყობის უმტკივნეულოდ ჩამონგრევა, რასაც, ისევ სამედიცინო ტერმინი რომ მოვიშველიოთ, ხორცმეტების ამოძირკვა ანუ გაქრობა უნდა მოჰყოლოდა. სწორედ ასეც მოხდა და, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ხანგრძლივი პროცესია, რასაც მხოლოდ რამდენიმე წელი კი არა და შეიძლება რამდენიმე ათეული წლებიც კი დასჭირდეს.

ჩვენ ამჟამად სწორედ იმ რთულ და კრიზისულ პერიოდში ვიმყოფებით, სადაც, მინდა ვიფიქრო, რომ ამ ურთულესი ოპერაციის დასკვნითი ეტაპი მიმდინარეობს.

ყველაზე დიდი და მსუნაგი გველეშაპი, რომელსაც სახელად საბჭოთა კავშირი ერქვა აღარ არის, მაგრამ შექმნილი ვითარება თავის სრულად დამშვიდების საშუალებას ჯერჯერობით არ გვაძლევს. არ გვაძლევს იმიტომ, რომ, როგორც ხედავთ, მარქსიზმ-ლენინიზმის შხამნარევი შარბათი იმდენად ძლიერმომქმედი ყოფილა, რომ ამით დასნეულებულნი დროდადრო კიდევ ნამოყოფენ ხოლმე საკუთარ, უკვე ტვინამომშრალ თავებს. მაგრამ იქ, სადაც ჯანსაღი აზროვნება უფრო მეტია, მათ დიდი მომავალი არ უნერიათ, რადგან საბოლოოდ ჩვენ მაინც მოვსპობთ ამ სამარცხვინოდ შემორჩენილ წითელ გადმონაშთსაც. ჩვენ გავსრესთ სხეულისთვის მომაკვდინებელ ამ პარაზიტებს, რათა მათ მთელი ორგანიზმი არ დაგვიავადმყოფონ და არ გადაგვიგვარონ ისე, რომ შემდეგ მედიცინაც უძლური არ აღმოჩნდეს ამ წითელი ავადმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ზემოთ კოკა-კოლა, ადიდასი, მაკდონალდსი, სუპერმარკეტები ვახსენე და ახლა ისევ ამ თემას მინდა მივუბრუნდე.

როდესაც პარტიული, წითელი ელიტა დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში ვითომ საქმიანი ვიზიტით, სინამდვილეში კი დროის სატარებლად დაწანწალებდა, ისინი, თვალეზმინაბულნი კოკა-კოლასაც კარგად წრუპავდნენ, „მაკდონალდსის“ ნებისმიერი სახის პროდუქტ-

საც მშვენივრად აგემოვნებდნენ, ადიდასის ნანარმშიც მადლიანად ტენიდნენ თავიანთ მძორადქცეულ სხეულს, ევროპულ კაფე-ბარებშიც პულსის დაკარგვამდე კარგად ტყვრებოდნენ და არც რაიმე სხვა ამქვეყნიურ სიამოვნებას იკლებდნენ. თუმცა, ეს ყველაფერი ხდებოდა იქით, რკინის ფარდის მიღმა, სადაც ვერც გაუბედურებულ-დაბოლილი, აქ ჩარჩენილი მუშათა კლასის თვალთახედვა სწვდებოდა და არც ცენტრალური ხელისუფლების დანარჩენი ჩინოვნიკებისთვის იყო რაიმე უცხო და მიუღებელი, რადგან ხვალ-ზეგ მათი საზღვარგარეთული ვოიაჟების რიგიც მოუწევდა და, რადგან ისინიც ჩვეულებრივი მოკვდავები იყვნენ, ბუნებრივია, ამქვეყნიურ სიამოვნებაზე არც ეს ხალხი იტყოდა უარს და ამჯერად უკვე სხვა პარტიულ ჩინოვნიკებს მოუწევდათ ფართოდ დაჭყეტილი, ფხიზელი თვალის დახუჭვა.

გახსოვთ ალბათ, საბჭოეთის დროინდელ საშუალო სკოლებში უმაღლესი შეფასება იყო ხუთიანი ანუ ფრიადი. და რადგანაც, ცეკა-ტეკას მაღალჩინოსნები სანიმუშო ფრიადოსნები და ჩვეულებრივი, მოკვდავი ადამიანები იყვნენ, ამიტომ მათ ჰქონდათ სრული უფლება, არ მოეკლოთ ამქვეყნიური არც ერთი სიამოვნება და, წითელი სამშობლოს კიდეც უფრო განითლებასთან ერთად, საკუთარი კეთილდღეობისთვისაც ეზრუნათ.

უკვდავი კი მხოლოდ პროლეტარიატი გახლდათ, ის გასაცოდავებულ-დაბეჩავებული მუშათა კლასი, რომელიც მუდამ იმ ორშაბათის დადგომის მოლოდინში იყო, როცა ცრუ კომუნიზმისა და თანასწორობის ის დიდი დილა უნდა გათენებულიყო, რომლის დადგომისაც, სიმართლე რომ ვთქვათ, თავად მამალ კომუნისტებსაც კი ისე სჯეროდათ, როგორც ურიას — ქრისტეს აღდგომისა.

იმ დროს, როდესაც ზემოდან, ოლონდ პარტიულ-წითელხალიჩებიანი კაბინეტებიდან გადანყვეტილი ამბავი იყო, რომ ამქვეყნად ერთადერთი რამ, მხოლოდ მუშათა კლასია უკვდავი და მარადიული, წუთისოფლის სტუმრებს ანუ მოკვდავ პარტიულ ელიტას, აბა, ვინ ოხერი რა სინდის-ნამუსით შეუშლიდა ხელს, ამქვეყნიური სიამით დამტკბარიყვნენ?!

არც არავინ და ვერც ვერავინ გაბედავდა ბუზის აფრენას.

მაშ, როგორ გინდა, ძმაო, შენ მარადიული ხარ. ჯერ ერთი, პროლეტარიატი სულ იქნება, მანამ, სანამ კაცობრიობა იარსებებს და მეორეც, საბჭოთა მუშა ყოველთვის მუშად დარჩება. ის არც პროფესიას გამოიცვლის და არც ამ შავ საქმიანობას წაართმევს ვინმე.

ამაზე იტყვიან - გიხაროდეს, მუშავ, წამებულო!

აი, პარტიული ჩინოვნიკობა კი, ხომ იცით, წუთისოფლის სტუმართა კასტასავით იყო, თანაც, ეს ოხერი ხელმძღვანელი თანამდებობაც, ალბათ, გაგიგიათ, რას ნიშნავდა. დღეს რომ კაცი ვარსკვლავებს ეთამაშებოდა და წითელ საქმეებს ჩასჭიდებოდა, ხვალ, არ იყო გამორიცხ-

ული, უკვე ისე შავად წასვლოდა საქმე, ევროპის გარშემო გრიალი კი არა, ციმბირის ნესტიან ნარებზე შეიძლება ამოხდომოდა სული.

ამიტომაც ნითელი პარტიის დროებით მოვლენილ, უძღვებ შვილებს გაფრთხილება სჭირდებოდათ, რადგან მათ კარგად იცოდნენ იმ ხანმოკლე და საამური ცხოვრების ფასი, რომელიც პროლეტარიატს არ უნახავს და, რაც არ უნახავს, არც იმისი ფასი ეცოდინებოდა. და თუ არ ეცოდინებოდა, ბუნებრივია, არც მოენატრებოდა. და თუ არ მოენატრებოდა, არც ვინმეს შეაწუხებდა რაიმეს მოთხოვნით და იქნებოდა ასე გაციებული და გაყურებულ-დადუმებული, ვითარცა მყინვარწვერი.

აქედან გამომდინარე, სწორედ კომუნისტურ-პროლეტარულ ცხოვრებაზე იყო ზედგამოჭრილი ეს გამონათქვამი – მიუჩვეველს ნუ მიჩვევ და მიჩვეულს ნუ გადააჩვევო, ხოლო იმ დაწყვეტილ დროში ვინ რას იყო მიჩვეული და ვინ — მიუჩვეველი, ეს ყველა ჩვენგანმა ისედაც მშვენივრად იცის.

## თავი XIV

### მოჯადოებული სამკუთხედი

დასაწყისში უკვე მოგახსენეთ, რომ საქართველოს ჰყავს დახავსებული ცნობიერებაში შემორჩენილი სამადსამი მტერი: პრორუსული, პროკომუნისტური და ქურდული მენტალიტეტი. დღევანდელი რეალური საქართველოს განვლილ გზას დაკვირვებული თვალით რომ გადახედოთ, უეჭველად დარწმუნდებით ყოველივე ზემოთქმულის ჭეშმარიტებაში, რადგან, თუ ჩვენს ქვეყანას წარსულში რაიმე სახის საფრთხე ემუქრებოდა და დღესაც ემუქრება, ეს სწორედ ამ მოჯადოებული ანუ ლამის ბერმუდის სამკუთხედადქცეული სამეულის დამსახურებაა, რომლის შუაში მოხვედრაც განადგურებისა და გაქრობის ტოლფასია.

ვისაც კომუნისტური ცხოვრება ესიზმრება, ის რუსულ ჰანგებზე ამოზრდილი ხორცმეცია, ხოლო იქ, სადაც რუსეთი და რუსული მენტალიტეტი, ქურდულ სამყაროსაც დიდი დაფასება და პატივისცემა აქვს, რადგან, როგორც ყველა გზა რომში მიდის, ისე ყველა ქურდული მენტალიტეტის წარმომადგენლის ბოლო წერტილი, მაინც რუსეთი და მისი დედაქალაქი მოსკოვია. ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც საქართველოდან გაქცეული ქართველი კრიმინალური ავტორიტეტები, რომელთა უმეტესობაც დღეს სწორედ რუსეთის კალთას ამოჰფარებია და ნეტარი ცხოვრებით ტკბება, ხოლო თავად კანონიერი ქურდების სამყარო რომ კომუნისტების მიერ არის შექმნილი და დაფრთიანებუ-

ლი, ამას ნებისმიერი ჯილა კომუნისტიც დაგიმტკიცებთ, თანაც ისეთი სიამაყით დაგისაბუთებთ და მოგიყვანთ მაგალითებს, თითქოს ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან და აუცილებელ დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების პირველ ნაბიჯებს იხსენებდეს.

მამ, სამეული ამოცნობილია და ქვეყნისთვის დანყველილი ბერძუნის სამკუთხედის მსგავსიც აღმოჩენილია. დანარჩენი უკვე მარტივზე მარტივია – ვიცით, სად არის საუკუნის საფრთხე და ჩვენც ერთადერთი გამოსავალი დაგვრჩენია – გავანადგუროთ ეს საფრთხე, რათა ქვეყანა ვიხსნათ ნგრევისა და შემდგომ სამუდამოდ გაქრობისაგან.

ჩვენ სასწრაფოდ უნდა მოვიცილოთ ყველა ის მავნე გადმონაშთი, რომელიც ალესილი ნაჯახივით გვანება კისერზე. თუ ქართველები თითოეულ იმ პრობლემას, რაც ამ წიგნშია ნახსენები სათანადოდ და სალი გონებით მივუდგებით, მაშინ ქვეყანა სწორი განვითარებისკენ მიმავალ გზას დაადგება. ამისთვის კი ერთი ამოსუნთქვით, დამაგვირგვინებელი მოქმედებაა საჭირო, რომელიც ჩვენს შინაურ თუ გარეულ მტერს სიცოცხლის ხალისს მოუსპობს. ყველამ უნდა გაიგოს, მტერმაც და მოყვარემაც, რომ ქართველები ვითხოვთ ყველაფერ იმას, რაც ჩვენია და არაფერს ისეთს, რაც არ გვეკუთვნის. აუცილებელია, საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული და დროული თანადგომით საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოს ქვეყნისთვის ხორცმეტადქცეულ იმ ზემოხსენებულ სასიკვდილო სამეულს, რომელზეც უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ. ჩვენმა სახელმწიფომ სწორედ ცივილიზებული სამყაროს დახმარებით უნდა აღიდგინოს ის, რაც თავის დროზე წაართვეს და დააკარგვინეს, – ტერიტორიებიდან დანყებული, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის ელემენტარული, ჯანსაღი აზროვნებით დამთავრებული. ამიტომაც, დაუფარავად ვამბობ, რომ ამ ყველაფერს, ყოველგვარი ვაჭრობისა და კეკლუცობის გარეშე მოვახერხებთ თუ ეს პრინციპი, - ან ყველაფერი ან არაფერი! - მუდამ ჩვენი თანმდევი იქნება.

ერთხელ მეგობარი მეკითხება – რატომ არ იყრი კენჭს პარლამენტში მაჟორიტარ დეპუტატადო და თან დაამატა – რა იცი, რა ხდება?! სავსებით შესაძლებელია, მხარი დაგიჭირონ და გახვიდეთ.

კარგი იდეაა, ოღონდ საკმარის ხმებს ვერ ავიღებ-მეთქი, იმედი გავუცრუე ჩემს მეგობარს.

რამდენ ხმას აიღებ, წინასწარ არავინ იცის და ამიტომ, ბრძოლა ყოველთვის შეიძლებაო, – დამაიმედა მან.

მე ბევრი არ მომცემს ხმას და გინდა გითხრა, თუ რა კატეგორიის ხალხია ესენი? – ვკითხე ასეთი პირადიპირობით გაოცებულ მეგობარს.

- აბა, მითხარი! – დაინტერესდა ისიც.

- მე ხმას არ მომცემენ ჩვენ გვერდით მცხოვრები ყოვლად გახრწნილი, ყოფილი კომუნისტები, ისეთი კომუნისტები, დღესაც რომ ის საბჭოური დრო ენატრებათ, საბჭოთა კავშირის პასპორტს მაინც

სათუთად რომ ინახავენ და დამოუკიდებელი საქართველო სალანძ-  
ლავ ობიექტად გაუხდიათ. მე ასევე ვეზიზლები მენტალიტეტით კვლავ  
მოსკოვის „გუმსა“ და „ცუმში“ ჩარჩენილ ქართველობას, იმ კატეგო-  
რიას, ვისაც პატარა საქართველო მხოლოდ დიდი რუსეთის გუბერნიად  
წარმოუდგენია. მე ასევე სათოფეზე არ გამიკარებენ ისინი, ვისთვისაც  
ქურდული ანუ შავი სამყაროს კანონების ცოდნა და ცხოვრებაში გა-  
ტარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს. აი, ეს ის  
კატეგორიაა, რომლებიც ყოველთვის ჩემს წინააღმდეგ იქნებიან და,  
თუ შანსი მიეცათ, სხვებსაც ამიმხედრებენ. ხომ ხედავ, უკვე რამდენი  
მონინააღმდეგე დამიგროვდა და ამის შემდეგ, კაცს რისი იმედი უნდა  
ჰქონდეს?! - გადავხედე ჩემს მეგობარს.

- ესე იგი, გინდა თქვა, რომ მთელი ქვეყანა ეგენი ყოფილან? —  
მკითხა მან ალაღად.

- არა, რას ამბობ, მთელი ქვეყანა რომ ეგენი იყვნენ, მაშინ საქარ-  
თველოში ცხოვრებას, პირადად ჩემთვის, აზრი აღარ ექნებოდა. უბრალო-  
დ, ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი. თუმცა, ხანდახან მაინც შემიპყრობს  
ხოლმე საშინელი პესიმიზმი და გავიფიქრებ - მარტო მე ხომ არ ვარ  
მდინარის აქეთ ნაპირზე ეულად დარჩენილი? მაგრამ ამ სრულ წყვ-  
დიადში, აღმა-დაღმა უთავბოლო ბორიალის შემდეგ, რომ გავიხედები  
და ჩემს ნაპირზე მყოფ, თუნდაც ერთი ცოცხალი ადამიანის სილუ-  
ეტს დავინახავ, გული სასიამოვნოდ მიწყებს ბაგაბუგს. მიხარია, იქნებ  
ნორმალურად ხმის გამცემი ადამიანი აღმოვაჩინო, ისეთი ადამიანი,  
რომელიც გამიგებს და ჩემი ნაპირიდან, ჩემი მიწა-წყლისა იქნება. მა-  
გრამ ჩემი სიხარული უმაღ იმედგაცრუებით იცვლება, როცა მივალ იმ  
ადგილზე და ცოცხალი ადამიანის ნაცვლად გულსაკვლავ სიცარიელეს  
ვხედავ. მერე კი ვხვდები, რომ ყოველივე ეს უფრო მირაჟი ყოფილა,  
ვიდრე ამქვეყნიური რეალობა. მიუხედავად ამისა, მაინც არ ვჩერდები  
და ისევ იმ ადამიანების ძიებაში ვარ. მოკლედ, უკვე დიდი ხანია, რაც  
უსასრულოდ ვეძებ და ვეძებ... მაგრამ როდემდე?! ნეტავ ამაზე ვინმე  
გამცემდეს დამაიმედებელ პასუხს.

\* \* \*

დღეს საქართველოს, გარეშე მტრებთან ერთად, სამწუხაროდ,  
შინაური მტერიც მრავლად ჰყავს. ამიტომაც გვჭირდება სწორი განვი-  
თარება და წინსვლა, მაგრამ ეს ჩასაფრებული მოლალატეები ქვეყნისთ-  
ვის ნაღმის დადებისა და ხელის შეშლის მეტს არაფერს არ აკეთებენ.  
თუმცა, ჩვენში შემორჩენილი ამ მედროვეების ყოვლად ამაზრზენი ფო-  
რიაქიც წარმავალია, რადგან, დარწმუნებული ვარ, სამართლიანობის

უმალეს მწვერვალზე მდგარი მშვიდობის ქალღმერთი საბოლოოდ გამოიჩინა გულმონყალებას და არ განირავს იმ ერს, რომელსაც შავბნელი წარსულის ხშირმა ომებმა, უსამართლობამ და ქაოსმა, ისედაც ძალიან ბევრი ძვირფასი თაობა წაართვა. მიუხედავად ასეთი დიდი დანაკლისისა, ქართველი ერი მაინც არ კარგავს საუკეთესო მომავლის იმედს – ცდილობს, ფერფლად არ იქცეს, არ გაქრეს და სამუდამოდ დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი ამ მართლაც უკიდევანო და უსასრულო სამყაროში.

## ეპილოგი

ძალიან კარგად მახსოვს, რასაც მიყვებოდა ბავშვობაში უფროსი თაობა — რომ არა, ის დაწყვეტილი 1921 წელი და წითელი ეშმაკების შემოსევა საქართველოში, დღეს ყველანი მიწიერ სამოთხეში ვიცხოვრებდითო.

ამას მეუბნებოდა ის ხალხი, ვისაც ჭკუა მოეკითხებოდა და პირადად მე, ძალიან დიდ პატივს ვცემდი. მიუხედავად ჩვენ შორის ასაკში უდიდესი სხვაობისა, ზოგიერთი მათგანი ჩემი უფროსი მეგობარიც იყო. სამწუხაროდ, იმათგან დღეს ცოცხალი აღარავინ არის.

— შენ ჯერ ბავშვი ხარ, გაიზრდები და ნამდვილად იცხოვრებ იმ მიწიერ სამოთხეში, რომელსაც ჩვენ ვერ მოვესწარიტო, — ასე მანუგეშებდნენ ისინი ფაქტიურად შვილიშვილის ტოლა ბიჭს.

მას აქეთ რამდენიმე უძძიმესი ათეული წელიწადი გავიდა. როგორც გითხარით, ისინი დღეს ჩვენს გვერდით აღარ არიან, მე კი უკვე 41 წელს გადაცილებული კაცი ვარ და საინტერესო, იცით, რა არის?

ანგარდაცვლილი და ჩვენგან უკვე შორს მყოფი ჩემი უფროსი მეგობრების ხმები დღესაც ისევ ტკბილად მახსენებს თავს, რადგან ეს საოცარი ხმები ყურში ისე ჩამესმის ხოლმე, როგორც ბავშვობის ყველაზე ლამაზი და სიზმრადქცეული ზღაპარი.

## შინაარსი

წინასიტყვაობა.....	5
<b>თავი I</b>	
დახავსებული მენტალიტეტი ანუ გადმონაშთი შავბნელი წარსულიდან .....	6
<b>თავი II</b>	
ქართული — ყველასთვის სავალდებულო ენა საქართველოში .....	11
<b>თავი III</b>	
რუსული მშობლიურ ენაზე უფრო იოლია?.....	15
<b>თავი IV</b>	
რას მოიმოქმედებდა გერმანია? .....	19
<b>თავი V</b>	
რუსული ნოსტალგია - ეს გადაგვარებული ზღაპარია.....	21
<b>თავი VI</b>	
სოციალისტები - კომუნიზმით დაავადებული მეოცნებენი .....	27
<b>თავი VII</b>	
თქვენ ხართ - პერსონა ნონ გრატა.....	31
<b>თავი VIII</b>	
ვადგასული პოლიტიკური ელემენტები და ახალი ცვლა .....	39
<b>თავი IX</b>	
9 აპრილი – ერის იდეა თუ ახირება? .....	42
<b>თავი X</b>	
მშვენიერი მაგალითია თურქეთი .....	44
<b>თავი XI</b>	
ფრაზები შევარჩიოთ, ფრაზები.....	51
<b>თავი XII</b>	
ჩინური ეიფორია.....	54

<b>თავი XIII</b>	
როცა თბილისში გვექნება . . . . .	59
<b>თავი XIV</b>	
მოჯადოებული სამკუთხედი . . . . .	66
<b>ეპილოგი</b> . . . . .	69



დაიბეჭდა შპს „კალიგრაფის“ სტამბაში

---

0177, ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47

ISBN 9789941915901



9 789941 915901